ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 მაისი **სამშაბათი** 2014
№095 (14 316) ფასი 80 თეთრი




5

# ინასარიძემ რა ჰქმნა




4

## ლუის ენრიკე „ბარსელონას" მწვრთნელია

## ლუის ენრიკე ბარსელონას მწვრთნელია

წუხელ „ბარსელონას" ბოსებმა მიიღეს კლუბის სპორტული დირექტორის, ანდონი სუბისარეტას წინადადება და გუნდის მთავარ მწვრთნელად ლუის ენრიკე დაამტკიცეს.

44 წლის ყოფილი ფეხბურთელი კლუბთან 2-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. ლუის ენრიკე 1996 წელს მადრიდის „რეალიდან" გადავიდა „ბარსელონაში". „ბარსაში" მან 300 მატჩში 109 გოლი გაიტანა, 2002-04 წლებში კი გუნდს კაპიტნობდა. 2008 წელს ის „ბარსელონას" დუბლების მწვრთნელად დაინიშნა. ამის შემდეგ ის „რომას" და „სელტას" წვრთნიდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ლუის ენრიკე

7



## ლიონელ მესი არსად მიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია


ზვიად სიჭინავა გუშინდელ პრესკონფერენციაზე
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ზვიად სიჭინავა
# არც რეგლამენტი დაირღვევა, არც სპორტული პრინციპი!
### ჩემპიონატის ორგანიზების მსურველებს ფედერაციაში 2 ივნისამდე ელიან

**დღესდღეობით, ქართულ ფეხბურთში ყველაზე აქტუალური თემა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის შესაძლო გაზრდაა და საფეხბურთო სამყაროც, მეტწილად, სწორედ ამაზე ბჭობს, თუმცა ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას, გენერალურ მდივან რევაზ არველაძესა და ვიცე-პრეზიდენტ გია ფირცხალავას მიაჩნიათ, რომ ჩვენი ფეხბურთის განვითარება მხოლოდ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული. გუშინდელი პრესკონფერენციაც ფედერაციის პრეზიდენტმა სწორედ ამ საკითხზე საუბრით დაიწყო და, უნდა ვაღიაროთ, მართალიც თქვა:**

- რამდენიმე თვის წინათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ფეხბურთის განვითარების საქმეში დახმარებას დაგვპირდა. შეიქმნა საგანგებო კომისია და მას მერე, ამ კომისიის წევრები ერთმანეთთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. თუმცა, რატომღაც, კომისიის მოვალეობად ბევრი მხოლოდ საკლუბო, ანუ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდის საკითხის გარკვევას მიიჩნევს. არადა, ეს მხოლოდ ერთ-ერთი საკითხია იმათგან, რაზეც კომისია მუშაობს. ჩვენ კი სახელმწიფო კომისიის სხდომებზე განვიხილავთ ევროპის 2015 წლის სუპერთასის თბილისში მასპინძლობის საკითხს, რომლის ღირსეულად მასპინძლობის ვალდებულებაც თავის დროზე ფეხბურთის ფედერაციამ სახელმწიფოსთან ერთად აიღო. უამრავი საორგანიზაციო საკითხია მოსაგვარებელი, აეროპორტიდან დაწყებული, ქალაქში ფან-ზონების მოწყობით დამთავრებული და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსთან კოორდინირებული მუშაობის გარეშე, არაფერი გამოვა. განვიხილავთ ასევე 19-წლამდელთა შორის ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობის თემას. გვსურს, ჩემპიონატს საქართველოს ოთხი ქალაქის ხუთმა სტადიონმა უმასპინძლოს - გორმა, რუსთავმა, მცხეთამ, ხოლო თბილისში „დინამო არენამ“ და „მიხეილ მესხმა“. ამ ტურნირის მასპინძლობისთვის ზუსტ მოთხოვნებს უეფა მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გვაცნობებს, - თქვა პრესკონფერენციაზე **ზვიად სიჭინავამ** და ქალაქების მთელი დასტა გვიჩვენა, სადაც მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა წვრილ-წვრილად ყოფილა გაწერილი.

- მესამე საკითხი მოედნების რეაბილიტაციაა, - აგრძელებს თემას ფედერაციის პრეზიდენტი, - 13 მოედანი უკვე მოწესრიგებულია, მომავალში კი გვსურს, ჩვენი კლუბების სტადიონები იმ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებდეს, სადაც ევროტურნირების პირველი და მეორე ეტაპის მატჩების ჩატარება მაინც იქნება შესაძლებელი. კომისია მუშაობს ასევე ფეხბურთის მასობრიობის მიმართულებით, რაც ქალთა, პლაჟის, მოყვარულთა ფეხბურთისა და მისთანების განვითარებას გულისხმობს. მიდის მსჯელობა აღმოსავლეთ, დასავლეთ საქართველოსა და თბილისში ბავშვთა უფასო აკადემიების გახსნაზე. უკვე შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აგვისტოში, თბილისში, 140 ბავშვზე გათვლილ აკადემიას გახსნის, სადაც ინტერნატიც იქნება. უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის თემა და კლუბების დაფინანსება მეექვსე საკითხადაა მონიშნული. გეტყვით, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა ფეხბურთის ფედერაციის დასადგენია და ჩვენს გარეშე ამას ვერავინ გააკეთებს. ჩვენ კი ვამბობთ, რომ უმაღლესში გუნდების რაოდენობა ხელოვნურად არ გაიზრდება და არც სპორტული პრინციპი დაირღვევა. სხვათა შორის, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბებს შორის გუნდების რაოდენობის გაზრდის წინააღმდეგი მხოლოდ ორი გუნდია, ერთი კი პოზიციის დაფიქსირებისგან თავს იკავებს...

შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლუბებს, კერძო პირებსა და კომპანიებს მიმართა, რომ...

- 2 ივნისამდე არის ვადა იმისთვის, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ წარმოადგინოს ჩემპიონატის ჩატარების თავისებური ფორმატი, სქემა, სისტემა, აღწეროს ფულის მოძიების გზები და ყველა ის ფუნქცია იკისროს, რაც ჩემპიონატის ჩატარებისთვის არის აუცილებელი. ყველა პროექტს ყურადღებით განვიხილავთ და 15 ივნისისთვის საჯაროს გავხდით. ვიმეორებ - მასმედიის საშუალებით მივმართავ ყველას, ვისაც ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით რაიმე იდეა და მოსაზრება აქვს, რომ თავისი ხედვა ფედერაციას 2 ივნისამდე გააცნოს. გვსურს, აღდგეს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ეროვნულ ჩემპიონატს მიხედოს. არ გამოვრიცხავთ, რომ მომდევნო სეზონიდან უმაღლესი ლიგა ან 12-გუნდიანი დარჩეს, ან 10-გუნდიანი გახდეს, ან შესაძლოა, 16-გუნდიანიც იყოს და არც 20-გუნდიანია გამორიცხული, თუმცა აქვე სიტყვას გაძლევთ - თუ მომავალი ჩემპიონატის ჩატარება ისევ ფეხბურთის ფედერაციას მოუწევს, ჩვენ რეგლამენტს არ დავარღვევთ. ისე კი, სპორტული პრინციპის დარღვევად ის მიმაჩნია, როცა რომელიმე გუნდი იჩაგრება.

კითხვაზე - თუ 2 ივნისამდე ფედერაციას იდეა არავინ მიაწოდა, რა მოხდება ამის შემდეგ, სიჭინავამ ასე გვიპასუხა:

- მოხდება ის, რომ ფედერაცია იხელმძღვანელებს კლუბების ლიცენზირების პროცესიდან გამომდინარე. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ მაქსიმალურად ვეცდებით, არც ერთი კლუბი არ დავტოვოთ უყურადღებოდ. ერთი სიტყვით, არავინ უნდა დაიჩაგროს!

**კობა ინასარიძე**

ლიცენზირება

## დიმიტრი ბოკერია
# სამწუხაროა, ლიცენზირება ბოლოს რომ ახსენდებათ
### შუქურა და კოლხეთი უმაღლეს ლიგაში, სამტრედია და ბათუმი ისევ პირველში

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტმა უეფასა და ეროვნული კატეგორიის სერთიფიკატები 9 კლუბს მიანიჭა. ულიცენზიოდ კი 6 უმაღლესლიგელი დარჩა - „მეტალურგი“, „ზუგდიდი“, „მერანი“, „დილა“, „გურია“, „ტორპედო“. პლუს ამას, ლიცენზიის გარეშე დარჩნენ პირველი ლიგის B ჯგუფის გამარჯვებული „სამტრედია“ და ბათუმის „დინამო“. ამ თემაზე განმარტება ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების ხელმძღვანელ დიმიტრი ბოკერიას ვთხოვეთ:**

**- ლიცენზიის არქონა ავტომატურად ნიშნავს, რომ „სამტრედია“ და ბათუმის „დინამო“ უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებენ?**

- სამწუხაროდ, ასეა. ულიცენზიოდ უმაღლეს ლიგაში ვერავინ ითამაშებს. სააპელაციო კომიტეტმა იმსჯელა და ზოგიერთმა კლუბმა წარმოადგინა უფრო მყარი ფინანსური გარანტიები, ვიდრე ადრე და მათი სარჩელებიც ამიტომ დაკმაყოფილდა. მაგალითად, იურიდიულად, „ტორპედო“ „ვისოლს“ ეკუთვნის და ფინანსური გარანტიები მას უნდა წარმოედგინა, რაც კომპანიამ გააკეთა კიდეც და კლუბმა არა მხოლოდ ეროვნული, არამედ უეფას ლიცენზიაც მიიღო.

**- ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებაც შესაძლებელია. მაგრამ რამდენად რეალურად გეჩვენებათ, რომ ვითარება შეიცვალოს?**

- ამაზე ვერაფერს გეტყვით. ფაქტია, რომ ხელახალ საჩივრებზე პასუხი 29 მაისს გვეცოდინება.

**- „სამტრედიამ“ და ბათუმის „დინამომ“ მოთხოვნები 29 მაისამდე რომ დააკმაყოფილონ, პლეიოფის მატჩები გაიმართება?**

- ასეთ შემთხვევაში, გაიმართება. მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება, თუ კლუბებმა პროფლიგა ჩამოაყალიბეს. ახლანდელი მდგომარეობით, უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ქობულეთის „შუქურამ“ და ფოთის „კოლხეთმა“ მოიპოვეს.

**- ულიცენზიოდ უმაღლეს ლიგაში რომ არ დაუშვებდით, ამის შესახებ კლუბები წინასწარ გააფრთხილეთ?**

- რა თქმა უნდა?! ეს საკითხი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა თებერვალში განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება, 2014/15 წლების სეზონში უმაღლესი ლიგის დაკომპლექტების პრიორიტეტული სისტემის შესახებ. სამწუხაროა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი კლუბებს ბოლოსლა ახსენდებათ ხოლმე.

■ ■ ■


დიმიტრი ბოკერია

ცხელ კვალზე კომენტარები ვთხოვეთ „სამტრედიისა“ და ბათუმის „დინამოს“ წარმომადგენლებს:

**მალხაზ მახარაძე**, ბათუმის „დინამოს“ სპორტული დირექტორი: *„პირველ გადაწყვეტილებაში ასე ეწერა: ლიცენზირებას არ გვაძლევდნენ, რადგან: კლუბმა არ წარადგინა საბანკო ამონაწერი და არ გვქონდა სპონსორთან მოქმედი ხელშეკრულება. სააპელაციო ორგანომ მიმართა ტრიბუნალს რეკომენდაციით, კლუბის მიერ ამ ხელშეკრულების წარმოდგენის შემთხვევაში, გასცეს ეროვნული ლიცენზია. რა თქმა უნდა, საბანკო ამონაწერი და სპონსორთან მოქმედი ხელშეკრულება კლუბს გააჩნია. ყველა საჭირო და დამატებითი დოკუმენტაცია ფედერაციას ხვალვე გადაეგზავნება. თუმცა, ჩვენ საკმარისად ჩავთვალეთ ქალაქის მერიის მიერ დამტკიცებული პროგრამის საგარანტიო წერილი, რომელიც ითვალისწინებს კლუბის დაფინანსებას 2017 წლის ჩათვლით, ანუ, ყოველწლიურად მინიმუმ - 1,37 მილიონი ლარით. ასე რომ, ჩვენ იმედი კიდევ არ გადაგვიწურავს. ბოლოს და ბოლოს, რადგან ფინანსური პრობლემა არ გვაქვს, 11 გუნდს ვინახავთ, ქალაქში უფასო ჯგუფები გავხსენით, სადაც მწვრთნელებს ხელფასები დავუნიშნეთ, 3-წლიანი გარანტია წარვადგინეთ და ფინანსები დაბრკოლება როგორ გახდა? იმედია, 29 მაისს მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით შრომა წყალში არ ჩაგვეყრება“.*

**ზაზა ნიკურაძე**, სამტრედიის საკრებულოს სპორტის სამსახურის უფროსი: *„თავდაპირველად, ფინანსურ საკითხებში მართლაც ბევრი ხარვეზი გვქონდა და გადაწყვეტილება ლოგიკური იყო. მაგრამ შემდეგ ეს პრობლემები გამოვასწორეთ და 18-თვიანი ფინანსური გარანტია წარვადგინეთ, რაც, მეეჭვება, ბევრ კლუბს ჰქონდეს. 2014 წლის ბოლომდე სამტრედიის საკრებულო დაგვაფინანსებს, რაც ნორმატიული აქტით დაადასტურა. 2015 წელს კი ამ ხარჯებს საკუთარ თავზე „პროგრესბანკი“ იღებს. ამ დროს, აპელაციის შემდეგ, მივიღეთ პასუხი, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასეთია: ხარვეზები გამოასწორეთ, მაგრამ ძალაში მაინც ძველ გადაწყვეტილებას ვტოვებთო. ლოგიკა ვერ გავიგე - მაშინ, ნაკლის გამოსასწორებლად დრო რატომ მოგვცეს? უცნაური პასუხი მივიღეთ - არაკეთილსინდისიერი გზით სცადეთ ლიცენზიის მიღებაო, მაგრამ ერთი კონკრეტული მუხლიც არ იყო დასახელებული, რაც ამას დაასაბუთებდა. ამის გაგება იყო და, აღელვებული ხალხი სამტრედიის სტადიონზე შეიკრიბა. ისინი თბილისში წამოსვლას და ამ გადაწყვეტილების გაპროტესტებას აპირებენ. ჩვენ მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი გვყავს, ფედერაციას კი ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლას არ ვურჩევთ“.*

**მერაბ მამულაშვილი**

U19


ქართველებიდან ბაიერნს გოლი გიორგი გოროზიამ (N18) გაუტანა

# ზავი ბაიერნთან

**ვასილ მაისურაძის** გაწვრთნილი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდისთვის გერმანიაში ემზადება. გუნდმა შეკრებაზე უკვე ამხანაგური მატჩიც გამართა მიუნხენის „ბაიერნის“ თანატოლებთან. სპარინგი „ბაიერნისავე“ ბაზაზე შედგა და 1:1 დასრულდა.

პირველი ტაიმი ჩვენების უპირატესობით მიმდინარეობდა. მაისურაძის შეგირდებს რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც ჰქონდათ, მათ შორის - ორჯერ მიუნხენელები ძელმაც იხსნა. მეორე ტაიმში მაისურაძემ ლამის მთელი შემადგენლობა შეცვალა. ქართველები სწორედ ამ დროს დაწინაურდნენ - **გიორგი ბერიძე** სწრაფად შეიჭრა „ბაიერნის“ საჯარიმოში, ერთ მცველს გასცდა, მეორემ კი ხელით შეაჩერა. მსაჯმა დანიშნა პენალტი, რომელიც **გიორგი გოროზიამ** გოლად აქცია.

ამის შემდეგ „ბაიერნმა“ შეუტია და წონასწორობა აღადგინა. ამის მეტი ვერც მასპინძლებმა მოახერხეს და ვერც - სტუმრებმა. შეგახსენებთ, რომ ზამთრის შეკრებაზე ამ ნაკრებმა „ბარსელონას“ 19-წლამდელთა გუნდი 1:0 დაამარცხა.

საქართველო: **ქურდაძე, კაკაბაძე, ჭანტურია, გურეშიძე, თევზაძე, აბურჯანია, გოროზია, შენგელია, კიკაბიძე, ზარანდია, კერძევაძე.** შეცვლაზე: **გაბაძე, ტაბიძე, გაფრინდაშვილი, ბერიძე, მესხი, შერაზადაშვილი, დარციმელია.**

*„კარგი თამაში იყო, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, ამხანაგური მატჩის დატვირთვა ჰქონდა. პირველ ტაიმში 2-3 რეალური მომენტი გვქონდა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა და კარგი სპარინგიც გამოგვივიდა. აქ მშვენიერ პირობებში ვემზადებით“*, - გვითხრა ნაკრების კაპიტანმა **ნიკა ჭანტურიამ**.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ელიტრაუნდის მატჩებს 25-30 მაისს შვეიცარია უმასპინძლებს. ამ ქვეყნის ნაკრების გარდა, ქართველ 19-წლამდელებს ისრაელთან და კვიპროსთანაც მოუწევთ დაპირისპირება. ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან ერთი გუნდი გადის.

**მერაბ მამულაშვილი**

**საფეხბურთო კლუბი „საბურთალო“ ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე კლუბის ერთ–ერთ დამფუძნებელს გოჩა თამაზაშვილს ძმის - გიორგის გარდაცვალების გამო.**

# საიუბილეოც ჩავამთავრეთ!



ჩემპიონების დაჯილდოება ბოლო მატჩის შემდეგ
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**საიუბილეო, XXV ჩემპიონატი დამთავრდა!**
**სამწუხაროდ, აწ უკვე თითქმის გასრულებულ სეზონს (თასის ფინალიღა დარჩა ჩასატარებელი) საიუბილეო კი ერქვა, მაგრამ წინა წლის აგვისტოს დასაწყისიდან მოყოლებული „უცნაურობები“ თუ სკანდალური სიტუაციები სჭარბობდა დადებითს.**
**არანაკლებ სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ უკვე წლებია, რაც ჩვენი ჩემპიონატის დონე პროგრესირების ნაცვლად, უკან და უკან მიდის.**
**აღარაფერს ვამბობთ ამ ბოლო წლებში ესოდენ გახშირებულ „საეჭვო“ მატჩებსა თუ კონკრეტულ ფეხბურთელთა ასევე „საეჭვო“ ქმედებებზე ამა თუ იმ შეხვედრაში, - თანაც, ეს მხოლოდ უმაღლეს ლიგას არ ეხება, რამეთუ პირველ ლიგაში უკანასკნელი სამი სეზონის განმავლობაში „უცნაურობებმა“ მართლაც რომ პიკს მიაღწია!**
**ჰოდა, ამ ყველაფრის ფონზე ვერაფრით აგვიხსნია, თუ რატომ სურს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, ქართული ფეხბურთის დამსახურებულ ვეტერანებსა თუ უმაღლესი ლიგის გუნდების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას („დინამოსა“ და „ზესტაფონის“ გარდა) მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის 16-მდე ან 18-მდე გაზრდა? ისე, როგორც ვერაფრით „აგვიხსნია“, თუ რა „კავშირი“ უნდა ჰქონდეს ერთმანეთთან „მასობრიობასა“ და უმაღლეს ლიგას... საბედნიეროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალ სეზონში, ძალიან დიდი ალბათობით, 12-გუნდიან ჩემპიონატს ჩავატარებთ, ოღონდ, განსხვავებული „ფორმატით“, - სავარაუდოდ, სამწრიანი (აი, როგორც დანიაშია) პირველობა გვექნება.**
**რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტი ნამდვილად არ არის (მესამე წრეში გუნდები არათანაბარ მდგომარეობაში იქნებიან), თუმცა ზედა და ქვედა ექვსეულებად დაყოფასთან შედარებაც რომ არ შეიძლება, წესით და რიგით, ამაზე არავინ უნდა იდავოს!**
**თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო დროს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საბოლოოდ, ალბათ, მაინც ერთადერთი და ოპტიმალური ვარიანტი გამოვიდა (12 გუნდი 4 წრედ... მართლაც ნამეტანი იქნებოდა!) და აქვე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს ეს სავარაუდო „სიტუაციის გადახედვაც“ გვინდა მოვუწონოთ და შევაქოთ - რომ არ „გაჯიუტდნენ“ და, გარკვეულწილად, ქართული სპორტული მედიის აზრიც გაითვალისწინეს!..**

## ფორმალური ტური და მორიგი უცნაურობა

შესავალშიც (ისე, როგორც, ფაქტობრივად, მთელი სეზონის განმავლობაში) აღვნიშნეთ, თუ როგორ არ გაამართლა გუნდების ზედა და ქვედა ექვსეულებად დაყოფამ; ამის ნათელი დადასტურებაც იყო თითქმის მთლიანად მეორე ეტაპი და განსაკუთრებით კი - ბოლო ტური!

ჰო, ნამდვილად ასეა: ბოლო ტურის წინათქმაშიც აღვნიშნეთ, რომ ექვსივე მატჩი, ფაქტობრივად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ასეც მოხდა. ეგ კი არა, ამ ექვსივე მატჩის შედეგს სატურნირო ცხრილზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია - ანუ, არც ერთი გადაადგილება არ მომხდარა!

სამაგიეროდ, სწორედ ბოლო ტური იყო, კიდევ ერთხელ რომ „დაადასტურა“ გუნდების დაყოფის სისტემის უვარგისობა: XI (ანუ, ბოლოსწინა) ადგილზე გასულმა „ზუგდიდმა“ და ზედა ექვსეულში მყოფმა „გურიამ“ ქულათა ერთნაირი რაოდენობა (36) დააგროვეს, თანაც, ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა „ზუგდიდს“ აქვს!

თუმცა, ეს კიდევ არაფერი: მეშვიდე-ადგილოსანმა „ტორპედომ“ უფრო მეტი ქულა მოაგროვა, ვიდრე „ჩიხურამ“ და „მეტალურგმა“, რომლებმაც, შესაბამისად... მეოთხე და მეხუთე ადგილებზე დაასრულეს სეზონი!

## გაზაფხულის... მეთხუთმეტე გაელვება!

საიუბილეო ჩემპიონატს სრულიად დამსახურებული ჩემპიონი ჰყავს, ასევე საიუბილეო, XV საჩემპიონო ტიტული რომ მოიგო! თუმცა, მოდი, გულახდილად ვთქვათ: წინა სეზონის ფორმაციის „დინამო“ ბევრად უფრო შთამბეჭდავი იყო, მით უფრო, რომ ახლანდელთან შედარებით შარშან ბევრად უფრო კონკურენტუნარიან გარემოში უწევდა ასპარეზობა. ყოველ შემთხვევაში, წინა სეზონში რომ „დილა“ ჰყავდა კონკურენტი, ასეთი „ოპონენტი“ ამჯერად აღარ ჰყოლია „დინამოს“ (ზამთრის პაუზის მერე „ზესტაფონის“ შთამბეჭდავ სერიას თუ არ მივიღებთ მხედველობაში).

თუმცა, მოგეხსენებათ, რომ „გამარჯვებულს არ ასამართლებენ“ და გვინდა „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბს, ფეხბურთელებსა და, რაღა თქმა უნდა, კლუბის პრეზიდენტს **რომან ფიფიას** კიდევ ერთხელ მივულოცოთ მორიგი ტრიუმფი. აღსანიშნავია, რომ ბოლო ტურის მატჩის შესვენებაზე საქართველოს ჩემპიონობა „დინამოს“ დუბლშემადგენლობამ (მთავარი მწვრთნელი - **კახა გოგიჩაიშვილი**) იზეიმა, შეხვედრის დასრულების შემდეგ კი - ძირითადმა გუნდმა, რომლის თავკაც **მალხაზ ჟვანიასათვის** სამწვრთნელო კარიერაში პირველი ტიტული იყო.

„დინამოს“ ძირითადი და დუბლშემადგენლობათა გუნდი საჩემპიონო თასითა და ოქროს მედლებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** დააჯილდოვა. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ძირითადი გუნდიც და დუბლებიც ზედიზედ მეორედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. ცნობისათვის: XXI საუკუნეში პირველად სწორედ ახლა მოხდა, რომ „დინამომ“ ზედიზედ ორჯერ შეძლო ოქროს მედლების მოპოვება და კლუბის პრეზიდენტს რომან ფიფიას ამ მხრივაც საქმე საამაყოდ უნდა ჰქონდეს.

ისე, დრო იყო, „როცა „დინამო“ ზედიზედ ათი სეზონის (1990-1999 წლები) განმავლობაში ხდებოდა საქართველოს ჩემპიონი!

## ჩისკო!

საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში რამდენიმე ფეხბურთელია, ორ-ორჯერ რომ გახდნენ საუკეთესო ბომბარდირები: **ზურაბ იონანიძე** („ტორპედო“), **სულიკო დავითაშვილი** („მერანი 91“, „თბილისი“/“ტორპედო“), **ჯაბა დვალი** („სიონი“/“დინამო“, „ზესტაფონი“), **ნიკოლოზ გელაშვილი** („ზესტაფონი“).

თუმცა, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა ზედიზედ ორჯერ მხოლოდ ორმა მართლაც გამორჩეულმა მეგოლეებ, **ოთარ კორღალიძემ** („გურია“) და ცხონებულმა **მერაბ მეგრელაძემ** („სამგურალი“, „მარგვეთი“) შეძლეს. და აი, ანალოგიური შედეგი უჩვენა „დინამოს“ ესპანელმა ლეგიონერმა **ჩისკომ**: 33 წლის შემტევმა თავისი ტიტულების ისედაც შთამბეჭდავ კოლექციას (ესპანეთის ჩემპიონი, უეფას თასისა და ევროპის სუპერთასის მფლობელი) საქართველოს ორგზის ჩემპიონობა და ორგზის საუკეთესო ბომბარდირობაც მიუმატა!

თანაც, ამ ორი მიღწევის გარდა, ამ დღეებში ჩისკოს სხვა მოვლენაც ჰქონდა საზეიმო და „დინამოს“ ესპანელ ლეგიონერს „ლელოც“ ულოცავს ქალიშვილის, **ვალერიას** დაბადებას!

## გამორჩეული ფაქტ(ებ)ი

მთელი სეზონის განმავლობაში XXV ჩემპიონატის „უცნაურობებზე“ ვსაუბრობდით და ბოლო ტურამდე ასე გაგრძელდა! აბა, უცნაურზე მეტი არ არის ის ფაქტი, როცა კონკრეტული გუნდი მთელი ჩემპიონატის განმავლობაში (32 მატჩი!) არც ერთ... ფრეს არ ითამაშებს?!. კი, ბატონო, შესაძლებელია ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე გუნდი თავის ჩემპიონატს წაგების გარეშე დაამთავრებს (ამ ცოტა ხნის წინ ასეთ შედეგს „არსენალმა“ და „პორტუმ“ მიაღწიეს, ახლა კი - „გლაზგო რეინჯერსმა“), მაგრამ უფრეოდ სეზონის ჩამთავრება მართლაც უნიკალურ შემთხვევად მიგვაჩნია.

ჰო, ლანჩხუთის „გურიაზე“ მოგახსენებთ - ბოლო ტურში უმოტივაციო „ჩიხურასთან“ გამარჯვებით მართლაც კომმარული, ათმატჩიანი წაგებათა სერია რომ დაასრულა. ალბათ, ისიც სიმბოლური იყო, რომ ამ მატჩში „დუბლი“ შეასრულა „გურიას“ საუკეთესო ბომბარდირმა **ვილი ისიანმა**: 23 წლის ფორვარდს ამ სეზონამდე უმაღლეს ლიგაში სულ 6 გოლი ჰქონდა გატანილი („სიონის“ შემადგენლობაში ასპარეზობისას), ამ ჩემპიონატში კი 12-ჯერ შეძლო მეტოქეთა მეკარეთა დამწუხრება!

აქვე, კიდევ ორ მეგოლეზეც: „ზუგდიდის“ 20 წლის ფორვარდი **გიორგი ბულია** უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს ატარებს და ბოლო ორ ტურში ზედიზედ ორჯერ შეძლო გოლის გატანა, თანაც, ორჯერვე - შეცვლაზე შესულმა! ცალკე აღნიშვნის (თანაც, უკვე - მერამდენედ!) ღირსია „ტორპედოს“ გამოცდილი მცველი **თენგიზ ჩიკვილაძე** - 30 წლის უნივერსალმა ბოლო ტურშიც შეძლო თავის გამოჩენა და 6 გოლით სეზონის ყველაზე შედეგიანი მცველიც -გახდა!

## უამრავი დებიუტანტი

ბოლო ტურში არაერთი ისეთი ფეხბურთელი გამოჩნდა, უმაღლეს ლიგაში სადებიუტო შეხვედრა რომ ჩაატარა; გუშინაც ვწერდით, რომ „მეტალურგის“ სათადარიგოთა სკამზე 17-18 წლის 6 ფეხბურთელი იჯდა და წინა დღეს ზედიზედ მეორედ მოიგეს ჭაბუკთა ლიგის გათამაშება (1996/97 წლებში დაბადებულთა შორის). ამ ექვსეულიდან მოედანზე გამოსვლამ მოუწიათ **გიორგი კილასონიას, ოთარ კიტეიშვილსა** და **გიორგი გოცაძეს**, თუმცა, ამათგან მხოლოდ გოცაძე გახლდათ დებიუტანტი: კიტეიშვილი უკვე მესამედ შემოვიდა შეცვლაზე და „გურიასთან“ გოლის გატანაც მოახერხა!

აი, რაც შეეხება „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელის, **ვარლამ კილასონიას** ვაჟს **გიორგი კილასონიას**, 18 წლის ნახევარმცველმა უმაღლეს ლიგაში მეორე შეხვედრა ჩაატარა. თუმცა, „საფეხბურთო დინასტიების“ თემა ბოლო ტურშიც გაგრძელდა: „სპარტაკის“ შემადგენლობაში გამოჩნდა ნიჭიერი და ჩინებული ფიზიკური მონაცემების მქონე თავდამსხმელი, 20 წლის **ნიკა კაჭარავა**, მამის, „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელის **კახა კაჭარავას** მსგავსად, ამპლუით ცენტრფორვარდი რომ გახლავთ!

უმცროსი-კაჭარავას გარდა, ბოლო ტურში სხვა ფეხბურთელებსაც ჰქონდათ დებიუტი უმაღლეს ლიგაში: **რატი იმერლიშვილს** („გურია“), **ცოტნე ქებურიას, აკაკი სირბილაძეს** (ორივე - „დილა“), **თორნიკე ფაილოძეს** („მერანი“), **გურამ გიორბელიძეს, უჩა ჯაფარიძეს, დემეტრე ტაბიძეს** და **გიორგი სიგუას** (ყველა - „სიონი“).

გია ტუხაშვილი

## ბოლო ტურის სიმბოლური ნაკრები



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამათ უნდათ 16 გუნდი?!

კობა ინასარიძის რუბრიკა

# მადლობა ვის? კოლხეთს!

„ლელოში" დაბეჭდილ ფოტოს, რომელზეც ფოთის „კოლხეთის" ფეხბურთელები სხვადასხვა ფორმით არიან აღბეჭდილნი, გვარიანი გამოხმაურება მოჰყვა. გამოხმაურება კი არა, კლუბი არ დაკმაყოფილდა პრესსამსახურის განცხადებით და... საგანგებო ბანერიც დაამზადა - აი, როგორი მოწესრიგებულები ვართო.

სიმართლე გითხრათ, ჩვენი მიზანიც ეს არის - ყველა ქართულ კლუბს და, მით უფრო, „კოლხეთის" დარ უძველესი ისტორიის მქონეს, ეკიპირების პრობლემა არ ჰქონდეს. ამიტომაც, ფოთელთა მიერ გამოქვეყნებულმა ფოტომ გულწრფელად გაგვახარა! მერე რა, რომ „კოლხეთის" პრესსამსახურის განცხადებაში მცირე ქრონოლოგიური უზუსტობაა. თუ გუნდს „უმბრო" მხოლოდ 2013 წლიდან მოსავს, მაშინ გაუგებარია, როგორ აცვია ფოთელთა გუნდის თითქმის ნახევარს „უმბროს" ეკიპირება 2012 წელს გადაღებულ ფოტოზე?

ისიც ითქვა, ფოტო ვარჯიშის წინ არის გადაღებული და ამის დასტური ის გახლავთ, უკანა ტრიბუნაზე ქომაგი რომ არ ჩანსო. პატივცემულებო, ვარჯიში თუ იყო და, მით უმეტეს, ტრიბუნა - ცარიელი, რა საჭირო იყო ასე შემოსვა? თანაც, როცა თავად ამბობთ - სანყობი ძველი მაისურებით გვაქვს სავსეო...

ან კიდევ, ბატონებო! არითმეტიკასაც რომ გვიწუნებთ და უმაღლეს ლიგაში თამაშების რაოდენობაზე ლაპარაკობთ. რუბრიკის ტექსტს თუ კარგად ჩაიკითხავთ, იქ შავით თეთრზე წერია, რომ „კოლხეთი" არის პირველი ლიგის კლუბი (ყოველ შემთხვევაში, გუშინდლამდე ასე იყო). ხოლო, თუ ფოთელები უმაღლეს ლიგაში ალზევდებიან, რისი შანსიც ძალიან დიდია, 16-გუნდიანი პირველობის შემთხვევაში უფრო მეტი მატჩის ჩატარება მოუწევთ, ვიდრე ამ სეზონში პირველ ლიგაში ითამაშეს. პირველ ლიგაში „კოლხეთმა" 24 მატჩი თუ ჩაატარა, 16-გუნდიანი უმაღლესის შემთხვევაში 30 მატჩის ჩატარება მოუწევს.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ზუსტი მეცნიერების მიხედვით 30 მეტია 24-ზე... მაგრამ, მოდით, ნულარ ვიდავებთ, რადგან მიზანი მიღწეულია - ფოთის „კოლხეთს" უკვე აქვს მოწესრიგებული ეკიპირება! გილოცავთ! მე კი მადლობას გიხდით დროული რეაგირებისა და ფორმის შემოთავაზებისთვის!



## საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913-ის განცხადება

(სტილი და კორექტურა დაცულია)
2014 წლის 16 მაისს გაზეთმა „ლელომ" ჟურნალისტ კობა ინასარიძის რუბრიკაში - სათაურით: „ამათ უნდათ 16 გუნდი?!" გამოაქვეყნა ფოთის „კოლხეთი 1913-ის", 2012 წლის ზაფხულში ერთ-ერთ ვარჯიშზე გუნდის ორმხრივი თამაშის დროს გადაღებული ფოტო, რომელიც პირველი ლიგის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის წინა ფოტოდ გაასალა, სადაც ფეხბურთელთა ნაწილი „სალერის" ფირმის, ხოლო ნაწილი „უმბროს" ფირმის ეკიპირებით ვარჯიშობდა. ს/კ ფოთის „კოლხეთი 1913-ს" საბედნიეროდ გააჩნია იმის ფუფუნება, რომ ყოველწლიურად შეიმოსოს ახალი ეკიპირების სრული კომპლექტით, რომლის შეძენასაც უზრუნველჰყოფს კლუბის ოფიციალური სპონსორი „აი-პი-ემ" ტერმინალი და ეს ვალდებულება ამ კომპანიას აღებული აქვს 2011 წლიდან, 2017 წლის ბოლომდე. 2011-2012 წელს ზემოთ აღნიშნულმა კომპანიამ კლუბი შემოსა „სალერის" ფირმის ეკიპირებით, ხოლო 2013 წელს ის ჩაანაცვლა „უმბროს" ფირმით, 2014 წლის თებერვალში გუნდმა მიიღო „უმბროს" ფირმის ახალი სრული კომპლექტი, ხოლო ძველი ეკიპირება დაურიგდათ ფეხბურთელებს სავარჯიშოდ, ხოლო ნაწილი კი ინახება კლუბის საწყობში იმავე დანიშნულებისათვის, რომლითაც სარგებლობა შეუძლიათ კლუბის ნებისმიერ ფეხბურთელს. ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე არის რამოდენიმე ფეხბურთელი, რომელთაც 2012 წელს დატოვეს გუნდი, ამავე სურათზე უკან მოჩანს ცარიელი ტრიბუნები, რომელიც ერთი წელია უკვე დანგრეულია, რაც ადასტურებს ფოტოს სიძველეს და არა მგონია ვინმემ დაიჯეროს, რომ ფოთის „კოლხეთი 1913-ის" საშინაო მატჩს ერთი გულშემატკივარიც კი არ ესწრებოდა, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ფოტო გადაღებულია ვარჯიშზე. ცალკე აღნიშვნის ღირსია ჟურნალისტის ცინიკური ტონი ჩვენი კლუბისადმი, გასაგებია, რომ ბატონი კობა არ ემხრობა 16-გუნდიან ჩემპიონატს. ეს მისი ნება და უფლებაა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, უხერხულია შეურაცჰყოფა მიაყენო კლუბს და აპელირება გააკეთო იმ ნაწილზე, სადაც მას წლების განმავლობაში არანაირი პრობლემა არ გააჩნია და ელემენტარულად ამ კამპანიაში ჩვენი კლუბის ასეთ კონტექსტში მოხსენიება არამართებულად მიგვაჩნია. ს/კ „კოლხეთი 1913-ის" დირექტორატი, ადმინისტრაცია, ფეხბურთელები, თანამშრომლები და გულშემატკივრები თავს შეურაცჰყოფილად გრძნობენ გამოქვეყნებული სტატიის გამო, იმ ქალაქის გუნდს, სადაც ქართული ფეხბურთის აკვანი დაირწა, როგორც ავტორი აღნიშნავს, ასეთი დამოკიდებულება არ ეკუთვნის, მით უმეტეს იმ დროს როდესაც გუნდი ემზადება პლეი ოფის მატჩებისათვის, რომელიც სავარაუდოდ ამ დღეებში ქ. თბილისში უნდა გაიმართოს. ბატონო კობა, შეგიძლიათ მობრძანდეთ ამ მატჩებზე და თქვენი თვალით იხილოთ ჩვენი ვიზუალური მხარე და პირობას გაძლევთ, ერთ ფორმას ჩვენი კლუბის სახელით თქვენც გისახსოვრებთ.

პატივისცემით,
ფოთის „კოლხეთი 1913-ის"
პრესსამსახური




P.S. თუ ამ ტიპის ფოტოებს სადმე წააწყდებით არ დაგვზარდეთ და გამოგვიგზავნეთ გაზეთის ელექტრონულ მისამართზე: leloltd@gmail.com.

● ჩიხურა

# სამი გამოირიცხა, დანარჩენები საეჭვოა

საჩხერის „ჩიხურას" თავდამსხმელი და ერთ-ერთი ლიდერი **ბესიკ დეკანოიძე** დაშავებულია და დიდი ალბათობით, თავისიანებს ეროვნული თასის ფინალში ვერ დაეხმარება. ლანჩხუთში, „გურიასთან" ბოლო ტურის შეხვედრისას, საჩხერელთა 22 წლის ფეხბურთელი უკვე მე-8 წუთზე გახდა შესაცვლელი, როცა მასპინძელთა ნახევარმცველი **ზურაბ ძამსაშვილი** ეუხეშა.



შესაძლოა, ჩიხურას ფინალში ბესიკ დეკანოიძეც დააკლდეს

საერთოდ, ბოლო ტურის ეს შეხვედრა, რომელიც აბსოლუტურად არაფერს ცვლიდა, რატომღაც, მეტისმეტად უხეში და დაძაბული გამოდგა. დაზარალებულები ორივე გუნდში არიან - ლანჩხუთელებიდან შემტევი ნახევარმცველი **ალექსანდრე შენგელია** დაშავდა და ისიც ადრეულად შეცვალეს. ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს - მყესი აქვს დაჭიმული, დეკანოიძეს კი მატჩის შემდეგ დამოუკიდებლად სიარული არ შეეძლო.

„კვარაცხელია წავიდა და კონტრაქტი გავწყვიტეთ. ამას ემატება ისიც, რომ ბევრი დაშავებული გვყავს - მეკარე სომხიშვილი, ჭელიძე, ჯილაური... გრიგალაშვილიც მკურნალობს, წინამძღვრიშვილმა კუნთზე ოპერაცია გაიკეთა. ახლა ამას დეკანოიძის ტრავმა დაემატა. მას კოჭი აქვს გაგლეჯილი, კაშიას და გაბედავას კი - კოჭებში იმდენი ურტყეს, დაუსივდათ. არადა, როგორ ვემზადებოდით ამ ფინალისთვის... ერთი სიტყვით, წინამძღვრიშვილის, გრიგალაშვილისა და დეკანოიძის თამაში გამორიცხულია, დანარჩენები კი ვნახოთ, იმედი ჯერ კიდევ არის", - ამბობს საჩხერელთა მთავარი მწვრთნელი **სოსო ფრუიძე**.

საკითხავია, გამოჯანმრთელების შემთხვევაში თასის ფინალში ითამაშებს თუ არა **ჯაბა ჯილაური**, რომლის ტრანსფერიც, ისევე, როგორიც **ელგუჯა გრიგალაშვილის** შემთხვევაში, თბილისის „დინამოს" ეკუთვნის. საჩხერელთა დამრიგებელს ამის თაობაზეც ვკითხეთ: „დინამოელების თამაშზე პრობლემა არ არის, მთავარია, ჯაბა ჯილაური ჯანმრთელად იყოს".

მერაბ მამულაშვილი

● ტელემედია

# 19:00, შვეიცარია-საქართველო

სასტუმრო „რედისონში" კომპანია „სილკნეტ TV" მედიას შეხვდა და სიახლეები გააცნო. პრესკონფერენციაზე, კომპანიის კომერციულმა დირექტორმა **ბაჩო ჩინჩალაძემ** და ტელეკომპანია GMG-ის საფეხბურთო ჯგუფის ხელმძღვანელმა **ლევან სალუქვაძემ** ორი ტელეკომპანიის გაერთიანებასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

გაირკვა, რომ „სილქნეტ TV-მ" შეიძინა GMG-ის 6 არხი და 1 ივნისიდან ეთერში „სილქნეტ TV-ს" ლოგოთი გავა. ამ გაერთიანების შედეგად მაყურებელს 4 სპორტული არხის ცქერის საშუალება მიეცემა, რომელსაც უკან გადახვევის ფუნქციაც ექნება. სტრუქტურული ცვლილებების მიუხედავად, GMG-ის ყველა გადაცემა და შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობას ძველებურად გააგრძელებს. რაც მთავარია, დიდი ყურადღება დაეთმობა ქართულ სპორტს და, კერძოდ, ფეხბურთს. მაგალითად, **გიორგი ყიფიანის** გადაცემა „ფეხბურთის დრო" სწორედ ამ არხზე გავა.

როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადეს, გეგმავენ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციებსაც, 25 მაისს კი სამაუწყებლო ბადეში ჩასვეს ლოზანის სტადიონიდან შვეიცარიისა და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებების შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟი, რომელიც ჩვენი დროით 19 საათზე დაიწყება.

მერაბ მამულაშვილი

## ჭაბუკთა ლიგა

### XXVI ტური

**1996/97 წ.დ.**

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ნ. დინამო | 6:2 |
| ზუგდიდი-საბურთალო | 0:4 |
| ზესტაფონი-ჩიხურა | 8:3 |
| დინამო (თბ)-ტორპედო | 1:1 |
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 4:1 |
| სიონი-35-ე სს | 0:0 |
| გურია-დილა | 2:0 |
| სპარტაკი-დინამო (ბთ) | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 26 | 22 | 3 | 1 | 89-16 | 69 |
| 2. დინამო (თბ) | 26 | 17 | 4 | 5 | 71-29 | 55 |
| 3. საბურთალო | 26 | 15 | 6 | 5 | 55-27 | 51 |
| 4. ტოპედო | 26 | 15 | 6 | 5 | 46-39 | 51 |
| 5. 35-ე სს | 26 | 13 | 7 | 6 | 67-37 | 46 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 26 | 13 | 7 | 6 | 67-37 | 46 |
| 7. დილა | 26 | 12 | 8 | 6 | 46-30 | 44 |
| 8. დინამო (ბთ) | 26 | 10 | 6 | 10 | 42-40 | 36 |
| 9. მერანი | 26 | 10 | 3 | 13 | 29-55 | 33 |
| 10. სიონი | 26 | 8 | 5 | 13 | 39-49 | 29 |
| 11. ზესტაფონი | 26 | 8 | 4 | 14 | 42-58 | 28 |
| 12. სპარტაკი | 26 | 7 | 5 | 14 | 34-49 | 26 |
| 13. ნ. დინამო | 26 | 6 | 4 | 16 | 34-53 | 22 |
| 14. ზუგდიდი | 26 | 4 | 10 | 12 | 26-44 | 22 |
| 15. გურია | 26 | 5 | 3 | 18 | 11-68 | 18 |
| 16. ჩიხურა | 26 | 2 | 1 | 23 | 25-79 | 7 |

**1998/99 წ.დ.**

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ნ. დინამო | 4:0 |
| ზუგდიდი-საბურთალო | 0:4 |
| ზესტაფონი-ჩიხურა | 3:0 |
| დინამო (თბ)-ტორპედო | 6:0 |
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 6:0 |
| სიონი-35-ე სს | 0:3 |
| გურია-დილა | 0:3 |
| სპარტაკი-დინამო(ბთ) | 4:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 26 | 22 | 3 | 1 | 113-11 | 69 |
| 2. 35-ე სს | 26 | 21 | 1 | 4 | 66-20 | 64 |
| 3. საბურთალო | 26 | 19 | 7 | 0 | 76-6 | 64 |
| 4. ტორპედო | 26 | 16 | 2 | 8 | 48-26 | 50 |
| 5. დილა | 26 | 14 | 5 | 7 | 36-28 | 47 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 26 | 12 | 6 | 8 | 45-30 | 42 |
| 7. ზუგდიდი | 26 | 11 | 6 | 9 | 38-39 | 39 |
| 8. მეტალურგი | 26 | 11 | 4 | 11 | 34-31 | 37 |
| 9. სპარტაკი | 26 | 11 | 2 | 13 | 37-45 | 35 |
| 10. ნ. დინამო | 26 | 8 | 7 | 11 | 27-44 | 31 |
| 11. ზესტაფონი | 26 | 7 | 8 | 11 | 26-30 | 29 |
| 12. დინამო (ბთ) | 26 | 6 | 8 | 12 | 24-35 | 26 |
| 13. მერანი | 26 | 4 | 4 | 18 | 17-71 | 16 |
| 14. სიონი | 26 | 3 | 5 | 18 | 23-79 | 14 |
| 15. ჩიხურა | 26 | 3 | 3 | 20 | 15-54 | 12 |
| 16. გურია | 26 | 3 | 3 | 20 | 10-86 | 12 |

არგენტინა. ტორნეო ფინალი. XIX ტური

# რივერი ჩემპიონია

**ტორნეო ფინალის დასრულებამდე ერთი მატჩია დარჩენილი, რომელსაც სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა აღარ აქვს - ყველაფერი ისედაც გარკვეულია. უფრო სწორად, თითქმის ყველაფერი, რადგან ჯერ კიდევ უცნობია თუ ვინ იქნება მესამე გუნდი, რომელიც „ოლ ბოისთან“ და „არგენტინოს ხუნიორსთან“ ერთად პრიმერადან გავარდება...**

## რივერი ჩემპიონია

როგორც მოსალოდნელი იყო, „რივერ პლეიტმა“ „კილმესს“ მოუგო და არგენტინის ჩემპიონის ტიტული 6-წლიანი პაუზის შემდეგ მოიპოვა. „მილიონერებმა“ უმოტივაციო მეტოქეს ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს და „მონუმენტალზე“ შეკრებილი პუბლიკა უზომოდ გაახარეს. მასპინძელთა რიგებში ყველა ფეხბურთელი კარგად გაისარჯა, მაგრამ განსაკუთრებით გამოსარჩევია **ფერნანდო კავენაგის** მშვენიერი თამაში და **კრისტიან ლედესმას** ულამაზესი გოლი. კავენაგიმ დუბლი შეასრულა, გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და გარდა ამისა, თავი საგოლე პასითაც გამოიჩინა. ლედესმამ კი საჯარიმოს გარედან, ასე 35 მეტრიდან დაარტყა და **ვალტერ ბენიტესის** კარის ზედა ცხრიანში გაიტანა.

**რამონ დიასის** გუნდმა 5:0 მოიგო და ისტორიაში 35-ე (სამოყვარულო ეპოქის ჩათვლით - 36-ე) ტიტული მოიპოვა. თავად დიასისთვის მწვრთნელის რანგში ეს უკვე მე-6 ჩემპიონობაა, რომელიც მან „რივერთან“ ერთად მოიპოვა. მასზე მეტი ამ კლუბთან ერთად მხოლოდ **ხოსე მარია მინელიას** აქვს მოგებული, რომელმაც „მილიონერები“ 40-იან და 50-იან წლებში 7-ჯერ გააჩემპიონა. დიასის მსგავსად, 6-გზის ჩემპიონი **ანხელ ლაბრუნა** გახლავთ.

ჩემპიონატში მეორე ადგილზე კი მოულოდნელად „ბოკა ხუნიორსი“ გავიდა, რომელმაც „ხიმნასიას“ **ლუსიანო აკოსტას** გოლით მოუგო და სატურნირო ცხრილში მასთან ერთად მეორე ლაპლატურ გუნდს, „ესტუდიანტესსაც“ გადაასწრო, ვინც სტუმრად „ტიგრესთან“ დამარცხდა.

## კოლონი და ატლეტიკო რაფაელა

ეს ორი კლუბი გადათამაშებაში ითამაშებს და ურთიერთშეხვედრაში გაარკვევს იმ კლუბის ვინაობას, რომელიც პრიმერადან გავარდება. ბოლო ტურის წინ დაქვეითების შანსი სამ გუნდს, ზემოთხსენებულ დუეტს და „გოდოი კრუსს“ ჰქონდათ. მენდოსელებმა საკუთარი თამაში მოიგეს, სამი წლის ჯამში 142 ქულა მოაგროვეს და გადარჩნენ. პარალელურად, „კოლონიც“ და „ატლეტიკოც“ ფრედ თამაშობდნენ, რაც ნიშნავდა იმას, რომ ორივე გუნდი 140 ქულას მოაგროვებდა და მათ შორის გადათამაშება დაინიშნებოდა. მთავარი მოვლენები კი 90 წუთის ამოწურვის შემდეგ განვითარდა. „არსენალის“ და „ატლეტიკო რაფაელას“ შეხვედრაში, არბიტრის მიერ დამატებულ პირველ წუთზე, **ლუკას ალბერტენგომ** გაიტანა და სტუმრები დააწინაურა. საბოლოოდ, სარანდიში გამართული მატჩი 1:2 დასრულდა, „კოლონი“-“ოლიმპო“ კი გრძელდებოდა და ანგარიში იქ კვლავ საყაიმო იყო. **დიეგო ოსელიას** შეგირდებმა კარგად იცოდნენ, თუ გოლს არ გაიტანდნენ - გავარდებოდნენ. 94-ე წუთზე, მასპინძლებმა ჯარიმა შეასრულეს, სტუმართა მეკარემ **ნერეო შამპანმა** ბურთი კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას **ლუკას ალარიომ** დაასწრო, რომლის დარტყმის შემდეგ ბურთი ისევ შამპანს მოხვდა და კარში შეგორდა - 2:1.

აი, ასე დრამატულად წარიმართა ამ შეხვედრების ბოლო წუთები. საბოლოოდ კი მივიღეთ ის, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში „კოლონმაც“ და „ატლეტიკო რაფაელამაც“ 142 ქულა მოაგროვეს, რის გამოც მათ შორის გადათამაშება დაინიშნა. ასე რომ, ის რაც სამი წლის (6 სეზონი) ჯამში უნდა გარკვეულიყო, ერთ შეხვედრაში გადაწყდება.

## სუპერფინალი

„სან ლორენსო“-“ველეს სარსფილდის“ და გადათამაშების გარდა, გასამართი კიდევ ერთი შეხვედრა დარჩა - სეზონის ფინალი, რომელშიც ერთმანეთს „ტორნეო ინისიალის“ გამარჯვებული „სან ლორენსო“ და „ტორნეო ფინალის“ გამარჯვებული „რივერ პლეიტი“ შეხვდებიან. ამ მატჩის მოგებული კიდევ ერთ საჩემპიონო ტიტულს მიითვლის და 2013/14 წლების სეზონის ჩემპიონად გამოცხადდება.

ამ უცნაური წესის შესახებ, რომლის მიხედვითაც არგენტინის ერთ სეზონში სამი საჩემპიონო ტიტული თამაშდება უკვე კარგად უნდა იცოდეთ, თუმცა მომავალი წლიდან, ქვეყნის პირველობა სხვა სისტემით გაიმართება.

## გარდამავალი ეტაპი

მომდევნო ჩემპიონატი აგვისტოში დაიწყება და მას „ტორნეო ტრანსისიონ“, ანუ გარდამავალი ტურნირი ერქმევა. 20-გუნდიანი პირველობა ტრადიციულად, ერთ წრედ გაიმართება და გამარჯვებული ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს. აი, 2015 წლიდან კი არგენტინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 30 (!) გუნდი ითამაშებს. კალენდარული წლის განმავლობაში ერთი ჩემპიონატი გაიმართება და შესაბამისად, მხოლოდ ერთი ჩემპიონი გამოვლინდება. კლუბები ერთმანეთს თითოჯერ შეხვდებიან და იმისთვის, რომ პირველობა 29 მატჩით არ დაასრულონ, კიდევ ერთ, 30-ე ტურში, ერთმანეთს ის გუნდები დაუპირისპირდებიან, ვისაც ისტორიული მტრობა აკავშირებთ. ანუ, „ბოკა“-“რივერი“, „ხიმნასია“-“ესტუდიანტესი“, „რასინგი“-“ინდეპენდიენტე“ და ა.შ. სეზონში 2-ჯერ გაიმართება. რა თქმა უნდა, 30-ვე გუნდს ისტორიული მეტოქე არ მოეძებნება, შესაბამისად, დანარჩენები ერთმანეთთან ბრმა კენჭისყრით დაწყვილდებიან.

მოკლედ, დღევანდელი სისტემის მოგონების შემდეგ, როდესაც წლის განმავლობაში სამი ტიტული თამაშდება და არის შანსი ერთი კლუბი (ამ შემთხვევაში „რივერი“) ერთ კვირაში ჩემპიონი ორჯერ გახდეს, ვიფიქრეთ, რომ არგენტინელები უკვე ვერაფრით გაგვაოცებდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, მწარედ ვცდებოდით - **ხულიო გრონდონას** და მის თანამოაზრეებს (რბილად რომ ვთქვათ) უცნაური იდეები არ ელევათ. საინტერესოა, რამდენი ხნის განმავლობაში ითამაშებენ ამ 30-გუნდიანი სისტემით არგენტინაში და მომავალში რას მოიფიქრებენ ამ ქვეყნის ფეხბურთის „ბრძენი“ მმართველები. ჰო, ისიც საინტერესოა, როდის შეატყობინებენ გრონდონას ან მის შემცვლელს, რომ 18 ან 20 გუნდის ორწრიანი ტურნირის გამართვაც შეიძლება და ასეთი სისტემა ევროპაში და თუნდაც ბრაზილიაში უკვე წლების განმავლობაშია აპრობირებული...

| როსარიო-არ. ხუნიორსი | 3:2 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ხ. მენდესი (22), 2:0 ნილი (26), 2:1 გ. ინიგესი (71), 3:1 ვ. აკუნია (84), 3:2 ფრეირე (87)

| არსენალი-ატლ. რაფაელა | 1:2 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ნ. აგირე (14), 1:1 ელუჩანსი (49), 1:2 ალბერტენგო (90+1)

| კოლონი-ოლიმპო | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 სარულიტე (64), 1:1 განდინი (71), 2:1 ალარიო (90+4)

| გოდოი კრუსი-რასინგი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 გ. დიასი (2), 1:1 რ. მარტინესი (41), 2:1 კასტილიონი (62)
**გაძევება:** გაბ. აუჩე (60. რასინგი)

| ხიმნასია-ბოკა | 0:1 |
|---|---|

**გოლი:** 0:1 ლუსიანო აკოსტა (13)
**გაძევება:** ლაჩალდე (90)

| ტიგრე-ესტუდიანტესი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 კარილიო (24), 1:1 იტაბელი (43), 2:1 გოდოი (48)
**გაძევება:** ფ. ხარა (54. ესტუდიანტესი), შუნკე (79. ესტუდიანტესი)

| რივერი-კილმესი | 5:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 კავენაგი (10), 2:0 მერკადო (25), 3:0 ლედესმა (63), 4:0 კავენაგი (71), 5:0 ტ. გუტიერესი (89)

| ლანუსი-ნიუელსი | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ვ. აიალა (26), 1:1 ნ. კასტრო (50)
**გაძევება:** დ. გონსალესი (60)

| ოლ ბოისი-ბელგრანო | 0:0 |
|---|---|

სან ლორენსო-ველესი გვ. დასრულდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რივერი | 19 | 11 | 4 | 4 | 28-15 | 37 |
| 2. ბოკა | 19 | 9 | 5 | 5 | 25-15 | 32 |
| 3. ესტუდიანტესი | 19 | 8 | 8 | 3 | 20-11 | 32 |
| 4. გოდოი კრუსი | 19 | 9 | 5 | 5 | 23-18 | 32 |
| 5. ხიმნასია | 19 | 9 | 4 | 6 | 24-19 | 31 |
| 6. კოლონი | 19 | 8 | 6 | 5 | 14-13 | 30 |
| 7. როსარიო | 19 | 7 | 7 | 5 | 21-21 | 28 |
| 8. ლანუსი | 19 | 8 | 4 | 7 | 21-23 | 28 |
| 9. ველესი | 18 | 8 | 3 | 7 | 31-24 | 27 |
| 10. ოლიმპო | 19 | 7 | 6 | 6 | 19-16 | 27 |
| 11. სან ლორენსო | 18 | 7 | 6 | 5 | 17-17 | 27 |
| 12. ნიუელსი | 19 | 6 | 7 | 6 | 22-18 | 25 |
| 13. ტიგრე | 19 | 5 | 9 | 5 | 14-14 | 24 |
| 14. კილმესი | 19 | 7 | 3 | 9 | 16-22 | 24 |
| 15. ბელგრანო | 19 | 3 | 11 | 5 | 17-21 | 20 |
| 16. ატლ. რაფაელა | 19 | 4 | 8 | 7 | 22-28 | 20 |
| 17. არსენალი | 19 | 5 | 3 | 11 | 19-28 | 18 |
| 18. რასინგი | 19 | 4 | 5 | 10 | 19-24 | 17 |
| 19. არ. ხუნიორსი | 19 | 3 | 6 | 10 | 9-21 | 15 |
| 20. ოლ ბოისი | 19 | 3 | 6 | 10 | 14-27 | 15 |

**ბომბარდირები:** 11 - მაურო სარატე (ველეს სარსფილდი); 9 - გვიდო კარილიო (ესტუდიანტესი); 8 - ფერნანდო კავენაგი (რივერ პლეიტი), ემანუელ ჟიგლიოტი (ბოკა ხუნიორსი); 7 - ხოსე ვალენსია (ოლიმპო)

**ასისტენტები:** 7 - ანხელ კორეა (სან ლორენსო); 6 - მანუელ ლანსინი (რივერ პლეიტი); 5 - ვიქტორ ფიგეროა (ნიუელს ოლდ ბოისი), არიელ ნაუელპანი (ტიგრე), მაურო სარატე (ველეს სარსფილდი)

| გასაშუალოებული ცხრილი | | | |
|---|---|---|---|
| 15. გოდოი კრუსი | 114 | 143 | 1.254 |
| 16. კილმესი | 76 | 95 | 1.250 |
| 17. ატლ. რაფაელა | 114 | 142 | 1.246 |
| 18. კოლონი | 114 | 142 | 1.246 |
| 19. ოლ ბოისი | 114 | 132 | 1.158 |
| 20. არ. ხუნიორსი | 114 | 126 | 1.105 |

ტატო ბაციკაძე



მანჩესტერ იუნაიტედი



რობინ ვან პერსი და ლუი ვან გაალი ნაკრების შემდეგ მუშაობას კლუბშიც ვერდივერდ განაგრძობენ

# ახალი მწვრთნელი, კაპიტანი

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ „მანჩესტერ იუნაიტედზე“ კომენტარს **ლუი ვან გაალი** განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე აკეთებდა, აცხადებდა რა, რომ ყველაფერი კლუბის პოზიციაზე იყო დამოკიდებული. „იუნაიტედის“ ვებგვერდმა ჰოლანდიელის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია გუშინ ოფიციალურად დაადასტურა. მხარეთა შორის კონტრაქტი სამი წლით გაფორმდა. აი, რას ვკითხულობთ კლუბის განცხადებაში: *„ვან გაალი თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტია. კარიერის განმავლობაში მას მრავალი მიღწევა აქვს და „ოლდ ტრეფორდზეც“ იმავე გამეორებას აპირებს“.*

*„პრემიერლიგაში მუშაობა ყოველთვის მინდოდა. ვფიქრობ, „იუნაიუტედი“ ერთ-ერთი უდიდესი კლუბია მსოფლიოში და ვამაყობ, რომ მისი გაწვრთნა მომანდეს. „ოლდ ტრეფორდზე“ რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. შესაბამისად, ვიცი, რამდენად ამბიციური ფანები ჰყავს კლუბს. ეს კარგია, რადგან საკუთარ თავსაც ამბიციურ ადამიანად მივიჩნევ. ერთად ჩვენ ახალ ისტორიას დავწერთ,“* - დასძინა ვან გაალმა.

როგორც ჩანს, რამდენიმე დღის წინ **ედ ვუდვორდთან** და **რაიან გიგზთან** შეხვედრაზე 62 წლის სპეციალისტმა გარანტიები მიიღო. ის ჯერ კიდევ ინფორმაციის ოფიციალურად გამოცხადებამდე აკეთებდა არაორაზროვან განცხადებებს. მაგალითად იმაზე, რომ მისთვის **რობინ ვან პერსი** საუკეთესო კაპიტანია. მოგეხსენებათ, **ნემანია ვიდიჩის** ნასვლის შემდეგ „იუნაიტედში“ ეს საპასუხისმგებლო პოსტი ვაკანტურია. სხვათა შორის, უქმეებზე 30 წლის თავდამსხმელმა, **არიენ რობენის** არყოფნაში, ჰოლანდიის ნაკრებს ეკვადორთან ამხანაგურ შეხვედრაში (1:1) უკაპიტნა, სადაც გოლითაც გამოიჩინა თავი. აი, თქვა ვან გაალმა სამხრეთამერიკელებთან მატჩის დასრულების შემდეგ:

*„ვან პერსი ჩემთვის იდეალური კაპიტანია. ის ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს და ულამაზესი გოლები გააქვს მიუხედავად იმისა, რომ სულ ახლახან მოიშუშა მძიმე ტრავმა. კმაყოფილი ვარ არამხოლოდ მისი თამაშით, არამედ იმითაც, თუ როგორ ასრულებს კაპიტნის მოვალეობას. დარწმუნებული ვარ, რომ სხვა მწვრთნელებიც ასე იქცევიან და კაპიტნებად იმ ფეხბურთელებს ნიშნავენ, ვისაც ყველაზე მეტად ენდობიან როგორც საფეხბურთო მინდორზე, ისე ცხოვრებაშიც. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ეს ფაქტორი არანაკლებ მნიშვნელოვანია. მე და რობინს კი ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის“.*

## რკინის ხელი ოლდ ტრეფორდზე

ჰოლანდიელი საფეხბურთო ანალიტიკოსი **მარსელ ვან დერ კრაანი** „მანჩესტერ ივნინგ ნიუსისთთან“ ინტერვიუში „იუნაიტედის“ ფეხბურთელებს კიდევ ერთხელ აფრთხილებს, რომ ვან გაალი არ არის უბრალოდ მკაცრი მწვრთნელი. მას საკუთარი შეგირდების მართვა უყვარს როგორც მინდორზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ვან დერ კრაანის თქმით, ახალი მწვრთნელი გუნდს ლამის „კომენდანტის საათის“ წესებით ცხოვრებას აიძულებს:

*„მაგალითად, უეინ რუნის ამიერიდან აღარ ექნება საშუალება, თამაშის შემდეგ სადმე რესტორანში გადაუხვიოს და რამდენიმე კათხა ლუდი მიირთვას, რადგან მეორე დღეს მას ანგარიშის ჩაბარება მოუწევს მწვრთნელთან. ვან გაალი ფეხბურთელებს იმასაც კი მოჰკითხავს, თუ რა მიირთვეს სახლში და თუკი გაიგო, რომ ვინმემ შემწვარი კარტოფილი შეჭამა, კაბინეტში ცალკე დაიბარებს. შესაძლოა, ვინმეს ეს სასაცილოდ არ ეყოს, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის წინ სწორედ ასეთი რეჟიმით ცხოვრობს. მსგავსი დამოკიდებულება საქმისადმი ვან გაალის საფეხბურთო კრედოა. ამასთან სულაც არ მინდა ვინმემ ისე გაიგოს, რომ ფეხბურთელებს მწვრთნელის უნდა ეშინოდეთ. პირიქით, ლუი შეგირდებს ნებისმიერ სიტუაციაში ბოლომდე იცავს და ამის გამო მოთამაშეებს ის, როგორც წესი, ძალიან უყვართ ხოლმე“.*

ლევან ბიბილაშვილი

80 ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A XXXVIII ტურის შეჯამება

# კალჩოს დრამატული ფინიში

## რა აკავშირებთ ალესიო ჩერჩისა და რობერტო ბაჯოს




**სერია A-ს 2013/2014 წლების სეზონი დასრულდა და ყველა კითხვას გაეცა პასუხი. „იუვენტუსი“ ჩემპიონია და მეორეადგილოსან „რომასთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე მოხვედრას საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით შეეცდება მესამე ადგილზე გასული „ნაპოლი“. „ფიორენტინა“, „ინტერი“ და „პარმა“ ევროპალიგაზე იასპარეზებენ, „კატანიამ“, „ბოლონიამ“ და „ლივორნომ“ კი გაანბილეს გულშემატკივარი და მომდევნო სეზონში სერია B-ში ითამაშებენ...**

### ბებერი ქალბატონის რეკორდი

„იუვენტუსმა“ ჩემპიონატი 102 ქულით დაასრულა, ასეთი შედეგი კი სერია A-ში აქამდე არც ერთ გუნდს არ ჰქონია. მოკლედ, **ანტონიო კონტეს** გუნდი დიდ სიმაღლეს შეწვდა და რაოდენ გასაკვირია, რომ შესაძლოა ამ წარმატების მთავარმა შემოქმედმა დატოვოს ტურინული გრანდი. კონტესა და კლუბის მესვეურებს შორის კონფლიქტია და ჯერჯერობით, გამოსავალი არ ჩანს. მწვრთნელი ტრანსფერებისთვის დიდძალ თანხას ითხოვს, „იუვეს“ პრეზიდენტმა **ანდრეა ანიელიმ** კი მკაფიოდ განაცხადა, რომ ზაფხულში ხმაურიან ტრანსფერებს არ უნდა ველოდოთ. თუმცა, გადავდოთ ეს ამბავი სამომავლოდ და ამ ეტაპზე „იუვეს“ მართლაც გასაოცარ შედეგზე გამავახვილოთ ყურადღება. ტურინელებმა 38-დან 33 მატჩი მოიგეს, რაც უდავოდ ფენომენური შედეგია.

განვლილ ტურში, „ვეკია სენიორამ“ „კალიარის“ გაუტანა სამი უპასუხო გოლი. ერთი სარდინიელთა მეკარეს ჩაუთვალეს ავტოგოლად, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს **ანდრეა პირლოს** ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმას - პირლომ დაახლოებით 35 მეტრიდან გაისროლა, ბურთი ხარიხას მოარტყა და გოლკიპერის ზურგიდან ასხლეტილი ბადეში გაეხვია. ეფექტური იყო **კლაუდიო მარკიზიოს** გოლი, რომელმაც ერთი შეხებით შეიგდო ბურთი ხელსაყრელ პოზიციაზე და უძლიერესი დარტყმით კუნძულელებს შანსი არ დაუტოვა. მოკლედ, „იუვემ“ გაილაღა და შთამბეჭდავი სეზონი დიდებულად დაასრულა.

### პარმა ევროპალიგაზე

ბოლო ტურში, ერთადერთი კითხვის ნიშანი ევროპალიგის საგზურს უკავშირდებოდა, რომლის მფლობელი „პარმა“ გახდა. მეექვსე ადგილზე გასვლის შანსი ჰქონდა „ტორინოს“, „მილანს“ და „ვერონას“, მაგრამ საბოლოოდ ყველას სწორედ ემილიურმა გუნდმა აჯობა. ბოლო პერიოდში, პარმეზანელებს ჩავარდნა ჰქონდათ და ბევრმა აღნიშნა, რომ ევროსაგზურს უფრო „ტორინო“ იმსახურებდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შუა სეზონში **რობერტო დონადონის** გუნდს შთამბეჭდავი წაუგებელი სერია ჰქონდა. ემილიელებმა სწორედ მაშინ დააგროვეს ქულები და საბოლოოდ, სეზონი ევროზონაში დაასრულეს.

ბოლო ტურში, „პარმა“ გავარდნილ „ლივორნოს“ მასპინძლობდა და ბუნებრივია, უპირობო ფავორიტად ითვლებოდა. თუმცა, მასპინძლებს ძალიან გაუჭირდათ თამაშის სასურველი სცენარით წარმართვა და მიზანს მხოლოდ ერთი კონკრეტული ფეხბურთელის ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მიაღწიეს. მეორე ნახევარში თამაშში **კარვალიო ამაური** ჩაერთო, რომელმაც დუბლი შეასრულა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, 2:0. ამრიგად, მომდევნო სეზონში „პარმა“ ევროპალიგაზე იასპარეზებს.

### ფლორენციული დრამა

„პარმა“ ევროზონის მიღმა დარჩებოდა, „ტორინოს“ რომ თავისი თამაში ფლორენციაში მოეგო. მატჩი დრამატულად წარიმართა, რომლის კულმინაცია ბოლო წუთზე „ფიორენტინას“ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი გახლდათ. ანგარიში 2:2 იყო, როდესაც არბიტრმა „ტოროს“ პენალტის დარტყმის უფლება მისცა და ბურთთან გუნდის ლიდერი, **ალესიო ჩერჩი** მივიდა - აქ კი მოხდა ის, რაც ხშირად ემართებათ ხოლმე ლიდერებს - ჩერჩიმ პენალტი ვერ გამოიყენა და „ტორო“ ევროპალიგის მიღმა დატოვა.

იტალიელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა ჩერჩი უკვე შეადარეს თვით **რობერტო ბაჯოს** და კიდევ არაერთ დიდ ფეხბურთელს, რომლებმაც გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი გააფუჭეს.

### მილანი ევროპის მიღმა

1998 წლის შემდეგ პირველად „მილანი“ ევროთასებს მიღმა დარჩა. დიახ, იტალიური და ევროპული ფეხბურთის გრანდი მომდევნო სეზონში მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით იასპარეზებს. გასულ უქმეებზე, ლომბარდიელებმა „სასუოლო“ დაამარცხეს, მაგრამ სასურველ მიზანს მაინც ვერ უწიეს. ნამატჩევს **კლარენს ზეედორფი** იმედგაცრუებული იყო:

*„ბერგამოში მარცხი სეზონის მთავარი იმედგაცრუება იყო, დღევანდელი გამარჯვებით კი შეგვიძლია მხოლოდ თავი გავიმხნევოთ. მთლიანობაში, კმაყოფილი ვარ შეგირდებით და იმ პერიოდით, რომელიც „მილანელოზე“ მწვრთნელის რანგში გავატარე. მივდივარ თუ ვრჩები? - უახლოეს დღეებში, კლუბის მესვეურებს დაველაპარაკები და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი“.*

### პერსონები

ტურის მთავარი გმირი **კარვალიო ამაურია**, რომელიც მეორე ტაიმში გამოჩნდა მინდორზე და შესრულებული დუბლით „პარმა“ ევროპალიგაზე გაიყვანა. აუცილებლად უნდა გამოვყოთ **ანტონიო დი ნატალე**, რომელმაც ჰეთთრიკი შეუსრულა „სამპდორიას“ და ჩემპიონატი საუკეთესო ბომბარდირებს შორის დაასრულა. ტოტომ სეზონი 17 გოლით დაამთავრა და სერია A-ს ყველა დროის ბომბარდირებს შორის მე-7 ადგილზეა. დი ნატალეს ჯერ კიდევ არ გადაუწყვიტავს, გააგრძელებს კარიერას თუ ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს - 36 წლის თავდამსხმელის თქმით, საბოლოო გადაწყვეტილებას შვებულების შემდეგ მიიღებს.

**ხავიერ ძანეტი** „ინტერის“ გულშემატკივრებს 37-ე ტურში გამოეთხოვა, მაგრამ საფეხბურთო კარიერა გასულ უქმეებზე დაასრულა. ლეგენდარულმა არგენტინელმა ბოლო მატჩი ვერონაში გამართა, სადაც „კიევომ“ „ნერაძური“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა, 2:1. ძანეტისთან ერთად, „ინტერს“ **დიეგო მილიტო** და **ვალტერ სამუელი** დაემშვიდობნენ. მოკლედ, „ნერაძურიში“ ერთი დიდი ეპოქა დასრულდა.

„ინტერის“ ძლევაში მთავარი „დამნაშავე“ **ვიქტორ ობინაა**, რომელიც 72-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, ორი გოლი შეაგდო და „კიევოს“ გამარჯვება მოუტანა. ნიგერიელი ფორვარდი მილანელმა მცველებმა ვერაფრით გააკავეს და შედეგად, „ინტერის“ ღვაწლმოსილ ვეტერანებს გაცილების მატჩი ჩაუმწარდათ.

**ლაშა წიკლაური**


რობერტო დონადონიმ და ანტონიო კასანომ ევროპალიგაზე გასვლა ასე იზეიმეს

ბრაზილია. სერია A V ტური


განსომ (მარჯვნივ) „ფლამენგოს“ ორი გოლი გაუტანა

# საინტერესო მატჩები

**ბრაზილიის ჩემპიონატში იმდენი გრანდი თამაშობს, შეუძლებელია ტურში რამდენიმე საინტერესო შეხვედრა არ გაიმართოს. ამ მხრივ გამონაკლისი არც მეხუთე ტური გამოდგა...**

„მარაკანაზე“ „ფლამენგომ“ „სან პაულოს“ უმასპინძლა და 0:2 წააგო. შეხვედრის გმირი გახდა **განსო**, რომელმაც დუბლი შეასრულა. 24 წლის ნახევარმცველმა ბრაზილიის ბოლო ორ ჩემპიონატში სულ ორი გოლი გაიტანა, ამჯერად კი იგივე შედეგი ერთ შეხვედრაში დააფიქსირა. პირველი გოლი განსომ 23-ე წუთზე, **ოსვალდოს** პასის შემდეგ შეაგდო, წერტილი კი არბიტრის მიერ დამატებულ დროში დასვა. ამ გამარჯვების წყალობით „სან პაულომ“ მე-7 ადგილზე გადაინაცვლა და „ინტერნასიონალთან“ ერთად დაუმარცხებელი გუნდის სტატუსი შეინარჩუნა.

თავად „ინტერი“ კი აუტსაიდერ „კრისიუმას“ ესტუმრა და მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები პირველი ტაიმის მიწურულს, **ედუარდოს** გაძევების შემდეგ, 10 კაცით დარჩნენ, მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა და მხოლოდ ქულას დასჯერდა.

**როდრიგინიოს** ერთადერთი გოლით იმარჯვა „გრემიომ“, რომელმაც „ფლუმინენსეს“ მოუგო. „ფლუმ“, გარდა იმისა, რომ მატჩი წააგო, ერთ-ერთი ლიდერი **ფრედი** დაკარგა - ბრაზილიის ნაკრების ფორვარდმა წითელი ბარათი მიიღო, რის გამოც ის მომდევნო ტურს გამოტოვებს.

საინტერესო იყო „სანტოსის“ და „ატლეტიკო მინეიროს“ დაპირისპირებაც. მასპინძლები **სისეროს** გოლით იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმის 6-წუთიან მონაკვეთში **ანდრემ** ორი ბურთი გაიტანა და ბომბარდირთა დავის თანალიდერი გახდა.

სეზონში პირველი გამარჯვება, მეტიც, პირველი ქულები მოიპოვა „ფიგეირენსემ“. სერია A-ში დაბრუნებულმა გუნდმა „კორინთიანსს“ მოუგო და ამ ტურის მთავარი სენსაციაც შემოგვთავაზა. უხვგოლიანი გამოდგა „კრუზეიროს“ და „კორიტიბას“ მატჩი, სადაც გამარჯვებული ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი გამოვიდა. კურიტიბელთა რიგებში ერთი გოლი 36 წლის **ალექსმა** გაიტანა - „ფენერბაჰჩეს“ ყოფილმა ნახევარმცველმა **რიკარდო გულარტის** გოლს უპასუხა, თუმცა „კრუზეიროს“ ერთ-ერთმა ლიდერმა მალე მეტოქის კარი მეორედაც აილო, ამის შემდეგ კი სტუმრებმა ანგარიში კიდევ ერთხელ გაათანაბრეს, მაგრამ ბოლო ბურთი მაინც მათ კარში გავიდა - **ბორჟესმა** სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

**გოიასი-ბოტაფოგო 2:0**

**გოლები:** 1:0 რამონი (54), 2:0 დანილო (70)

**კრუზეირო-კორიტიბა 3:2**

**გოლები:** 1:0 რიკარდო გულარტი (11), 1:1 ალექსი (23), 2:1 რიკარდო გულარტი (45), 2:2 ნორბერტო ნეტო (55), 3:2 ბორჟესი (69)

**ფლამენგო-სან პაულო 0:2**

**გოლები:** 0:1 განსო (23), 0:2 განსო (90)

**კორინთიანსი-ფიგეირენსე 0:1**

**გოლები:** 0:1 ჯოვანი აუგუსტო (48)

**ატლ. პარანაენსე-შაპეკოენსე 1:1**

**გოლები:** 1:0 კლებერსონი (71), 1:1 ტიაგო ლუიში (88)

**გრემიო-ფლუმინენსე 1:0**

**გოლი:** 1:0 როდრიგინიო (37)
**გაძევება:** ფრედი (69. ფლუმინენსე)

**სანტოსი-ატლ. მინეირო 1:2**

**გოლები:** 1:0 სისერო (38), 1:1 ანდრე (75), 1:2 ანდრე (81)

**ვიტორია-პალმეირასი 0:1**

**გოლი:** 0:1 მარკინიოს გაბრიელი (49)

**კრისიუმა-ინტერნასიონ. 0:0**

**გაძევება:** ედუარდო (43. კრისიუმა)

**5 ივნისი**

სპორტ რესიფე-ბაია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერნასიონ. | 5 | 3 | 2 | 0 | 7-4 | 11 |
| 2. კრუზეირო | 5 | 3 | 1 | 1 | 10-8 | 10 |
| 3. გრემიო | 5 | 3 | 1 | 1 | 5-3 | 10 |
| 4. გოიასი | 5 | 3 | 1 | 1 | 4-2 | 10 |
| 5. ფლუმინენსე | 5 | 3 | 0 | 2 | 7-3 | 9 |
| 6. პალმეირასი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| 7. სან პაულო | 5 | 2 | 3 | 0 | 9-4 | 9 |
| 8. კორინთიანსი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-2 | 8 |
| 9. ბაია | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 10. სპორტ რესიფე | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 11. ატლ. მინეირო | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 12. სანტოსი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-3 | 6 |
| 13. ატლ. პარანაენსე | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |
| 14. ვიტორია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 15. ბოტაფოგო | 5 | 1 | 1 | 3 | 8-8 | 4 |
| 16. ფლამენგო | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 17. კრისიუმა | 5 | 1 | 1 | 3 | 2-9 | 4 |
| 18. ფიგეირენსე | 5 | 1 | 0 | 4 | 1-8 | 3 |
| 19. კორიტიბა | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |
| 20. შაპეკოენსე | 5 | 0 | 2 | 3 | 3-6 | 2 |

**ბომბარდირები:** 3 - დანიელი (ბოტაფოგო), ემერსონ შეიკი (ბოტაფოგო), მ. მორენო (კრუზეირო), ანდრე (ატლეტიკო მინეირო)

**ტატო ბაციკაძე**

მექსიკა. კლაუსურა. ფინალი

# ლეონი ზედიზედ მეორედ

**პაჩუკა-ლეონი 0:2 დ.დ. (3:2)**

**გოლები:** 0:1 ბოსელი (66), 0:2 ხ. გონსალესი (112)

„ლეონმა“ მექსიკის ჩემპიონატი ზედიზედ მეორედ მოიგო და როგორც აპერტურას, ასევე კლაუსურას გამარჯვებული გახდა. ფინალის პირველ შეხვედრაში საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხის მიუხედავად, **გუსტავო მატოსას** გუნდმა ტიტული მაინც მოიპოვა.

ძირითად 90 წუთში ერთადერთი გოლი გავიდა და ის **მაურო ბოსელიმ** გაიტანა. არგენტინელმა ლეგიონერმა მოქმედი ჩემპიონი 66-ე წუთზე დააწინაურა. იმის გამო, რომ მექსიკაში სტუმრად გატანილი მეტი გოლის წესი არ მოქმედებს, დამატებითი დრო დაინიშნა, სადაც კვლავ „ლეონმა“ იხეირა - **ხუან გონსალესმა** მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე გადამწყვეტი ბურთი შეაგდო და „ლომებს“ ისტორიაში მეშვიდე ტიტული მოუტანა.

აქამდე, მექსიკის ბოლო 8 ჩემპიონატი 8 სხვადასხვა გუნდს („ტოლუკა“, „მონტერეი“, „პუმასი“, „ტიგრესი“, „სანტოს ლაგუნა“, „ტიხუანა“, „ამერიკა“ და „ლეონი“) ჰქონდა მოგებული და „პაჩუკას“ გამარჯვების შემთხვევაში ეს სერია 9-მდე გაიზრდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ნაცვლად ამისა, „ლეონი“ გახდა პირველი მექსიკური გუნდი 2005 წლის შემდეგ, რომელმაც ზედიზედ ორ ჩემპიონატში იმარჯვა.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVIII ტურის შეჯამება

# ვისი სული დაეხმარა ატლეტიკოს?




## სიმეონედან სიმეონემდე

**დიეგო სიმეონემ** 1996 წელს ფეხბურთელის რანგში მოიგო მადრიდის „ატლეტიკოსთან" ერთად ლა ლიგა და მას მერე „ათლეტებისთვის" ჩემპიონობა მიუწვდომელი გახდა. ახლა კი „ჩოლომ" მწვრთნელის ამპლუაში მოიპოვა გუნდთან ერთად ეს ტიტული და თან 1995 წლის შემდეგ პირველი არაევროპელი სპეციალისტი გახდა, რომელმაც ლა ლიგა მოიგო. ეს „როხიბლანკოს" მეათე ჩემპიონობა გახლდათ და აბსოლუტურად დამსახურებულიც. „ატლეტიკომ" მთელი სეზონი ღირსეულად ჩაატარა და თანამედროვე ფეხბურთის ისეთ გიგანტებს აჯობა, როგორებიც „ბარსელონა" და „რეალი" არიან. იმ ლიგაში, რომელშიდაც კატალონიელები და „სამეფო გუნდი" თამაშობენ, პირველზე გასვლას და თანაც 90 ქულის მოგროვებას მართლაც მოხერხება უნდა. მადრიდში დიდი ზეიმი იყო, ოღონდ ქალაქის ის ნაწილი სულაც არ ზეიმობდა, რომელსაც უმეტესობა ელოდა.

*„ჩვენ ისტორიის ახალი ფურცელი დავწერეთ და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით. ვფიქრობ, ახლა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად უნდა განგვიხილოთ. ახლა კი ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა, ეს ტიტული აქამდე არასოდეს მოგვიპოვებია და ყველაფერს გავაკეთებთ გამარჯვებისთვის"* - განაცხადა „ათლეტების" პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ**.

„ატლეტიკოს" კაპიტანი **გაბი**: *„დიდი მადლობა ყველა ფანს. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან და თანაგუნდელებთან ერთად ვიზიარებ ამ წარმატებას და სიხარულს. ეს არის უდიდესი შრომისა და ჩვენი კლუბის სიყვარულის შედეგი და ეს მხოლოდ დასაწყისია".*

*„ჩვენ ურთულესი ჩემპიონატი მოვიგეთ. ეს ძალიან გრძელი სეზონი დატვირთული იყო მძიმე მატჩებით, ვარჯიშით, სირთულეებით, მაგრამ პირველი ტიტულის მოპოვება შევძელით და ახლა „რეალთან" ჩეპიონთა ლიგის ფინალი გველის"* - თქვა „როხიბლანკოს" მცველმა **ფილიპე ლუიშმა**.

„ბარსელონას" კარში ჩემპიონობის მომტანი გოლის ავტორი ურუგვაელი მცველი **დიეგო გოდინი**: *„ამისათვის მთელი სეზონი ვიბრძოდით და საოცარი სამუშაო გავწიეთ. „რეალისა" და „ბარსელონას" ჯობნა ადვილი არ იყო. სიმეონემ შესვენებაზე გვითხრა, რომ გოლს აუცილებლად გავიტანდით და სამართალმა იზეიმა კიდეც".*

*„ჩვენ „ატლეტიკოს" ისტორია შევქმენით. ამ კლუბის მაისურა ისევე გვიყვარს, როგორც ფანებს, ისინი არასოდეს გვავიწყდება და ეს გამარჯვებაც მათთვის იყო"* - ამბობს **ხუანფრანი**.

„ბარსელონას" ყოფილი თავდამსხმელი **დავიდ ვილია**: *„ეს მატჩი მთელი სეზონის სახე გახლდათ. ხასიათი გამოვავლინეთ და სასურველ შედეგს მაინც მივაღწიეთ".*

*„ეს საოცრებაა, ამის ახსნა და გადმოცემა შეუძლებელია. მადლობა ფეხბურთელებს. ჩვენ ამისთვის მთელი სეზონი თავდაუზოგავად ვმუშაობდით, შრომა არ შეგვიწყვეტია და ამიტომაც ვართ ახლა აქ. დღევანდელი დღე „ათლეტების" ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. დარწმუნებული ვარ, მეორე ტაიმში ლუის არაგონესი გვეხმარებოდა"* - ეს კი „ატლეტიკოს" წარმატების მთავარი შემოქმედის სიმეონეს „ბარსელონასთან" მატჩისშემდგომი სიტყვებია, მაგრამ, როგორც ხედავთ, თავად არგენტინელი მიიჩნევს, რომ „როხიბლანკოს" წარმატებაში **არაგონესის** სული დაეხმარა.



ასე ჩამოინგრა პამპლონაში ტრიბუნა

აი, **ლეო ბატიშტაო** კი უნიკალური ფეხბურთელი გახდა. მადრიდის „ატლეტიკოს" თავდამსხმელმა სეზონის პირველი ნახევარი თავის კლუბში გაატარა, მაგრამ ცოტა სათამაშო დრო ჰქონდა და ზამთარში სევილიურ „ბეტისში" გაანათხოვრეს. ასე რომ, ბაპტიშტაო ერთდროულად გავიდა პირველ ადგილზეც და ბოლოზეც, თან ჩემპიონი გახდა და თან გავარდა კიდეც.

## გავარდნილები

„ბეტისი" დიდი ხნის გავარდნილი გახლდათ და ბოლო ტურში სეგუნდა დივიზიონში დაქვეითებული კიდევ ორი გუნდის ვინაობა უნდა გარკვეულიყო. სიტუაცია ერთი შეხედვით ძალიან ჩახლართულად გამოიყურებოდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი საკმაოდ მარტივად დასრულდა - „ვალიადოლიდმა" საკუთარ კედლებში „გრანადასთან" წააგო და ლა ლიგას გამოემშვიდობა. ხოლო „ოსასუნამ" შინ კი მოუგო „ბეტისს", მაგრამ პარალელურ მატჩებში მოვლენები ისე განვითარდა, რომ უმაღლეს ლიგას პამპლონელებიც გამოემშვიდობნენ, თანაც ტრაგიკულად... ერთი, რომ მათ დასარჩენად გამარჯვება არ ეყოთ და მეორე ის, რომ მე-12 წუთზე **ორიოლ რიერას** გოლისას პამპლონელმა ქომაგებმა ისე იზეიმეს, დამცავმა ბარიერმა ვერ გაუძლო და ჩამოიშალა. ამის გამო მატჩი 35 წუთით შეწყდა, ზოგიერთ გულშემატკივარს პირდაპირ მინდორზე ეხმარებოდნენ ექიმები. მთლიანობაში 68 ადამიანი დაშავდა, მაგრამ საბედნიეროდ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სერიოზულად დაზიანებას ყველა გადაურჩა.

## ბარსელონა, რეალი და სხვანი

„ატლეტიკომ" თავისი „დესიმა" უკვე შეასრულა და ესპანეთის ჩემპიონატი მეათედ მოიგო, ახლა კი „რეალის" ჯერია - **კარლო ანჩელოტის** გუნდმა საკმაო ხანია მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგის ფინალზე გადაიტანა, სადაც სწორედ „ატლეტიკოსთან" ელოდება ჭიდილი და გამარჯვების შემთხვევაში მეათედ მოიპოვებს ამ ტიტულს.

„ბარსელონას" რაც შეეხება, მოგეხსენებათ, რომ **ხერარდო მარტინო** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ კატალონიელებს **ლუის ენრიკე** ჩაიბარებს. ვიგოს „სელტას" თავკაცმა არაპირდაპირად განაცხადა - მზად ვარ ნებისმიერი გავწვრთნაო.

სხვათა შორის, **ლიონელ მესის** „ატლეტიკოსთან" მატჩისას ფანებმა ობსტრუქცია მოუწყვეს „კამპ ნოუზე". არგენტინელი ბოლო დროს თავის თავს აღარ ჰგავდა და გულშემატკივრებს ის ჭორებიც აღიზიანებდათ, რომ მესი შესაძლოა, წავიდესო. ალბათ მალე გაფორმდება ახალი შეთანხმება **ჟერარდ პიკესთანაც**. ამბობენ იმასაც, რომ ლუის ენრიკე „ვალენსიადან" **ჟერემი მატიეს** მიყვანას აპირებსო. ასევე, თურმე, „ბარსა" „ბილბაოს" 19 წლის მცველის **ემერიკ ლაპორტის** გამოსყიდვას გეგმავს 36 მილიონ ევროდ და არც ის არის გამორიცხული, ტურინის „იუვენტუსს" **ალექსის სანჩესი ფერნანდო ლორენტეში** გაუცვალოს... მოკლედ, გეგმები და მითქმა-მოთმა ბევრია.

„ბილბაომ" მე-4 ადგილი მოიპოვა და ჩემპიონთა ლიგას დაუბრუნდება. **ერნესტო ვალვერდემ** სეზონს ექსტრაორდინალური უწოდა და ძნელია არ დაეთანხმო, მისი გუნდი ძალიან კარგად გამოიყურებოდა.

ევროპალიგის გამარჯვებულმა „სევილიამ" სეზონი მე-5 ადგილზე დაასრულა, ხოლო **უნაი ემერიმ** თქვა, რომ მალე ალბათ კლუბთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს.

ევროსაგზურის გარეშე დარჩა „სოსიედადი", რომელმაც ბოლო სამი ტური ძალიან ცუდად ჩაატარა. უკანასკნელ თამაშში ბასკებს საკუთარ „ანოეტაზე", უბრალოდ, არ უნდა წაეგოთ უშუალო კონკურენტ „ვილიარეალთან", მაგრამ... „ყვითელმა წყალქვეშა ნავმა" ევროზონაში შეცურა.

სინგაპურელმა **პიტერ ლიმმა** კი დიდი ხნის ოცნება აისრულა და „ვალენსია" იყიდა, კერძოდ, „ლამურების" აქციათა 70% და იგი ფანებს დიდ მომავალს ჰპირდება. მას მართლაც შორს მიმავალი გეგმები აქვს, სოლიდური თანხის დახარჯვას აპირებს.

ჰო, ბოლოს კი ისიც ვახსენოთ, რომ 31 გოლით „პიჩიჩი" **კრიშტიანო რონალდო** გახდა, ხოლო „ოქროს ბუცს" იგი **ლუის სუარესს** გაუყოფს. ურუგვაელმა პრემიერლიგაში ამდენივე ბურთი შეაგდო, ამ ჯილდოს არსებობის ისტორიაში კი სულ მესამედ ხდება ისე, რომ მას ორი ფეხბურთელი იყოფს.

**გიორგი პაპაბაძე**

| საუკეთესო ბომბარდირები |
| --- |
| 31 - კრიშტიანო რონალდო (რეალი) |
| 28 - ლიონელ მესი (ბარსელონა) |
| 27 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო) |
| 19 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა) |
| 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი) |

| საუკეთესო ასისტენტები |
| --- |
| 17 - ანხელ დი მარია (რეალი) |
| 13 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), კოკე (ატლეტიკო) |
| 12 - კარლოს ველა (სოსიედადი), გარეთ ბეილი (რეალი), სუსაეტა (ბილბაო) |
| 11 - ივან რაკიტიჩი (სევილია), ლიონელ მესი (ბარსელონა), ალექსის სანჩესი (ბარსელონა) |

| გოლი + პასი |
| --- |
| 40 - კრიშტიანო რონალდო (რეალი) - 31+9 |
| 39 - ლიონელ მესი (ბარსელონა) - 28+11 |
| 30 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო) - 27+3 |
| 30 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა) - 19+11 |
| 28 - კარლოს ველა (სოსიედადი) - 16+12 |
| 27 - გარეთ ბეილი (რეალი) 15+12 |
| 26 - ქარიმ ბენზემა (რეალი) 17+9 |

## ამბები




რაიან გიგზი

### დაასრულა!

მას მერე, რაც გადაწყდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" **ლუი ვან გაალის** მთავარი ასისტენტი უელსელი **რაიან გიგზი** იქნება, 40 წლის ფეხბურთელმა საბოლოოდ გამოაცხადა, რომ სპორტულ კარიერას ასრულებს. *„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მსოფლიოში ყველაზე მაგარ გულშემატკივრებს, „მანჩესტერ იუნაიტედის" ფანებს, მე ახლაც მიყვარს ამ გუნდის მაისურით მოედანზე გატარებული თითოეული წუთი",* - განაცხადა გუშინ გიგზმა.

მაშ ასე, კარიერის განმავლობაში უელსელმა „იუნაიტედში" 963 მატჩი გამართა, მოიგო 34 ტიტული და გუნდში 23 წელიწადი გაატარა - დიდებული რიცხვებია.

### 45 მილიონი და სესკი თქვენია

ცნობილია, რომ 27 წლის **სესკ ფაბრეგასით** დიდად არიან დაინტერესებულნი ინგლისურ პრემიერლიგაში და არც „ბარსელონა" არის უარზე ნახევარმცველი გაასხვისოს. ოღონდ ის ინგლისურ გრანდებს ძალზე ძვირი დაუჯდებათ. ესპანური კლუბის არაოფიციალური პოზიცია ასეთია - სესკი 45 მილიონი ფუნტი სტერლინგი ღირს და ვინც ამდენს გადაიხდის, ის ფაბრეგასს დაიბევებს.

შეგახსენებთ, რომ ფაბრეგასით მისი ყოფილი გუნდი, ლონდონის „არსენალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" არიან დაინტერესებულნი. თავად სესკს კი მშობლიური „ბარსელონადან" არსად წასვლა არ სურს.




სესკ ფაბრეგასი



ლიონელ მესი

### მესიმ მოაწერა!

19 მაისს წერტილი დაესვა ბოლო დროს აგორებულ ჭორებს - **ლიონელ მესი** არსად არ მიდის - მან ახალი ხელშეკრულება გააფორმა „ბარსელონასთან". ამის შესახებ კლუბის ოფიციალური ვებ გვერდი იუწყება.

ხელშეკრულებას ლეომ და „ბარსას" პრეზიდენტმა **ჟოზეპ მატია ბარტომეუმ** მოაწერეს. ცერემონიას ესწრებოდნენ ლეოს მამა ხორხე და ვიცე-პრეზიდენტი **ჟორდი მასტრე**.

ეს ხელშეკრულება მესიმ კლუბთან გასულ კვირაში შეათანხმა. ზუსტი დეტალები ცნობილი არაა, თუმცა „ბარსელონამ" გამოაცხადა, რომ კონტრაქტის პირობები გაუმჯობესებულია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბაიერნი

# აი, ამიტომ გააგდო პეპმა მანჯუკიჩი

## მორჩა: ხორვატ გოლეადორს ბაიერნში მომავალი აღარ აქვს

„ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა **ხოსეპ გვარდიოლამ** გერმანიის თასის ფინალში 27 წლის ხორვატი თავდამსხმელი **მარიო მანჯუკიჩი** არათუ არ ათამაშა, განაცხადშიც კი არ ჰყავდა შეყვანილი. ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და როცა პეპს მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მიზეზი ჰკითხეს, რეკორდმაისტერის ესპანელმა დამრიგებელმა მხოლოდ ეს თქვა: *„მე ასე გადავწყვიტე. სხვა ფეხბურთელებზე ვფიქრობდი!“*

მართალია, ამ კომენტარიდან ბევრი არაფერი ირკვევა, მაგრამ ცხადად ჩანდა, რომ მწვრთნელსა და გოლეადორს შორის (მანჯუკიჩმა ბუნდესლიგის გასრულებულ სეზონში 18 გოლი გაიტანა), როგორც იტყვიან, „შავმა კატამ გაირბინა“.



მარიო მანჯუკიჩს ბაიერნიდან წასვლა მოუწევს

ცხადია, რომ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მომხდარის დეტალურად გამოძიება დაიწყეს და ბევრი რამ გაარკვიეს. გაზეთ „ბილდის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, მანჯუკიჩსა და გვარდიოლას შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ 29 აპრილს, „რეალთან“ საპასუხო მატჩის (0:4 მადრიდელთა სასარგებლოდ) შემდეგ დაიძაბა.

როგორც ირკვევა, თამაშის დასრულების შემდეგ გვარდიოლა გასახდელში შეგირდებს ძალიან ემოციურად ესაუბრებოდა. პეპს უთქვამს, ამ კრახისთვის პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ და ბოდიშს გიხდით იმ ტაქტიკისთვის, რომელმაც შედეგი არ მოგვიტანაო. „ბილდი“ წერს, რომ მისმა სიტყვამ „ბაიერნის“ ფეხბურთელებზე დიდი გავლენა მოახდინა - **რაფინია** გვარდიოლას თვალცრემლიანი გადაეხვიაო.

ერთადერთი მოთამაშე, რომელსაც გვარდიოლას სიტყვით გამოსვლის დროს პეპისთვის არასასურველი რეაქცია ჰქონდა, მანჯუკიჩი ყოფილა - ხორვატს სახეზე პროვოკაციული ღიმილი დასთამაშებდაო. მანამდე კი „რეალთან“ მატჩის წინ ჩატარებულ ბოლო ვარჯიშზე მანჯუკიჩი მწვრთნელის მითითებებს თურმე ირონიული მიმიკით ხვდებოდა. გარდა ამისა, ვარჯიშის დროს ხორვატი რამდენიმე თანაგუნდელს ზედმეტად ეუხეშა, რაც პეპს ასევე არ მოეწონა. როგორც ჩანს, ხორვატი თავდამსხმელის ქცევამ გვარდიოლა ისე განარისხა, რომ გერმანიის თასის ფინალში განაცხადს მილმა დატოვა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პეპს მანჯუკიჩის დანახვაც აღარ უნდა.

„ბილდი“ წერს, რომ მარიომ „ზებენერშტრასეზე“ თავისი ბარგი უკვე ჩაალაგა და კლუბის ზოგიერთ თანამშრომელს გამოეთხოვა კიდეც. იმავდროულად, მარიოს „ბაიერნის“ შეფი **კარლ-ჰაინც რუმენიგეც** გაყიდვით დაემუქრა და ერთი სიტყვით, ცხადია, რომ ხორვატ თავდამსხმელს მიუნხენურ გრანდში მომავალი აღარ აქვს.

● გერმანიის ნაკრები



ბასტიან შვაინშტაიგერი, მანუელ ნოიერი, ფილიპ ლამი (უკან) და იოახიმ ლიოვი

# ლიოვის პრობლემური ტრიო

## შვაინშტაიგერს, ნოიერს და ლამს ტრავმები აწუხებთ

ხვალიდან გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების აქტიურ ფაზაში გადადის. ბუნდესნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** 27 ფეხბურთელით დაკომპლექტებული შემადგენლობა სამხრეთ ტიროლში, შეკრებაზე მიჰყავს. არა, ყველაფერი კარგად არ არის: გერმანიის ნაკრების თავკაცს საკადრო პრობლემები აქვს. მაგალითად, გერმანიის თასის ფინალის შემდეგ პირველ ნომერ **მანუელ ნოიერს** ტრავმა აწუხებს.

**ბასტიან შვაინშტაიგერი** დაშავებულია, **ფილიპ ლამმაც** ტრავმა მიიღო და გერმანიის თასის ფინალში ნაადრევად შეცვალეს, ახლა კი მანუელ ნოიერის გვარის გასწვრივაც კითხვის ნიშანი აღიმართა. ბერლინული ფინალის შემდეგ მანუელს მარცხენა მხარი აწუხებს და ექიმები ინტენსიურად აკვირდებიან.

შვაინშტაიგერის შემთხვევაზე ექიმებმა უკვე საბოლოო დასკვნა დადეს და თქვეს, რომ სერიოზული არაფერია, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ შვაინის ტრავმა გაუმიზეზდეს. ფილიპ ლამზე საბოლოო დიაგნოზი ჯერაც არ დასმულა, მაგრამ ყველა ამბობს, რომ არც კაპიტნის ტრავმაა სერიოზული და თავად ფილიპსაც იმედი აქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

რაც შეეხება ნოიერს: მანუელს თასის ფინალი ტკივილით ჩაუმთავრებია, მეორე დღეს კი, როცა მისი თანაგუნდელები გულშემატკივრებთან ერთად ზეიმობდნენ, მანუმ გერმანიის თასი ძალიან ფრთხილად ასწია. ნოიერი გერმანიის ნაკრების პირველი მეკარეა, ბუნდესგუნდის ფორმით 45 მატჩი აქვს ჩატარებული და 28 წლის მანუს სერიოზული ტრავმა ლიოვისთვის და გერმანიის ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იქნებოდა.

შეგახსენებთ, რომ ნოიერის გარდა გერმანიის ნაკრების განაცხადში დორტმუნდის „ბორუსიას“ მეკარე **რომან ვაიდენფელერი** და „ჰანოვერის“ კარის დარაჯი **რონ-რობერტ ცილერი** არიან, მაგრამ ვაიდენფელერს ბუნდესგუნდის ფორმით მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული, ცილერს კი - სამი.

**P.S. გუშინ გვიან გავრცელებული ცნობების თანახმად, ნოიერს და ლამს მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვების საფრთხე არ ემუქრებათ.**

● ტრანსფერი

# დერდიოკი შოთამ წაიყვანა!

**შოთა არველაძის** „ქასიმფაშამ“ მომავალი სეზონისთვის შვეიცარიელი თავდამსხმელი **ერენ დერდიოკი** დაიბევა. გადაწყვეტილია, რომ 26 წლის დერდიოკი, რომელიც ბოლოს „ჰოფენჰაიმიდან“ „ლევერკუზენში“ იყო განათხოვრებული, „ქასიმფაშაში“ გადადის!

ერთ დროს უნიჭიერეს ფორვარდად შერაცხილ დერდიოკს, რომელიც შვეიცარიის ნაკრების თავკაც **ოტმარ ჰიტცფელდს** მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მიჰყავს, „ჰოფენჰაიმთან“ კონტრაქტი 2016 წლამდე ჰქონდა გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ არველაძის კლუბს ფულის გადახდა მოუწევს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ქასიმფაშა“ „ჰოფენჰაიმს“ 2 მილიონ ევროს უხდის.



ერენ დერდიოკი

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**







ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# არსენის მილიონიანი ნამატი არსენალში

„გარდიანის" ცნობით, „არსენალი" **არსენ ვენგერს** ახალ 3-წლიან კონტრაქტს სთავაზობს, რომლის თანახმადაც 64 წლის ფრანგის წლიური ანაზღაურება მნიშვნელოვნად მოიმატებს და 8 მილიონი ფუნტი (9.8 მლნ ევრო) გახდება. „მეთოფეთა" თავკაცმა „ჰალთან" ასოციაციის თასის ფინალში გამარჯვების შემდგომ თავად დაადასტურა, რომ მხარეთა შორის, მხოლოდ ფორმალობებილა იყო შესათანხმებელი. ვენგერი „ემირეიტსის" მკვიდრებთან ხელშეკრულებას მიმდინარე კვირის ბოლომდე ოფიციალურად მოაწერს ხელს.

ინფორმაციის გავრცელების შემდეგ „სპორტ ინტელიჯენსმა" ყველაზე ძვირად ანაზღაურებადი მწვრთნელების სია გამოაქვეყნა, რომლის პირველ ათეულსაც აქვე გთავაზობთ (ვენგერის ხელფასი ჯერ კიდევ მოქმედი კონტრაქტით არის მოცემული, მასში გრანდების ყოფილი დამრიგებლებიც მოხვდნენ). მწვრთნელების ხელფასები უფრო მეტი სიცხადისთვის ევროებში გადავიყვანეთ: 1. **პეპ გვარდიოლა** (ბაიერნი) - 18.15 მლნ, 2. **ჟოზე მოურინიო** (ჩელსი) - 10.26, 3. **მარჩელო ლიპი** (გუანჟოუ) - 10.22, 4. **არსენ ვენგერი** (არსენალი) - 7.71, 5. **ფაბიო კაპელო** (რუსეთი) - 7.98, 6. **კარლო ანჩელოტი** (რეალი) - 7.67, 7. **დევიდ მოიესი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 6.03, 8. **ტატა მარტინო** (ბარსელონა) - 5.52, 9. **იურგენ კლოპი** (დორტმუნდი) - 4.40, 10. **მანუელ პელეგრინი** (მანჩესტერ სიტი) - 4.25.

## ბრძოლა მილნერისთვის

„მანჩესტერ სიტის" 28 წლის ნახევარმცველმა **ჯეიმს მილნერმა** ჯერ კიდევ არ იცის, სად ითამაშებს მომდევნო სეზონში. ფეხბურთელის ხელშეკრულებას „ქალაქელებთან" მომავალი წლის ზაფხულზე ვადა გასდის. მანჩესტერელები ინგლისელს ახალ კონტრაქტს სთავაზობენ, თუმცა მილნერს ესმის, რომ საუკეთესო შემთხვევაშიც კი მას ძირითადი დროის გატარება ისევ სკამზე მოუწევს. მას „არსენალი" იწვევს, სადაც სათამაშო პრაქტიკის გარეშე არ დარჩება. ჩრდილოლონდონელები მზად არიან, ინგლისის ჩემპიონს 10 მილიონი ფუნტი გადაუხადონ. მილნერის გადაბირებით დაინტერესებულნი არიან ასევე „ლივერპული", „ევერტონი", „ტოტენჰემი" და „ნიუკასლი".



„არსენალი" არსენ ვენგერს ანაზღაურებას მილიონზე მეტით უზრდის

სავარაუდო ტრანსფერი

# გული ლონდონისკენ მიუწევს



ელიაკიმ მანგალას ლონდონური პერსპექტივა ხიბლავს

**ჯეიმს მილნერისა** და „არსენალის" შესაძლო დამოყვრების ამბავს ალბათ უკვე გაეცანით. ინგლისურ გაზეთებში ისიც იწერება, რომ პრემიერლიგის გამარჯვებულს შესაძლოა მეორე ლონდონურმა კლუბმაც დასწყვიტოს გული და სასურველი ფეხბურთელი თვალწინ ასწაპნოს. ლაპარაკია „პორტუსა" და საფრანგეთის ნაკრების წევრ **ელიაკიმ მანგალაზე**. 23 წლის ცენტრალური მცველის ტრანსფერი „სიტიში" მიმდინარე წლის იანვარში ერთხელ უკვე ჩაიშალა და „ქალაქელების" იმედებმა შესაძლოა ახლაც „ჩაილურის წყალი დალიოს". თუკი „ჩელსი" ფეხბურთელის გადაბირებაზე სერიოზულად იმუშავებს, მას „სიტიზე" მეტი შანსი ექნება. ასეთია თავად მანგალას არჩევანი. აი, რა წერია „ლონდონ 24-ის" სტატიაში:

- ფრანგი მცველი „ეტიჰადზე" შეგვეძლო უკვე იანვარში გვეხილა, მაგრამ მაშინ კლუბები ერთმანეთში ვერ მორიგდნენ და ელიაკიმი პორტუგალიაში დარჩა. მანგალა თავად ამბობს, რომ პრემიერლიგის დიდი გულშემატკივარია, მისი ფავორიტი კლუბი კი საყვარელ ჩემპიონატში „ჩელსია". მას ლონდონში ცხოვრების პერსპექტივა ხიბლავს. *„გრანდებში თამაში ყველას უნდა. მათ შორის მეც, რადგან ჩემს თავს ამბიციურ ფეხბურთელად მივიჩნევ. აუცილებელია, რომ გუნდი, სადაც ვითამაშებ, მაქსიმალური მიზნებისთვის იბრძოდეს,"* - აცხადებს ფეხბურთელი.

ჩელსი

# სასჯელის ახალი ფორმა

## კურტუა ლონდონში ბრუნდება



ტიბო კურტუა ლონდონში ბრუნდება

„ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა **ჟოზე მოურინიომ** ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგაში „ატლეტიკოსთან" მატჩებამდე განაცხადა, რომ თუკი უეფა **ტიბო კურტუას** ლონდონელების წინააღმდეგ თამაშის ნებას მისცემდა (22 წლის ფეხბურთელი „ვისენტე კალდერონზე" იჯარით თამაშობს), მომდევნო სეზონში ის გოლკიპერს „სტემფორდ ბრიჯზე" დააბრუნებდა. მოგეხსენებათ, ბელგიელმა „ჩელსისთან" ორჯერვე ითამაშა. „განსაკუთრებულმა კაცმა" დაადასტურა, რომ „მუქარას" აასრულებდა, თუმცა საბოლოოდ მაინც კლუბის გადაწყვეტილებას დაელოდებოდა. როგორც ჩანს, ხელმძღვანელობამ პორტუგალიელის არგუმენტები დამაჯერებლად მიიჩნია. ესპანურ წყაროებზე დაყრდნობით, „სქაი სპორტსი" წერს, რომ კურტუას ბედი გადაწყვეტილია. „როხიბლაკოს" მეკარე ლონდონში ბრუნდება. *„წარმოდგენა არ მაქვს, სად ვითამაშებ მომდევნო სეზონში, რადგან ამაზე ფიქრის დრო არც მაქვს. შაბათს ჩემპიონთა ლიგის ფინალი გველის, შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატია. თუკი სადმე ვითამაშებ, მხოლოდ ისეთ გუნდში, სადაც მაქსიმალური სათამაშო პრაქტიკა მექნება. ჩემს ასაკში ეს უმნიშვნელოვანესია. ლონდონელებთან კონტრაქტში ორი წელი მრჩება და მესმის, რომ თუკი ლონდონში დაბრუნება მომიწევს, იქ პეტრ ჩეხი დამხვდება, ვინც პრემიერლიგის წლის საუკეთესო მეკარის პრიზი მიიღო. ვნახოთ, რას გადაწყვეტენ „ჩელსიში"*, - განაცხადა ფეხბურთელმა „გარდიანთან" ინტერვიუში.

ამბები

## ჩელსის შეუძლია, მაგრამ...

„ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორის **რონი გურლეის** თქმით, კლუბს ფინანსური თვალსაზრისით შეუძლია ძვირად ღირებული ტრანსფერების გაჩარხვა, თუმცა ის აუცილებლად გაითვალისწინებს უეფას ფინანსური ფეარ პლეის წესებს და კანონის ჩარჩოებს არ გასცდება. *„უეფასგან კონკრეტული მითითები მიღებული გვაქვს და ჩვენ მას აუცილებლად შევასრულებთ. კლუბისგან ტყუილად ნუ ელოდებით სატრანსფერო მითქმა-მოთქმაზე კომენტარს. სამწვრთნელო შტაბმა უკვე განსაზღვრა სამიზნეები და მუშაობას ჩვენ ყოველგვარი ხმაურის გარეშე ვცდილობთ,"* - აცხადებს გურლეი.

## ვესტ ჰემი მწვრთნელს ეძებს

უკვე გარკვეულია, რომ „ვესტ ჰემს" მომდევნო სეზონში ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. მართალია, „ჩაქუჩებმა" პრემიერლიგა მე-13 ადგილზე დაასრულეს, თუმცა ხელმძღვანელობა **სემ ელერდაისს** არასტაბილურ ასპარეზობას არ პატიობს. ინგლისურ გამოცემებს თუ ვენდობით, „დიდ სემის" პოსტის ჩაბარების საუკეთესო შანსები აქვთ **დევიდ მოიესს, გუსტავო პოიეტსა** და **რონალდ კუმანს**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



● კარატე

# პრემიერ-მინისტრს შავი ქამარი და სამურაის ხმალი



პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილს** საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელმა **კახა ბასილიამ**, მსოფლიო კარატეს ფედერაციის გადაწყვეტილებით, მესამე დანი, შავი ქამარი და დამადასტურებელი სერთიფიკატი გადასცა. შეხვედრისას პრემიერი დაწვრილებით გაეცნო ქართული კარატეს წარმატებებს, სამომავლო გეგმებსა და მიზნებს.

„საქართველოს კარატეს ეროვნულ ფედერაციას კიდევ ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი გამოუჩნდა — პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. ბატონი ირაკლი ჩვენი დიდი ქომაგია ჯერ კიდევ შსს-ს მინისტრობის დროიდან. დღესაც, შსს-ს თანამშრომელი ჩვენი აღზრდილი სპორტსმენები, ღირსეულად იცავენ უწყებისა და საქართველოს სახელს მსოფლიო ტატამზე და არაერთი ოქრო-ვერცხლი აქვთ მოპოვებული. საბედნიეროდ, პრემიერ-მინისტრის მხრიდან არ შეწყვეტილა ქართული კარატესა და ჩვენი ყველაზე ეროვნული პროექტის — „მებრძოლი სულის აღორძინება საქართველოში — კარატე ჯანსაღი მომავლის სამსახურში" მხარდაჭერა, რომელიც მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ირაკლი მსოფლიოში მეორე პრემიერ-მინისტრია **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** შემდეგ, რომელსაც ესოდენ დიდი საპატიოს წოდება მიანიჭა კარატეს მსოფლიო ფედერაციამ — შავი ქამარი და სამურაის ხმლის — კატანას ტარების უფლება.



მინდა ამავე დროს აქვე აღვნიშნო, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, ბატონი **ლევან შონია** და კარატეს ეროვნული ფედერაცია შევთანხმდით, რომ აღნიშნულ რეგიონში კარატე სავალდებულო საგნად შევა სკოლებში", — განაცხადა კახა ბასილიამ.

**ნუგზარ ქიაბერაშვილი,**
**საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი**

● სასტენდო სროლა

# მესტენდურეებმა ისევ წააგეს

ყაზახურ ალმატიში დაიწყო მსოფლიოს თასის გათამაშება სასტენდო სროლაში, სადაც არცთუ წარმატებით გამოდიან ჩვენი მსროლელები. თავდაპირველად ტურნირში მრგვალ სტენდზე ახალგაზრდებში მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ნატალია პანასი** ჩაება, მაგრამ საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დასძლია – 63 ქულით 29-ე ადგილი დაიკავა 39 მონაწილეს შორის. არადა, შესარჩევი შეჯიბრება ურიგოდ არ დაუწყია – პირველ ორ სერიაში 23-23 ქულა დააგროვა 25-დან, მაგრამ მესამეში სუსტად გამოვიდა – მხოლოდ 17 ქულა, რამაც ცხრილში გვარიანად დასწია უკან.

ჩვენები დიდი წარმატებით არც ვაჟებში გამოსულან, სადაც ასევე მრგვალ სტენდზე ისროლეს, ოღონდ იქ უფრო დიდი გუნდი გვყავდა: **დავით ქვათაძე, მამუკა ზარაფიშვილი, გივი შენგელია.** ამ სამეულიდან ყველაზე უკეთ ქვათაძემ ისროლა, რომელმაც 110 ქულა დააგროვა, თუმცა ეს მხოლოდ 59-ე ადგილი აღმოჩნდა. ზარაფიშვილმა და შენგელიამ 102-102 ქულა დააგროვეს და 73 მონაწილეს შორის 66-67-ე ადგილები გაიყვეს. ამ სამეულიდან მაქსიმალური, 25 ქულა მხოლოდ ქვათაძემ დააგროვა და იმანაც მხოლოდ ერთ სერიაში.

ქალებში ამერიკელმა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ქიმბერლი როდემ** გაიმარჯვა, ვინც შესარჩევში მესამე იყო, ფინალში კი იტალიელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ჩიარა ჩაინეროს** 16:14 მოუგო. ბრინჯაოს გერმანელი ოლიმპიური პრიზიორი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **კრისტინე ვენცელი** დაეუფლა – გადამწყვეტ შეხვედრაში იტალიელ მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონ **კატუსია სპადას** 15:14 აჯობა.

ვაჟთა შორის აბსოლუტურად უტიტულო იტალიელმა **რიკარდო ფილიპელიმ** გაიმარჯვა, ვისაც აქამდე მსოფლიოს თასზეც კი ბრინჯაოც არ ჰქონდა მოპოვებული. მან ფინალში ნორვეგიელთა ევროპის ორგზის გამარჯვე-



ნატალია პანასი

ბულს, ოლიმპიადის ვერცხლის და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსან **ტორე ბროვოლდს** 15:14 მოუგო. ბრინჯაოს ასევე უტიტულო ყაზახი **ალექსანდრ იეჩსენკო** დაეუფლა. მან გადამწყვეტ პაექრობაში გადასროლაში 6:4 აჯობა (ძირითადი სერია ფრედ დასრულდა – 14:14) ქუვეითელ **აბდულაჰ ალრაშიდის**, ვინც თავის დროზე სამჯერ გახადა მსოფლიოს ჩემპიონი აწ გარდაცვლილმა **თემურ მატოიანმა.**

**ირაკლი თავაძე**

● ახალგაზრდული ოლიმპიადა

# ნანჯინგის გუნდი იზრდება

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ ჩინურ ნანჯინგში გასამართი მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების რაოდენობა რვამდე გაიზარდა. მერვე საგზურის ამბავი გუშინ გაირკვა – ის თავისუფალ ჭიდაობაში სამტრედიელმა **ივერი ჯულაყიძემ** (63) მოიპოვა. ამის შესახებ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში ოფიციალური ცნობა უკვე მოვიდა საერთაშორისო ფედერაციიდან.

მოგეხსენებათ, ჯულაყიძე წინა კვირაში ჭაბუკებში ევროპის მესამე პრიზიორი გახდა, ერთადერთი მარცხი კი რუს **ზაურ ტოკაევთან** იწვნია. საბოლოოდ რუსი ფინალში გავიდა და ნანჯინგის საგზურიც დაიმსახურა, მაგრამ ჩვენდა ბედად, რუსებმა ოლიმპიადაზე ამ წონაში გამოსვლა იუარეს, რადგან სხვა წონა აირჩიეს. მე თქვენ გეტყვით და, არჩევანი აქვთ მწირი – სალიცენზიო ხუთი წონიდან სამში სულაც ჩემპიონი გაუხდათ, ტოკაევის ვერცხლს თავი რომ დავანებოთ. ამიტომ, რა გასაკვირია, მეორე პრიზიორს გამარჯვებული თუ არჩიეს, გამოთავისუფლებული კვოტა კი ბრინჯაოს პრიზიორთაგან ჯულაყიძეს ერგო, როგორც რუსთან დამარცხებულს.

შეგახსენებთ, რომ ქვეყანას მხოლოდ ორი ლიცენზია ეძლევა, ხოლო თუ რომელიმე ნაკრები საკვალიფიკაციო ტურნირში მეტსაც მოიპოვებდა, მაშინ იმ ორის არჩევა მთლიანად გუნდის შიდა სამზარეულო იყო. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ჩვენი მესამე პრიზიორებიდან ლიცენზიის მოპოვების შანსი მხოლოდ ჯულაყიძეს ჰქონდა, რადგან **გიორგი ხაჩიძე** (42) ისედაც არ იყო სალიცენზიო წონაში, ხოლო **გივი მაჭარაშვილმა** (100), სრულიად მოულოდნელად, მოლდოველთან წააგო, იმათ გუნდს კი ასარჩევად ნამდვილად არ აქვს საქმე - ეს ერთი საგზური მოიპოვეს. პრაქტიკულად, მათგან კვოტის დათმობა გამორიცხული იყო, ჩვენ კი ეს ერთადერთი შანსი გამოვიყენეთ.

შეგახსენეთ იმასაც, რომ ეს ჩვენი „თავისუფალი" ჭაბუკებისთვის მეორე ლიცენზიაა – პირველს ბულგარულ სამოკოვში, ევროპის პირველობაზე **მექი სიმონია** (76) დაეუფლა. „თავისუფალის" გარდა, სპორტის სხვა სახეობებიდან ორი საგზური მხოლოდ ძიუდოს ანგარიშზეა. მათგან გოგოების ტურნირის მონაწილე უკვე გარკვეულია – **მარიამ ჯანაშვილი** (57), რადგან სხვა კანდიდატურა არცაა (**მზია ბებოშვილს** (52) ასაკის გამო ჯერ არ აქვს ნანჯინგში გამოსვლის უფლება), აი, ბიჭების წარმომადგენელი კი ჭაბუკთა ნაკრების ხელმძღვანელობას ჯერ არ დაუსახელებია. კრივის საერთაშორისო ფედერაციამ დაადასტურა, რომ ლიცენზია მოიპოვა **გიორგი ხარაბაძემ** (69). სხვა ლიცენზიანტები არიან **თეონა ჯანჯღავა** ბატუტზე ხტომაში და ფარიკაობაში - მოხმალავე **ნიკოლოზ შენგელია.** ცურვაში ნორმატივი შეასრულა **აკაკი ვაშაკიძემ,** თუმცა საერთაშორისო ფედერაციიდან ჯერ ოფიციალური დასტური არ მოსულა. საჯაროდ ჯერ არც ჩვენი ტანვარჯიშის ფედერაციას დაუსახელებია ნანჯინგში წამსვლელი, მაგრამ მოარული ხმებით, ეს ჯანჯღავა იქნება, როგორც ლიცენზიის მომპოვებელი. სამწუხაროდ, საგზურების მოპოვების შანსი დაკარგეს მშვილდოსნებმა და ხუთჭიდელებმა. ახლა ჩვენი ძირითადი იმედი მძლეოსნებს უკავშირდება, რომელთაც ორიოდ კვირაში ექნებათ საკვალიფიკაციო შეჯიბრება. იმედია, ჩვენი დელეგაცია რაოდენობრივად კიდევ უფრო გაიზრდება, თუმცა ამ კუთხით წინა ანალოგიური ოლიმპიადის მაჩვენებელი მაინც გაუმჯობესებულია – ოთხი წლის წინ სინგაპურში 5 მონაწილე გვყავდა.

**ირაკლი თავაძე**

● მშვილდოსნობა

# სავიზო სკანდალი და შესაძლო ჯარიმა

დღეს სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში ევროპის ჩემპიონატი იწყება ახალგაზრდა და ჭაბუკ მშვილდოსანთა შორის, რომელიც, პარალელურად, აგვისტოში ჩინეთში გასამართი მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირიცაა.

სამწუხაროდ, ჩვენი ნაკრები ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ქართული რეალობისთვის აგრერიგად ნაცნობი მიზეზით – საკონსულომ ვიზები არ მოგვცა. როგორც წესი, საკონსული არცაა ვალდებული, მსგავს სიტუაციაში უარის მიზეზი განმარტოს. ცოდვა გამხელილი სჯობს – მაშინვე ვიფიქრეთ, ზედმეტად გაბერილი სიების გამო ხომ არ გვითხრეს უარიო, როგორც ეს რამდენჯერმე მოხდა, მაგრამ საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციაში კატეგორიულად განმარტეს, რომ ვიზა მხოლოდ 6 კაცზე – 4 სპორტსმენსა და 2 მწვრთნელზე მოითხოვეს ანუ მხოლოდ იმათზე, ვისზეც განაცხადი გააგზავნეს ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტში.

შეგახსენებთ, რომ სლოვენიაში ჭაბუკებში **ანა დუმბაძე, ვლადიმერ დოლიძე** და **დავით მიხელიძე** უნდა გამოსულიყვნენ, ახალგაზრდებში – **ლაშა ფხაკაძე.** ამათგან ახალგაზრდული ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში ჭაბუკთა სამეულს უნდა ესპარეზა. ვფიქრობთ, მათ საგზურის მოპოვება რეალურად შეეძლოთ, რადგან საამისოდ ნახევარფინალში გასვლაც საკმარისი იქნებოდა, ლიუბლიანაში კი ამ შეჯიბრებაში ვერ გამოვიდოდნენ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ჩინეთში წასვლის უფლება. გამოდის, საკვალიფიკაციო ტურნირში ევროპული ელიტა არ გამოვიდოდა, რაც ჩვენების შანსებს გაზრდიდა.

თუმცა პრობლემა ამით არ მთავრდება – შესაძლოა, სავიზო სკანდალი მშვილდოსნობის ქართულ ფედერაციას 900 ევრო დაუჯდეს. სწორედ ასეთ ჯარიმას ითვალისწინებს ევროპის ჩემპიონატში გამოუსვლელობა (რაკი განაცხადი გაკეთებული გვქონდა). ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა მიზეზად მშვილდოსნობის ევროპული ფედერაცია საელჩოს გაჯიქებას, თორემ 900 ევროს გადახდა არ აგვცდება.

ამასობაში მოახლოვდა ჩვენი მშვილდოსნობის ფედერაციის ვადამდელი არჩევნები, რომელიც 30 მაისს გაიმართება. 15-ში, საღამოს 18 საათზე საპრეზიდენტო კანდიდატთა წარდგენის ვადა ამოიწურა და საბოლოოდ გაირკვა, რომ პრეზიდენტობისთვის ოთხნი იბრძოლებენ: ქალთა ნაკრების წევრი და მოქმედი სპორტსმენი **ხათუნა ნარიმანიძე,** ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი **სერგო გათიკაევი, გია გორდეზიანი** და... **დილარ ხაბულიანი.** ამ კვარტეტში ყველაზე მოულოდნელი ძიუდოს ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ ხაბულიანის გამოჩენაა, როგორც ყოფილი ძიუდოისტისა. კიმონოს გახდის შემდეგ მოზიდავს თუ ვერა ის მშვილდს, ამას 30 მაისს შევიტყობთ.



დილარ ხაბულიანი

**ირაკლი თავაძე**

## მეკლდეურობა


ნიცა თვაური

# ნიცა იცავს

30 წელი მიილია მას შემდეგ, რაც უშბიდან დაშვებისას (1984 წლის 26 თებერვალს) დაიღუპნენ **ირაკლი გელდიაშვილი, დევი თარხნიშვილი, გოგი ზუმბაძე, მურად ჭიჭინაძე, დათიკო კობახიძე** და **გია ტუშური**. მათ შორის გამორჩეული გახლდათ ირაკლი გელდიაშვილი, მეკლდეურობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (ქართველთაგან ამ ტიტულის მფლობელები არიან, ასევე, **ლადო გურჩიანი, თამაზ ბაქანიძე, ტარიელ ლუკაშვილი, ზინა ჭკადუა**), რომელმაც ლადო გურჩიანთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა მიიღო საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება. სწორედ, ლადო გურჩიანის (იგი 1996-2004 წლებში საქართველოს მეკლდეურობის ფედერაციის პრეზიდენტი იყო, ამჟამად გენერალური მდივანია, ფედერაციას კი **ნიკა კვეზერელი** თავკაცობს) ინიციატივით ტარდება რამდენიმე წელიწადია ირაკლი გელდიაშვილის ტურნირები მეკლდეურობაში. გასულ უქმეებზე 53-მა სპორტსმენმა მოიყარა თავი სპორტის სამინისტროს დარბაზში ხელოვნურ კედელზე ირაკლი გელდიაშვილის მემორიალში საასპარეზოდ.

საინტერესოდ წარიმართა პაექრობები რთულ ცოცვაში. საკვალიფიკაციო და ფინალური ორთაბრძოლების შემდეგ გოგონებში თანაბარი ქულები მოაგროვეს თბილისის 183-ე საჯარო სკოლის მეექვსეკლასელმა **ნიცა თვაურმა** და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორეკურსელმა **სალომე მეშველიანმა** (ლენტეხი). დამატებით ცდაზე ნიცამ 18-მეტრიანი ტრასა (6-მეტრიანი გადმოხრით) უშეცდომოდ გაიარა და პირველი ადგილიც დაიკავა, რადგან მეშველიანი ბოლო კარაბინის ჩაბმამდე მოსწყდა კედელს. 11 წლის ნიცამ უფროსებში პირველად გაიმარჯვა, თუმცა ეს არავის გაკვირვებია, რადგან იგი ოჯახურ ტრადიციას აგრძელებს და ხუთი წელიწადია, ამ სახეობაში ვარჯიშობს. თანატოლებში საქართველოს და თბილისის პირველობებში არაერთხელ გაუმარჯვია. შარშანწინ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალში 120 თანატოლს შორის 23-ე, შარშან კი მსგავს შეჯიბრებაში (148 მონაწილე) მე-17 ადგილი დაიკავა. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ნიცას დედა - ზინა ჭკადუა მეკლდეურობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონია, მამა კი - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი. მისი უფროსი და-ძმაც სპორტის ამ სახეობას მისდევს და ტურნირებში არაერთხელ უსახელებიათ თავი...

*მემორიალში გოგონათა შორის რთულ ცოცვაში მესამე იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მარიანა იოსელიანი (მესტია). სწრაფ ცოცვაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. სალომე მეშველიანი (ლენტეხი), 2. სალომე გუგუსიანი (მესტია), 3. ნუცა ხუციშვილი (თბილისი).*

***ვაჟები. რთული ცოცვა.** 1. ალმაცგირ კვიციანი, 2. გუგა დაბრუნდაშვილი, 3. გიორგი გაბულდანი (სამივე-თბილისი). **სწრაფი ცოცვა.** 1. გივა ჯანხოთელი (ლენტეხი), 2. ალმაცგირ კვიციანი (თბილისი), 3. მამუკა ხუციშვილი (ყაზბეგი). საგულისხმოა, რომ 15-მეტრიან ხელოვნურ კედელზე სწრაფ ცოცვაში საქართველოს რეკორდი დაამყარა სტუ-ს მესამეკურსელმა, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონმა გივა ჯანხოთელმა - მან ტრასა 7,92 წამში დაფარა.*

ივნისის მიწურულს მეკლდეურები ლენტეხში შეიკრიბებიან და საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

## იუბილარი. კობა წაქაძე – 80

# არწივი ბაკურიანიდან აფრინდა

ლამაზ სახლს მოვლილი კარ-მიდამო ამშვენებს, რაც, ერთი შეხედვით, გამრჯე, მშრომელ ადამიანებზე მიგვანიშნებს. შრომის მადლს ბავშვობიდან ეზიარა. დღესაც ყოველ გაზაფხულზე კარტოფილს თესავს, ზაფხულში - ჟოლოს, მალინას კრეფს ტყეში, უვლის პირუტყვს, სხვა საქმეებისთვისაც იცლის. ეს ადამიანი ლეგენდარული მფრინავი მოთხილამურე **კობა წაქაძეა**.

იმ ადგილიდან, სადაც ახლა ცხოვრობს, ხელისგულივით მოჩანს ბაკურიანის ზღაპრული ხედები, ამჯერად უკვე მოძველებული, მწყობრიდან გამოსული ტრამპლინები.

ტრამპლინების ეს კომპლექსი ერთადერთი იყო საბჭოთა კავშირში საბაგირო გზით. 1962 წელს ბაკურიანში გამართულ სსრკ ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადაზე მსოფლიო პირველობიდან ჩამოსული კობა წაქაძე გახდა ჩემპიონი, რომელიც მეორე დღესვე პირდაპირ სკანდინავიის ტურნეზე გაემგზავრა.

- ბაკურიანში ტარდებოდა დიდი შეჯიბრებები. 1980-იან წლებში 70 და 40-მეტრიან ტრამპლინებზე ხელოვნური საფარიც დაიგო, რათა საბჭოთა ნაკრებს ზაფხულშიც ევარჯიშა. მაშინ ბაკურიანი იქცა ერთ-ერთ ძირითად მოსამზადებელ ოლიმპიურ ცენტრად - იგონებს ბატონი კობა.

22 წელიწადი საბჭოთა ნაკრებში დაყო, ნაკრებამდე კი რთული გზა განვლო.

### პირველი თხილამურები

4 წლის კობა თხილამურებზე პირველად ბიძამ **სოგრატ კოზანაშვილმა** დააყენა.

ომის დროს ბაკურიანში ჯარი იდგა. აქედან ეზიდებოდნენ საზღვარზე ტყვია-წამალს. სამხედროებში იყვნენ ზამთრის სახეობების სპორტსმენებიც,





რომლებიც მეომრებს ამზადებდნენ სამთო ბატალიონებისთვის. სანატორიუმის ეზოში გორკაზე თოვლისაგან პატარ-პატარა ბორცვებს აკეთებდნენ ჯარისკაცები და იქიდან ხტებოდნენ. სანატორიუმი რკინიგზის სადგურთან ახლოს იყო. კობას მამა **ვარდენ წაქაძე** რკინიგზაზე მუშაობდა. პატარა კობა იქ ხშირად დადიოდა. მორიდებული, წყნარი ბავშვი იყო. ოფიცრები გაიცნო. დამეგობრდნენ და პატარა კობას თხილამურებიც ჩააცვეს, რომ იტყვიან, სანატორიუმში „ჯარისკაცად ჩარიცხეს“.

- მაჭმევდნენ და საკვებს სახლშიც მატანდნენ. რა დამავიწყებს, პირველად კერძი რომ დამისხეს, მოვიყუდე, პირი დამეწვა, კინაღამ დავიხრჩე. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. ძალიან გვიჭირდა. მამა წარმოშობით იმერეთიდან, სოფელ სვირიდან იყო. ტროცკისტად შერაცხილი 1942 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან, ავადმყოფობდა. ჩემი უმცროსი ძმა - ჯუდოც მოთხილამურე იყო.

### ჭაჭასა და შალში გაცვლილი თხილამურები

8 წლის კობას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მამამ სვირიდან ჩამოტანილი ერთი ლიტრი „ჭაჭა“ და ბებიის მიერ მოქსოვილი შალი რუს ოფიცერს თხილამურებში გაუცვალა. ასრულდა ნატვრა - ხელნაკეთის ნაცვლად ჰქონოდა ნამდვილი და საკუთარი თხილამური.

სწორედ სანატორიუმში გაიცნო ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელი პოლკოვნიკი **ვიქტორ ანდრეევი**, აგრეთვე **პაველ დემენტიევი** - მომავალი მწვრთნელი.

1952 წელს, მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველობაზე სოფლის ახალგაზრდულ მფრინავ მოთხილამურეთა შორის კობაც გამოდიოდა. დემენტიევმა და ანდრეევმა იცნეს, მოეხვივნენ, მოეფერნენ, რალაც-რალაცები შეუსწორეს და ბაკურიანის დღეები გაიხსენეს. კობამ მოსკოვში 140 სპორტსმენს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ნესიერ, ენერგიულ, მონდომებულ ქართველ სპორტსმენზე იმ დღიდან „მფარველობა“ ლენინგრადელმა პაველ დემენტიევმა აიღო და კობაზე მამასავით ზრუნავდა. კობას პირველი მწვრთნელი საქართველოს ჩემპიონი **არამ ადამიანცი** იყო. 1952 წელს მოსკოვში ისიც გამოვიდა შეჯიბრებაზე, ეს მისი ბოლო ასპარეზობა იყო - თხილამურები და ბათინკები იქვე კობას აჩუქა.

### დიდ სპორტში

მოსკოვში მოპოვებულმა პირველობამ გადაწყვიტა მისი ბედი - საბჭოთა ნაკრებში ჩარიცხეს, სადაც ასაკით ყველაზე უმცროსი იყო.

ერთი წლის შემდეგ, 17 წლის (1953 წ.) კობა I საერთაშორისო შეჯიბრებაზე მოსკოვში, „ლენინის გორებზე“ 60-მეტრიან ტრამპლინზე უკვე ოცამდე სახელმწიფოს მფრინავ მოთხილამურეთა გვერდით ასპარეზობს. მართალია, II ადგილი დაიკავა, მაგრამ ნაკრებში ადგილი უფრო გაიმყარა. ამ პერიოდში მას უკვე დემენტიევი ავარჯიშებს, რომელიც მალე ნაკრების უფროს მწვრთნელად ინიშნება.



### კობას ავტორიტეტი

როცა კობა 22 წლის განმავლობაში ნაკრებში ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი იყო, ბაკურიანსაც სწყალობდნენ. საბჭოთა კავშირში სულ 21 ტრამპლინი იყო - მათ შორის ბაკურიანში. აქვე ჩატარდა სსრკ ხალხთა ზამთრის ორი სპარტაკიადა (1962, 1974), რაც არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას არ ღირსებია.

საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში მოსკოვში ტარდებოდა და ისიც კობა წაქაძემ ბაკურიანში გადმოიტანა. მხარს უჭერდნენ და ზურგს უმაგრებდნენ საქართველოს ცკ-ას პირველი მდივანი **ვასილ მჟავანაძე,** მდივანი **გიორგი გეგეშიძე** და სპორტის თავკაცი **გიორგი სიხარულიძე.** ბაკურიანში დაიწყო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ბაზების გაფართოება, ერთ კომპლექსში 40, 70, 90-იანი ტრამპლინის მშენებლობა.

1962 წლის სპარტაკიადის შემდეგ საკავშირო ნაკრებისათვის ძირითად მოსამზადებელ ბაზად ბაკურიანი იქცა. მოწესრიგდა ბორჯომ-ბაკურიანის გზა, ფოსტაც აშენდა, სატელეფონო ქსელიც გაფართოვდა. ლენინგრადის ქალაქკომის მდივანმა **რომანოვმა** დაბისთვის კობას თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობა აჩუქა. კობა ყველაფერს აკეთებდა ბაკურიანში გამართული საერთაშორისო შეჯიბრებების დონის ასამაღლებლად, რისთვისაც უნარიანად იყენებდა „ქართულ შესაძლებლობებს.“

- XXI საუკუნეა, ცხადია, ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ ტრამპლინების რეაბილიტაცია რომ მოხდეს, კვლავ შეიძლება ვიფიქროთ დიდი ღონისძიებების გამართვაზე, გამომიყენეთ, სანამ ცოცხალი ვარ! - ამბობს კობა წაქაძე.

### მუზეუმი

ერთი სპორტსმენის ესოდენ მდიდარი მონაპოვარი, რასაც აქ ნახავთ (ნახევარი მინისძვრის დროს დაიმსხვრა), მართლაც რომ საკვირველებაა. პერსონალურად კობასთვისაა დამზადებული საჩუქრები: „ოქროს დაფნის ფოთოლი“ (იხ.სურ.) - 1956 წელს ინსბურკში მოგებული ტურნირის (ახლა მსოფლიო თასი ჰქვია) სამახსოვროდ; აგრეთვე „არწივი საათით“ - ფინეთიდან (ლახტი). მუზეუმში დევს 20 სმ სიგრძის ლითონის თხილამური, რომელიც 1927 წლითაა დათარილებული. ეს 1962 წელს ჩეხოსლოვაკია-პოლონეთში მსოფლიო პირველობის ტურნეზე დაჯილდოებისას კობას ნახტომით აღფრთოვანებულმა ერთმა მამაკაცმა აჩუქა. - მოვიდა მაკოცა და მითხრა, ქჩუქნი ამ თხილამურებს, რომლითაც კონცლაგერში გადავრჩიო.

ფინეთში ცოცხალი პრიზი, ორწლიანი სანაშენე ხარიც მიართვეს. მაგრამ, თან ხომ არ წამოიყვანდა, ფინელ მხტომელთა მწვრთნელს **ლასე იუხანსის** უსახსოვრა.

კობას მუზეუმში ის ნანატრი სპორტსკოლის შენობის მაკეტიც დევს, რომელიც წლების წინათ მოამზადებინა ტრამპლინების ასაშენებლად, მაგრამ მიწა ვერ იქნა და ვერ გამოუყვეს.

### საბაჟოზე მწვანე დერეფნით

მაშინ უშიშროების სამსახურმა ყველაფერი იცოდა სპორტსმენის შესახებ. კობა იგონებს: „ჩემი თარჯიმანი გახლდათ გაზეთ „იზვესტიის“ რედაქტორი **აჯუბეი.** შვეცია-ფინეთ-ნორვეგიასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება. ორ სპორტსმენს ყიდულობდნენ. კონტრაქტზე ოსლოში უარი ვუთხარი. ნორვეგიელი იყიდეს. მე რომ ვერ დამიყოლიეს, მერე ფინელი შეიძინეს. ამერიკელები თვენახევარში მოქალაქეობას და ერთი მილიონ აშშ დოლარს იძლეოდნენ.

ერთხელაც ჩემს დოსიეში გაჩნდა ასეთი ჩანაწერი: „კობა წაქაძე დამაკმაყოფილებელია ყველაფრით, მაგრამ სწავლობს გერმანულ ენას“. გამომიძახეს და... „მე, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, ხშირად დავდივარ შეჯიბრებებზე, კაპიტალისტურ ქვეყნებში და ვალდებულებად მივიჩნევ, რომ არ შევისწავლო მტრის ენა და არ ვილაპარაკო მტრის ენაზე, გერმანულად. რასაც ვნახავ, გავიგონებ, სამშობლოში და სახლში არ ვთქვა, რასაც ხელის მოწერით ვადასტურებ - კობა წაქაძე.“

კობას პერსონალურად იწვევდნენ მაშინდელი კაპიტალისტური ქვეყნების მეთაურები ვახშამზე. პერსონალურ დაპატიჟებასაც კი მოსკოვი წყვეტდა და რადგან კობამ მილიონ დოლარზე უარი განაცხადა, ჰქონდა საბუთი №16, 1957 წელს გაცემული. არ იცის, ვინ იყო კიდევ სხვა 15 პიროვნება, მაგრამ მე-16 თვითონ იყო და არ ექვემდებარებოდა საბაჟოზე არც გასვლისას და არც შემოსვლისას შემოწმებას.

### გადაბირება არც საბჭოეთში შედგა

- სამოთახიანი ბინის ორდერი მომცეს მოსკოვში, პრესტიჟულ ადგილას ლენინის გამზირზე, სამოთახიანი ლენინგრადში, სამოთახიანი გორკში, ყველგან მელოდნენ, მე კი არსადაც არ მივდიოდი. დაურეკეს ვასილ მჟავანაძეს და უთხრეს: - ორდერი გავეცით წაქაძეზე მოსკოვში, სასწრაფოდ ჩამოვიდეს. მჟავანაძე სიხარულიძეს დაუკავშირდა. დამიბარეს ცეკაში დილის 10 სთ-ზე. მჟავანაძემ მოსკოვის ბინის ორდერი გადახია, რაღაც ქაღალდს რეზოლუცია დაადო და თბილისის ალმასკომის თავმჯდომარეს **მელაძეს** უთხრა: - ორ დღეში კობა წაქაძეს პრესტიჟულ ადგილას სამოთახიან ბინას მისცემთო.

### „მფრინავი ტორპედა“

ასე მოიხსენია 1955 წელს „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ სტატიაში ქართველი სპორტსმენი.

ოთხჯერ იასპარეზა ოლიმპიურ თამაშებში... მსოფლიო პირველობაზე - 6-ჯერ, სულ საერთაშორისო შეჯიბრებებში 337 სტარტი მიითვალა; გფრ-ში 11-ჯერ გამოვიდა საახალწლო ტურნირში. უცხოვრია ჰიტლერის ოთახში.

40 წლისამ დატოვა დიდი სპორტი. იმსაჯა 16 საერთაშორისო ტურნირი, ორ-ორი ოლიმპიური და მსოფლიო პირველობა.

უკან დარჩა საზღვარგარეთ მოგზაურობები, ახლა კი მისი მეუღლე - მერი დადის შვილებთან, რადგან ქალიშვილები ნონა და ნანა გერმანიასა და ჰოლანდიაში ცხოვრობენ. ვაჟს - კახას ამერიკაში აქვს ოჯახი. უფროსი ვაჟი კობა კი თბილისშია.

კობას „ორი“ დაბადების დღე აქვს - ერთი 19 მაისი, რეალური და მეორე - პასპორტით - 19 აგვისტო.

დღეს კობას დაბადების დღეა, ვულოცავთ!

**სოფიო ხეთაგაშვილი**
ავტორის ფოტოები

## ჭადრაკი

# მჭედლიშვილი სრული სვლით



მიხეილ მჭედლიშვილი

ტაშკენტში გრძელდება უზბეკეთის პირველი დიდოსტატის - გიორგი აგზამოვის საერთაშორისო ტრადიციული მემორიალი, რომელშიც 13 ქვეყნის 101 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის - თბილისელი დიდოსტატი **მიხეილ მჭედლიშვილი.** ხუთი ტურის შემდეგ იგი უდანაკარგოდ ლიდერობს. მჭედლიშვილმა ზედიზედ სძლია ვიქტორია სერგეევას (ყაზახეთი), ტეიმურ იგონინს, აკმალ ფაზულაევს, ნოდირბეკ აბდუსატოროვსა (სამივე-უზბეკეთი) და პაველ სმირნოვს (რუსეთი). ქართველ მოჭადრაკეს ნახევარი ქულით ჩამორჩება სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი). თერთმეტმა მოჭადრაკემ 4-4 ქულას მოუყარა თავი, დღეს მეექვსე ტურში მჭედლიშვილი შავი ფიგურებით ჟიგალკოს დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

ერთიანი ბიბლიოთეკა

ქემპი




# ახალი ერა სლოვენიელებთან ერთად

გუშინ საღამოს „დინამოს" ბაზაზე ოთხმა სლოვენიელმა მწვრთნელმა ქართველი კოლეგების დახმარებით საკალათბურთო ათდღეული გახსნეს. ისინი 19-დან 28 მაისამდე ახალგაზრდა ქართველ კალათბურთელებს დღეში ორჯერად ვარჯიშებს ჩაუტარებენ და საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ.

როგორც წესი, მსგავსი კემპები ორსამ დღეს გრძელდება, სლოვენიური კვარტეტის საზაფხულო ბანაკი კი ჩვეულებრივი არ არის. იქ ყველაფერი ათ დღეზე წინასწარაა გაწერილი. სლოვენიელ მწვრთნელთა ჯგუფი New era Basketball მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ატარებს წვრთნებს და საქართველოში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, **ვლადიმერ ბოისას** მოწვევით ჩამოვიდა. ამ პროექტის განხორციელებაში კალათბურთის ფედერაციას მხარში დაუდგა სპორტის სამინისტრო.

როგორც პრესრელიზი გვატყობინებს, საწყის ხუთ დღეში 18-20 წლის ახალგაზრდები ივარჯიშებენ, ხოლო დარჩენილ დღეებში - 15-17 წლის მოზარდები.

კემპს გაუძღვებიან ლიუბლიანის „ოლიმპიასა" და სხვა სლოვენიური კლუბების მწვრთნელები: **ლუკა კრიჟაი, ჟიგა მრავლიაკი, მატიჩ მრავლიაკი და ჟროშ ნინიჩი.**

კემპის პრეზენტაცია გუშინ სპორტის სამინისტროში გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ ახალგაზრდა სპეციალისტები **გიორგი ნიკოლაძე და დიმიტრი ჟაკობოვი.** ისინი **არჩილ ჟღენტთან** და **ირაკლი ტომარაძესთან** ერთად კემპში მწვრთნელების სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას.

**გიორგი ნიკოლაძე:**

- მადლობა საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და პირადად ვლადიმერ ბოისას ასეთი ღონისძიების ორგანიზებისთვის. ვფიქრობ, ამ 10 დღის განმავლობაში ჩვენი ახალგაზრდები მნიშვნელოვან ცოდნას მიიღებენ. ასეთი კემპები ჩვენთვის, მწვრთნელებისთვისაც სასარგებლო და ბევრისმომცემია.

**ჟროშ ნინიჩი:**

- შევეცდებით, ახალგაზრდა კალათბურთელებს დავეხმაროთ თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაში. ისინი გაივლიან როგორც ძირითად პრაქტიკულ ვარჯიშებს, რაც კალათბურთელის კარიერაში უმნიშვნელოვანესია, ასევე ფიზიკურ მომზადებას და თეორიულ მეცადინეობებს.

ქართველები ესპანეთში

# სანიკიძის 16 და უფრო მაღალი მქკ

## პირველად ისტორიაში: ესპანეთის პლეი ოფში ორი ქართველი ითამაშებს



ესპანეთის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე **ვიქტორ სანიკიძის** „სარაგოსას" კვალად **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმაც" გაინაღდა პლეი ოფში ასპარეზობის უფლება. ამ ორ გუნდს „ლაბორალ კუჩასთან" ერთად 18-18 ქულა აქვს და მეექვსემერვე ადგილებს ინაწილებს. ბოლო ტური გადაწყვეტს საბოლოოდ რომელი გუნდი რა პოზიციით შევა პლეი ოფში და მეოთხედფინალში ვისთან მოუწევს დაპირისპირება. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ზემოთ ნახსენები ტრიო სატურნირო ცხრილის სამ ლიდერს გაინაწილებს: „რეალს", „ვალენსიასა" და „ბარსელონას".

■ ■ ■

ბოლოსწინა ტურში ვიქტორ სანიკიძემ თავი გამოიდო: „ლაბორალ კუჩასთან" 16 ქულა ჩააგდო, თუმცა ქართველის დამაჯერებელი თამაში „სარაგოსას" საშინაო მოგებისთვის არ ეყო. ბასკებმა არაგონში 88:75 იმარჯვეს.

ვიქტორი მხოლოდ 16 ქულას როდი დასჯერდა, მისი მონაგარი ასეთი იყო: 29 წუთი, 8-დან 7 ორქულიანი, 3-დან 2 საჯარიმო, 7 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება. მართალია, მისმა თანაგუნდელმა **ჯოზეფ ჯონსმა** ორით მეტი, 18 ქულა ჩააგდო, მაგრამ მარგი ქმედების კოეფიციენტით სანიკიძე მასპინძელთაგან საუკეთესო იყო - 21. ჯონსის მქკ-მ 16-ს უწია.

ვიქტორ სანიკიძემ ნამატჩევს წაგების ერთ-ერთ მიზეზად მეფარე **ჰენკ ნორელის** ტრავმა დაასახელა:

*- ჰენკის არყოფნა ჩვენს თამაშზე უარყოფითად მოქმედებს, იგი სასარგებლო კალათბურთელია. ნორელი განსაკუთრებით მომდევნო შეხვედრაში დაგვჭირდება, რადგან ჩვენი ამოცანაა, პლეი ოფში მეექვსე ან მეშვიდე ადგილით გავიდეთ, რისთვისაც ბოლო ტურში „მურსიასთან" წაგება არ შეიძლება.*

შეგახსენებთ, რომ მერვეადგილოსანს რეგულარულის ჩემპიონ „რეალთან" მოუწევს მეოთხედფინალში ჭიდილი, რაც სასურველი პერსპექტივა არავისთვისაა.

■ ■ ■

ბექა ბურჯანაძემ „კახასოლის" მაისურით უშუალო კონკურენტ „ხუვენტუდთან" მხოლოდ 1 წუთი ითამაშა. მისმა გუნდმა მატჩი მეოთხე პერიოდში შემოატრიალა და 83:81 გაიმარჯვა, რის შემდეგაც „ხუვენტუდს" 3 მოგებით გაასწრო და პლეი ოფზე ოცნების სურვილიც მოუსპო.

■ ■ ■

მომდევნო ტურში, 25 მაისს „კახასოლი" „ბარსელონას" ესტუმრება, ხოლო „სარაგოსა" - „მურსიას".

მეგობართა მატჩი

# ცამეტიანის გახსენება



გუშინ სპორტკომპლექს „არენაში" მეგობრებმა საკალათბურთო მატჩით დუდუ დადიანი გაიხსენეს. 19 მაისი სწორედ მისი დაბადების დღე იყო.

იგი „ვითასა" და საქართველოს ნაკრებში 13-ნომრიანი მაისურით თამაშობდა და გუშინდელი შეხვედრის ყველა მონაწილეს ზურგზე სწორედ დუდუ და 13-იანი ეწერა.

ერთ გუნდს **ზურაბ ტომარაძე** წვრთნიდა, მეორეს - **სერგო იშხნელი.** მატჩი მეგობრული ანგარიშით 74:74 დასრულდა.

თეთრების შემადგენლობა ასეთი იყო: არჩილ ჟღენტი, ზაზა ცაგარეიშვილი, მიხეილ ბერუაშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, ამირან სხიერელი, რევაზ ჩხეიძე, გია სანაძე, ლევან წულაია, რამაზ გოგობერიშვილი

ლურჯები: ნოდარ ქორქია, ზაზა ლონლაძე, კოტე ტულუში, პაატა გურასპაული, გია ბერუაშვილი, ამბროსი ორმოცაძე, მამუკა ტურაშვილი, ალეკო პეტრიაშვილი, დავით ღლონტი, ლადო ჩიხლაძე, ზურაბ დარახველიძე.

ვეტერანთა მატჩი



# ლატვიელებს ღირსეულად დავუხვდით

საკალათბურთო კლუბ „სოხუმის" მოწვევით რამდენიმე დღით თბილისს სტუმრობდა ლატვიის ქალაქ იელგავას ვეტერანთა გუნდი „დოქსი". ბალტიისპირელებმა ჯერ კახეთში ჩაატარეს ამხანაგური მატჩი, შემდეგ თბილისის სპორტის სასახლეში დაუპირისპირდნენ ქართველ ვეტერანებს.

საქართველოს ნაკრებს წვრთნიდა **მამუკა ლომიძე**, იელგაველთა წინააღმდეგ სათამაშოდ კი მოედანზე გავიდნენ **ნოდარ ქორქია, ბაჩო სხიერელი, ალეკო პეტრიაშვილი, მამუკა ტურაშვილი, გულივერ ახალკაცი, პაატა გურასპაული, ლევან მგალობლიშვილი, ამროსი ორმოცაძე, ლადო ჩიხლაძე, გიორგი ჩხეიძე, ზაზა ლონლაძე, ლევან წულაია, ზაზა ცაგარეიშვილი.**

როგორც ყველა ასეთი ტიპის მატჩი, ეს შეხვედრაც სახალისო სანახავი გამოდგა, თუმცა ბოლო წუთებამდე არც ერთი გუნდი აპირებდა გამარჯვების დათმობას. საბოლოოდ მაინც მასპინძლებმა იყოჩაღეს და 54:50 მოიგეს.

ქართველი საბერძნეთში

# გამოიცანით, ვინ გავიდა საბერძნეთის პირველობის ფინალში

სათაურში ისეთი შეკითხვა დავსვით, „ორჯერ ორი ოთხიაო", რომ ამბობენ - რა თქმა უნდა, საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალში „ოლიმპიაკოსი" და „პანათინაიკოსი" ითამაშებენ.

გუშინ **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა" ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩიც მოუგო „პანიონიოსს". თუმცა, ამჯერად, სტუმრად ცოტა გაუჭირდა: პირეოსელებმა მხოლოდ სამი ქულის სხვაობით გაიმარჯვეს - 93:90.



წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა გამთამაშებელმა **ვასილის სპანულისმა**, რომელმაც 22 ქულა ჩააგდო. ქართველმა ცენტრმა გიორგი შერმადინმა 8 წუთი ითამაშა, 1 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

● ცურვა

# ოთხი მედალი და მსოფლიოს ლიცენზია


თეიმურაზ კობახიძე (მარცხნივ) და ირაკლი რევიშვილი

ბელარუსის ქალაქ ბრესტში მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა სპორტსმენებმა ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ზურაბ ხომასურიძის** ხელმძღვანელობით.

ოლიმპიური თამაშების მონაწილე **ირაკლი რევიშვილმა** თავისუფალი ყაიდით 200 (1.52,51), 400 (3.58,81) და 800 (8.20,41) მეტრ დისტანციებზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, თანაც 400 მეტრზე 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ლიცენზია შეასრულა და გაისად ამ შეჯიბრებაზე ყაზანში გაემგზავრება.

თავი გამოიჩინა **თეიმურაზ კობახიძემაც.** იგი ბატერფლაით ცდიდა ძალებს. 50 (24.9) და 100 (55.3) მეტრზე მან საქართველოს რეკორდები გააუმჯობესა, 200 მეტრზე (2.04,00) კი ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

# წარმატებული სტარტით

ევროპის სხვადასხვა ქალაქში დაწყებულ ჩოგბურთელ ქალთა ახალ საერთაშორისო ტურნირებში ჩვენი სპორტსმენებიც მოსინჯავენ ძალებს. გერმანულ ნიურნბერგში (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი) ითამაშებს **ოქსანა კალაშნიკოვა** (წყვილებში 47-ე ადგილი კლასიფიკაციაში). იგი პოლონელ კატარჟინა პიტერთან (69-ე) ერთად მე-4 ნომრადაა განთესილი და სტარტზე ბელარუს პოლინა პეხოვას (261-ე) და გერმანელ ნინა ზანდერის (450-ე) დუეტს დაუპირისპირდება.

იტალიის ქალაქ კასერტას 10.000-იანი ტურნირის პირველ წრეში მე-6 განთესვის მქონე **ეკატერინე გორგოძემ** იტალიელი სარა ეკელი დაამარცხა - 6:3, 6:1 და მომდევნო შეხვედრას ვირჯინია კიკონესა (იტალია) და კაროლინა ზებალდოსის (არგენტინა) შორის უძლიერესთან გამართავს. ამავე ტურნირში ითამაშებს **სოფიო ქვაცაბაია,** რომელიც სტარტზე დომინიკელ ფრანჩესკე სეგარელის გაუწევს მეტოქეობას. წყვილებში მე-2 ნომრად განთესილი ქართველები მასპინძლებთან - დილეტა ალესანდრელისა და კლაუდია კირილოსთან გაარკვევენ ურთიერთობას.

ისრაელის ქალაქ რამლეში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) **მარიამ ბოლქვაძემ** გუშინ წყვილებში - ბრიტანელ მანიშა ფოსტერთან ერთად ინბარ კოჰენისა და სეან ლოდსკის (ორივე-ისრაელი) ტანდემს აჯობა - 6:3, 6:1. მეოთხედფინალში გზიდან მასპინძლების - სარა სტერენბახისა და ტალია ზანდბერგის ჩამოცილებას შეეცდება. ერთეულთა თანრიგის სტარტზე მისი მეტოქე იქნება კვალიფიკაციიდან ალზევებული შირ აზრანი (ისრაელი).

ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ (WTA) წინა კვირის მონაცემებით განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ქართველთა მაჩვენებლები ასეთია: 203 (206). **სოფიო შაფათავა** (285 ქულა), 351 (352). **ოქსანა კალაშნიკოვა** (117), 369 (373). **ეკატერინე გორგოძე** (111), 440 (440). **მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი** (812), 616 (615). **სოფო ქვაცაბაია** (43), 1154 (1160). **მარიამ ბოლქვაძე** (6), 1248 (1249). **თამარ ჭალაგანიძე** (3).

ვაჟთა კლასიფიკაციაში 157 ქულით 294-ე ადგილზეა **ნიკოლოზ ბასილაშვილი,** რომელმაც გუშინ უზბეკეთის ქალაქ კარშის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონრდი 50.000 დოლარი) პირველ წრეში იაპონელ შუიჩი სეკიგუჩის მოუგო 6:1, 6:4 და მე-2 წრეში ტაი ჩენსა (ტაივანი) და ლორენ როჩეტს (საფრანგეთი) შორის გამარჯვებულს გაეჯიბრება.

ვაჟა დანელია


გურამ თოხაძე შოთა მეფარიძეს აჯილდოებს

# ბაბუას თასი შვილიშვილს

თბილისის, თელავის, რუსთავისა და გორის 80-მდე ჩოგბურთელი მონაწილეობდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის **გურამ თოხაძის** თასზე, რომელიც ომის ვეტერანთა პარკში მისივე სახელობის კორტებზე გაიმართა. მეთხუთმეტედ გამართულ შეჯიბრებაში გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ ოთხ ასაკში. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა უფროსთა შეჯიბრება. აქ ვაჟებში ყველას გურამ თოხაძის შვილიშვილმა **შოთა მეფარიძემ** აჯობა, რომელიც ახალგაზრდა ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგის ასეულში შედის. ფინალში მან **გიორგი დათაშვილი** დაამარცხა. მესამე ადგილი შოთას უმცროსმა ძმამ — **სანდრო მეფარიძემ** დაიკავა. გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **ნატო შაბურიშვილი,** 2. **ანა დობორჯგინიძე,** 3. **მარიამ კანდელაკი.** ასაკების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: **ანა-მარია ქურციკიშვილი, ნინი ნაცვლიშვილი, დალიდა ქადარია, რადა ზოლოტარიოვა, გიორგი გიორგაძე და ცოტნე ძიმისტარიშვილი.** გამარჯვებულები და პრიზიორები გურამ თოხაძემ დააჯილდოვა. მისი სახელობის თასი გადაეცა შოთა მეფარიძეს, რომელმაც ამ შეჯიბრებით ახალგაზრდებში გამოსვლა დაასრულა და უფროსებში გადაინაცვლა.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

● რაგბი. ლეგიონერები


მარცხნიდან მეორე ლექსო ყაულაშვილი

# ერთი ნაბიჯი ალზევებამდე

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში პლეი ოფის ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. ალსანიშნავია, რომ ფინალში ქართველ მორაგბეთა გუნდებმა „აჟენმა“ და „ლა როშელმა“ გაალწია.**

**ტარიელ რატიანიძის** „აჟენი“, რომელმაც რეგულარული გათამაშება მეორე ადგილზე დაასრულა, მეექვსეადგილოსან „ნარბონს“ დაუპირისპირდა და 25:17 დაამარცხა. აჟენელები უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ და მატჩის ბოლომდე სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ. რატიანიძეს ამ შეხვედრაში არ უთამაშია. შეგახსენებთ, რომ „აჟენში“ მომავალი სეზონიდან საქართველოს ნაკრების გარემარბი **თამაზ მჭედლიძე** იასპარეზებს.

„აჟენის“ მეტოქე ფინალში **ლექსო ყაულაშვილის** „ლა როშელი“ იქნება, რომელმაც „პოს“ - 35:18 მოუგო. თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. მატჩის არბიტრმა ორივე გუნდიდან ორ-ორი მორაგბე გაასინბინა. ყაულაშვილი თადარიგში იყო და თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო.

შეგახსენებთ, რომ ფინალში გამარჯვებული პირველი დივიზიონის საგზურს მიიღებს. იქამდე, ელიტაში თამაშის უფლება პირველ ადგილზე გასულმა **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონმა“ მოიპოვა.

**II დივიზიონი**

**ნახევარფინალი**

**აჟენი-ნარბონი 25:17, ლა როშელი-პო 35:18**

**ფინალი**

**აჟენი-ლა როშელი**

ნახევარფინალის პირველი მატჩები გაიმართა ფედერალ 1 დივიზიონში. **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, დავით დადუნაშვილისა და ელიზბარ ყუფარაძის** „მასიმ“ სტუმრად წააგო „ტიროსთან“ - 19:21. ალსანიშნავია, რომ პარიზელები 73-ე წუთამდე 16:15 იგებდნენ. დასკვნით შვიდ წუთში მასპინძლებმა ორი საჯარიმო გაიტანეს, რაზეც ჩვენებურთა გუნდმა მხოლოდ ერთით უპასუხა.

აშვეთიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა, დადუნაშვილი 64-ე წუთზე შეცვალეს, სუთიაშვილი მედანზე 41-ე წუთიდან გამოჩნდა, ყუფარაძე განაცხადში არ იყო. განმეორებითი მატჩი მომავალ უქმეებზე გაიმართება.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში **გიორგი სორდიას** „ლილმა“ შინ დაამარცხა „მონტობანი“ - 17:12. მასპინძლები 67-ე წუთამდე 11 ქულის სხვაობით იგებდნენ - 17:6. თუმცა, მონტობანელებმა ძალების მობილიზება შეძლეს და ორი საჯარიმოს გატანა მოახერეს.

სორდია ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს. „ლილი“ განმეორებით მატჩში უნდა ეცადოს ხუთქულიანი უპირატესობის შენარჩუნებას.

**ფედერალ 1**

**ნახევარფინალი**

**ტიროსი-მასი 21:19, ლილი-მონტობანი 17:12**

მომავალი სეზონიდან ევროთასების გათამაშება ახალი ფორმატით გაიმართება. ჩემპიონთა თასზე, რომელიც „ჰაინეკენის თასს“ ჩაანაცვლებს, ერთი შეხვედრა უკვე გაიმართა. ამ შეჯიბრებაში ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად საკვალიფიკაციო ორრაუნდიან ბრძოლაში **დავით ქუბრიაშვილისა და ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე“ ჩაება.

ჩვენებურთა გუნდმა პირველი მატჩი სტუმრად გამართა ინგლისურ „ვოსფსთან“ და მინიმალური სხვაობით 29:30 წააგო. პარიზელები მატჩის მიმდინარეობისას ანგარიშში მუდამ ჩამორჩებოდნენ. 73-ე წუთზე კი დაწინაურება შეძლეს - 29:27. თუმცა მასპინძლებმა მატჩის ბოლო წუთზე საჯარიმო გაიტანეს და გამარჯვება მიითვალეს. ცხადია, განმეორებით შეხვედრაში, რომელიც პარიზში გაიმართება, ჩვენებურთა გუნდს ჩემპიონთა თასზე მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

ქუბრიაშვილი თადარიგში იყო და მოედანზე 48-ე წუთიდან გამოჩნდა, ჟვანია განაცხადში არ იყო.

**ჩემპიონთა ლიგა**

**ვოსფსი-სტად ფრანსე 30:29**

ბესიკ ჯანგავაძე

● შვიდკაცა რაგბი

# ამსტერდამში მეორეზე

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ამსტერდამის ტრადიციულ შვიდკაცა რაგბის ტურნირზე იასპარეზა და მეორე ადგილი დაიკავა.

„შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა“, რომლებსაც კახა ალანია თავკაცობდა ფინალამდე ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს. ალსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში ძირითადად ნაკრებებთან ერთად საკლუბო გუნდებიც ასპარეზობენ. ჩვენმა მორაგბეებმა ფინალში მძაფრი ბრძოლა გაუმართეს „სამურაის“, რომელიც ინტერნაციონალური გუნდი, ფაქტობრივად, მსოფლიოს ნაკრებია. საქართველოს ნაკრებმა შეხვედრა მხოლოდ ოთხი ქულის სხვაობით დათმო - 31:35.

საგულისხმოა, რომ ამ ტურნირში ჩვენი მეშვიდკაცეების რიგებში ეროვნული ნაკრების მორაგბეებმაც იასპარეზეს. ესენი არიან: **დავით კაჭარავა** (ენისეი), **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო), **ლაშა მალალურაძე** (ბაგნერე), **მერაბ კვირიკაშვილი** (ვიენი) და **მერაბ შარიქაძე** (ბურგ ან ბრესი).

**I ეტაპი**

**საქართველო-ემლანდი (შოტლანდია) 12:7, საქართველო-ერასმუსი 47:0, საქართველო-ვესტერნ კუკი 28:0.**

**II ეტაპი**

**საქართველო-სერიუს სტაფი 31:17, საქართველო-ფრი სევენსი 26:7.**

**ნახევარფინალი**

**საქართველო-გერმანია 19:7**

**ფინალი**

**საქართველო-სამურაი 31:35**

საქართველო: დავით კაჭარავა (ენისეი), ზურაბ ძნელაძე, გიორგი ფრუიძე (ორივე-აია), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), ლაშა მალალურაძე (ბაგნერე), რეზო გიგაური (მონლუსონი), შავლეგ მახარაშვილი (ყოჩები), დიმიტრი კალანდაძე, რამაზ ხარაზიშვილი (ორივე-ჯიქები), მერაბ კვირიკაშვილი (ვიენი), მერაბ შარიქაძე (ბურგ ან ბრესი), ალექსანდრე ხუციშვილი (არმაზი).

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL პლეი ოფი



ტეივზს (№19) მესამე გოლს ულოცავენ

# ჩემპიონი მოგებით იწყებს

დასავლეთი კონფერენციის ფინალის პირველი მატჩი ნერვული, დაძაბული და ოდნავ სკანდალური გამოვიდა. „ჩიკაგომ“ ანგარიში პირველი პერიოდის ბოლოს გახსნა, როცა სტუმრების მცველის **ალეკ მარტინესის** გაძევება გამოიყენა: „ჩიკაგოს“ ფორვარდმა **საადმა** შეძლო ცისფერი ხაზიდან დარტყმულისთვის მიმართულების შეცვლა. ერთშაიბიანი უპირატესობის მოპოვების შემდეგ, მასპინძლებმა შეამცირეს ზეწოლა და მთელი მეორე პერიოდი „ლოს ანჯელესი“ გამუდმებით უტევდა **კორი კროუფორდის** კარს. მეორე 20-წუთეულის დასაწყისში „კინგზის“ ფორვარდმა **ტოფოლიმ** გაათანაბრა ანგარიში, როცა წარმატებით დაასრულა სწრაფი კონტრშეტევა. და რომ არა „ბლეკჰოქსის“ მეკარე, „კინგზი“ მეორე პერიოდში გადაწყვეტდა მატჩის ბედს. თამაშის ამ მონაკვეთში სტუმრებმა 17 ზუსტი დარტყმა შეასრულეს. მაგრამ „ჩიკაგომ“ გაძლო და დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ მიიჩნევა სტენლის თასის მთავარ ფავორიტად. მართალა, მასპინძლები აქტიურობაში ჩამორჩებოდნენ მეტოქეს, მაგრამ შექმნილი მომენტები გამოიყენეს და საჭირო შედეგსაც მიაღწიეს.

რაც შეეხება ამ შეხვედრის სკანდალურ მხარეს, მეორე პერიოდის პირველ წუთებზე იყო საკამათო ეპიზოდი, რომელიც დიდი ემოციები გამოიწვია. „ჩიკაგოს“ კაპიტანმა **ჯონათან ტეივზმა** ახლო ბრძოლაში აჯობა „კინგზის“ მეკარეს და 2:0 გახადა ანგარიში. მაგრამ გოლი არ ჩაითვალა, რადგან მსაჯების აზრით, ტეივზმა **ჯონათან კუიკზე** თამაშის წესი დაარღვია და მას შაიბის მოგერიებაში ხელი შეუშალა.

თავდაპირველად ერთ-ერთმა მსაჯმა ეს გოლი ჩათვალა, მაგრამ შემდეგ არბიტრებმა ვიდეოჩანაწერის ნახვა გადაწყვიტეს. არადა, წესების თანახმად, ისეთი მომენტი, როგორიცაა მეკარეზე თავდასხმა, ვიდეოზე არ მოწმდება, მაგრამ ამჯერად ეს წესი დაირღვა და სწორედ ამან ალაშფოთა „ჩიკაგოს“ მწვრთნელი **ჯოელ კენევილი**.

**ჩიკაგო–ლოს ანჯელესი 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 საადი-3 (ლედი-3, მარიან ჰოსა-10), 1:1 ტოფოლი-4 (პირსონი-5, ჯ. კარტერი-8), 2:1 კიტი-3 (საადი-6, კრუგერი-2), 3:1 ტეივზი-6 (ოდუია-3, მარიან ჰოსა-11).

**სერია:** 1-0

# მონრეალმა იმედი დაკარგა

„მონრეალ კანადიენსის“ გოლკიპერი **კერი პრაისი** სეზონის ბოლომდე გამოვიდა მწყობრიდან. კანადის ოლიმპიური ნაკრების მეკარე მინიმუმ „ნიუ იორკ რეინჯერსთან“ სერიის ბოლომდე ვერ ითამაშებს. ეს ინფორმაცია „კანადიენსის“ მთავარმა მწვრთნელმა **მიშელ ტერიენმა** გაავრცელა.



პრაისი „რეინჯერსთან“ მატჩში

შეგახსენებთ, რომ პრაისმა დაზიანება აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალური სერიის პირველ მატჩში მიიღო, როცა „რეინჯერსის“ ფორვარდ **კრის კრაიდერს** შეეჯახა. ის მატჩი ნიუიორკელებმა 7:2 მოიგეს.

ამჟამად, „მონრეალის“ რიგებში ორი მეკარე ვარჯიშობს - **პეტერ ბუდაი** და **დასტინ ტოკარსკი**. „რეინჯერსთან“ პირველ მატჩში ტრავმირებული პრაისი ბუდაიმ შეცვალა, მაგრამ ძალიან ცუდად გააკეთა ეს, რადგან ხუთ წუთში სამი შაიბა გაუშვა.

მსოფლიოს ჩემპიონატი

**A ჯგუფი**

**კანადა–შვედეთი 3:2 (ო)**

0:1, 2:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ლინდსტრიომი-4 (მიოლერი-4), 0:2 კლასენი-2 (ეკჰოლმი-2, ნიუკვისტი-2), 1:2 ბ. შენი-3 (იუბერდო-3), 2:2 ბიეკსა-2 (ჰოჯსონი-2, რილი-2), 3:2 ელისი-1 (ბროუერი-1, შეიფელი-2).

**ჩეხეთი–ნორვეგია 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**გოლი:** 1:0 სობოტკა-1 (ჰერტლი-3, იაგრი-3).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 6 | 4 | 1 | 1 | 0 | 25:11 | 15 |
| 2. შვედეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 0 | 16:9 | 15 |
| 3. ჩეხეთი | 6 | 2 | 1 | 2 | 1 | 15:14 | 10 |
| 4. საფრანგეთი | 5 | 1 | 2 | 0 | 2 | 15:13 | 7 |
| 5. სლოვაკეთი | 6 | 2 | 0 | 1 | 3 | 16:18 | 7 |
| 6. ნორვეგია | 6 | 2 | 0 | 1 | 3 | 14:16 | 7 |
| 7. დანია | 5 | 1 | 1 | 0 | 3 | 12:17 | 5 |
| 8. იტალია | 6 | 1 | 0 | 0 | 5 | 5:20 | 3 |

**B ჯგუფი**

**აშშ–ფინეთი 3:1**

1:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ნელსონი-4 (ჯონსი-5), 2:0 ტ. ჯონსონი-3 (სმიტი-4, ჯონსი-6), 2:1 მიანტიულა-2 (იმონენი-2, პიეტანენი-2), 3:1 ჯონსონი-4 (მორი-1).

**რუსეთი–გერმანია 3:0**

0:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 შიპაჩოვი-2 (იაკოვლევი-1, პლოტნიკოვი-5), 2:0 შიროკოვი-2 (ზარიპოვი-6, ანისიმოვი-2), 3:0 ტიხონოვი-7 (ანისიმოვი-3).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 0 | 29:6 | 18 |
| 2. აშშ | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 22:19 | 11 |
| 3. ბელარუსი | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 14:14 | 9 |
| 4. ლატვია | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 17:18 | 9 |
| 5. ფინეთი | 6 | 2 | 1 | 0 | 3 | 14:12 | 8 |
| 6. შვეიცარია | 6 | 2 | 0 | 1 | 3 | 16:19 | 7 |
| 7. გერმანია | 6 | 1 | 1 | 0 | 4 | 9:18 | 5 |
| 8. ყაზახეთი | 6 | 0 | 0 | 2 | 4 | 13:28 | 2 |

NBA პლეი ოფი

# ასეთი ინდიანა ლებრონისთვისაც რთულია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფში ნახევარფინალური ეტაპი დაიწყო და ინდიანაპოლისელი გულშემატკივრების გასახარად, სწორედ ამ საპასუხისმგებლო მომენტში დაბრუნდა ნამდვილი „ინდიანა პეისერსი“ - სუპერსაიმედო დაცვით, მრავალმხრივი შეტევებით, საკუთარ თავში დარწმუნებული ლიდერებითა და უნარიანი მწვრთნელით. „პეისერსმა“ აღმოსავლეთის ფინალური სერიის პირველ მატჩში მშვიდად დაამარცხა ბოლო ორი სეზონის ჩემპიონი „მაიამი“. თან ეს ისე გააკეთა, რომ ლებრონი და კომპანია მთელი 48 წუთის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა წინ.



ჯორჯი ლებრონს აკავებს

ჯერჯერობით გაურკვეველია - ბოლომდე მოვიდა თუ არა გონს „ინდიანა“, რომელმაც ჩააგდო რეგულარული ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი, პირველ რაუნდში შვიდმატჩიან სერიაში გაიარა „ატლანტა“ და მეორე ეტაპზეც ცოტათი იწვალა „ვაშინგტონის“ წინააღმდეგ.

ასეა თუ ისე, გუნდს გუშინ ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. სასტარტო 7:0-ის შემდეგ, როგორც გითხარით, „ინდიანას“ ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვია. „პეისერსის“ ცენტრმა **როი ჰიბერტმა** ისევ გაიხსენა, რას ნიშნავს ქულების დაგროვება და ფარიდან ბურთის მოხსნა, **დევიდ უესტი** კი ისევ მოგვევლინა საიმედო სნაიპერად, რომელმაც 11-დან რვა ტყორცნა მოათავსა კალათში.

გამორჩეული იყო ამ მატჩში **პოლ ჯორჯისა** და **ლებრონ ჯეიმსის** დაპირისპირება. ინდიანელმა ბევრჯერ ყოველგვარი ჯარიმის გარეშე დაიცვა თავი „მეფეს“ წინააღმდეგ და არ მისცა მას საუკეთესო თამაშის ჩვენების საშუალება. თუმცა „მაიამის“ ლიდერი მაინც ძალიან აგრესიული და აქტიური იყო. **მარიო ჩელმერსის** გრძელი პასის შემდეგ მისმა მძლავრმა დანკმა „მაიამის“ ხუთ ქულამდე შეამცირებინა სხვაობა, რასაც **ფრენკ ფოგელის** ტაიმ-აუტი მოჰყვა და ყველაფერი ისევ თავის ადგილას დადგა.

მასპინძლებმა ძალიან აკურატულად ითამაშეს დაცვაში, რის გამოც „მაიამის“ კალათბურთელები მხოლოდ 15-ჯერ დადგნენ საჯარიმოს ხაზზე და აქედან 10 ჩააგდეს, „ინდიანამ“ კი ამ შეხვედრაში 29 ზუსტი თავისუფალი ტყორცნა შეასრულა! სწორედ აქედან მოდის ანგარიშში ორნიშნა სხვაობა, რომელიც თითქმის მთელი მეორე ტაიმი იყო ტაბლოზე. მეორე ნახევრის სტარტზე ფლორიდელები რვა ქულამდე მიუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ ჯორჯისა და უესტის დუეტმა მაშინვე 14:4 გაქცევა მოაწყო და „მაიამი“ ამ შოკიდან ველარ გამოვიდა.

თუმცა ეს მხოლოდ ერთი თამაში იყო და ჯერ ნაადრევია იმის თქვა, რომ სერიის ფავორიტი „ინდიანა“ გახდა. სხვათა შორის, ლებრონ ჯეიმსის „ჰიტს“ არასოდეს მოუგია პირველი მატჩი მაშინ, როცა სერიას სტუმრად იწყებდა: ასე იყო 2011 წელს „ჩიკაგოსთან“ ნახევარფინალში და 2012 წელს „ოკლაჰომასთან“ ფინალში. ორივე შემთხვევაში „მაიამი“ შემდეგ ზედიზედ ოთხ მატჩს იგებდა.

**ინდიანა–მაიამი 107:96**

30:24, 25:21, 28:25, 24:26

ი: ჯორჯი (24+7 პასი), უესტი (19+7 მოხსნა), ჰიბერტი (19+9 მოხსნა), სტივენსონი (17+8 პასი), ჰილი (15), უოტსონი (11), სკოლა (2+5 მოხსნა).

მ: უეიდი (27+4 პასი), ჯეიმსი (25+10 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ანდერსენი (14), ალენი (12+5 მოხსნა+4 პასი), ბოში (9+4 პასი), ჩელმერსი (6+5 პასი), ბატიე (3).

**სერია:** 1-0

# ლავი მგლებს შორდება



კევინ ლავი

„მინესოტა ტიმბერვულვზის“ ხელმძღვანელობა თავისი ლიდერის **კევინ ლავის** გაცვლის ვარიანტებს განიხილავს.

2013-14 წლების სეზონის მსვლელობისას კლუბის პრეზიდენტი **ფლიპ სონდერსი** და მფლობელი **გლენ ტეილორი** უარყოფდნენ ფორვარდის ტრეიდის შესაძლებლობას. მაგრამ ორი დღის წინ, 25 წლის კალათბურთელმა მიანიშნა, რომ არ გააგრძელებს გუნდთან კონტრაქტს 2015 წლის ზაფხულში, რის შემდეგაც „მგლების“ ბოსების პოზიცია შეიცვალა.

„ტიმბერვულვზს არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება, მაგრამ მზად არის დათმოს ლავი ღირსეული წინადადების სანაცვლოდ. კლუბს მომავალ დრაფტზე მაღალი არჩევანის მიღების იმედი აქვს, რასაც უნდა დაემატოს ერთი ან ორი ვეტერანი, რომელიც გააძლიერებს შემადგენლობას.

იმ შემთხვევაში, თუ „მინესოტა“ ვერ მიიღებს მისთვის სასარგებლო კომპენსაციას, მაშინ ლავს 2014-15 წლების სეზონში შეინარჩუნებს. მინეაპოლისური კლუბი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ შედეგებში მაქსიმალურ პროგრესს მიაღწიოს და დაიყოლიოს ფორვარდი კონტრაქტის გაგრძელებაზე. დაახლოებით ასეთი რამ შეძლო უფრო ადრე „პორტლენდმა“ ფორვარდ **ლამარკუს ოლდრიჯის** შემთხვევაში.

■ ■ ■

ამასობაში, Yahoo! Sports იტყობინება, რომ კევინ ლავისთვის „ბოსტონში“ გადასვლა ერთ-ერთ ყველაზე მაცდურ ვარიანტად მიიჩნევა.

დღეს გაიმართება 2014 წლის დრაფტი, რომელმაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სიტუაციის განვითარებაზე. იმ შემთხვევაში, თუ „სელტიქსი“ ვერ მიიღებს პირველი სამი არჩევანის საშუალებას, მაშინ მზად არის საკუთარი არჩევანი მისცეს „მინესოტას“.

ამბები

**მძლეოსნობა**

## ბლეიკი ბოლტს ვერ შეწვდა

100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონმა, იამაიკელმა **იოჰან ბლეიკმა** მანჩესტერის ცენტრში, ალბერტ-სკვერში მოწყობილ გარბენში მიიღო მონაწილეობა.

ბლეიკი თავისი ვარსკვლავი თანამემამულის **უსაინ ბოლტის** რეკორდის მოხსნას აპირებდა 150 მეტრ დისტანციაზე (14.35), მაგრამ მისი დრო იყო 14.71 წამი.

**კრივი**

## მოგება 23 წამში

სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს **შენონ ბრიგსს** 23 წამი დასჭირდა იმისთვის, რომ გზიდან ჩამოეცილებინა **მეტ გრირი**. ეს ბრძოლა აშშ-ის ქალაქ ჩესტერში გაიმართა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეს არის 42 წლის ბრიგსის მესამე მოგება პირველ რაუნდში. თუმცა ამერიკელის მეტოქეთა კვალიფიკაცია დიდ ეჭვს იწვევდა.

## მარკესი–პაკიაო რეალური ჩანს

ცნობილ პრომოუტერს **ბობ არუმს** სჯერა, რომ მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესსა** და ფილიპინელ **მენი პაკიაოს** შორის რიგით მეხუთე ბრძოლა შედგება. ამაზე მას შემდეგ დაიწყო ლაპარაკი, რაც მარკესმა გასულ უქმეებზე ქულებით დაამარცხა **მაიკ ალვარადო**.

*„მარკესმა განაცხადა, რომ გუნდთან ერთად განიხილავს მეხუთე ბრძოლის საკითხს. ვფიქრობ, ეს დადებითი განცხადებაა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შესაძლებელია. მენის უნდა ეს ბრძოლა, არის ბევრი ფული, რომელიც შეიძლება მოკრივეებმა გამოიმუშავონ, ამიტომაც სიტუაციას შევისწავლით“,* - განაცხადა არუმმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ


ვიქტორია აზარენკა

# ᲠᲐᲤᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ

ᲡᲔᲠᲑᲛᲐ **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, შესაძლოა, დაიბრუნოს პირველი ჩოგანის სტატუსი საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ, რომელიც უახლოეს კვირას აილებს სტარტს. ჯოკოვიჩი მსოფლიოს პირველ ნომერს **რაფაელ ნადალს** ქვემოთ მოყვანილი ვარიანტებიდან რომელიმეს შესრულების შემთხვევაში გაასწრებს:

- დაამარცხებს ნადალს ფინალში;
- გავა მეოთხედფინალზე შორს, ნადალი კი ვერ მოიპოვებს ტიტულს;
- გავა მეორე წრეზე შორს, ნადალი კი ვერ გააღწევს ფინალში;
- ნადალი ვერ მიაღწევს ნახევარფინალამდე.

შეგახსენებთ, რომ სერბმა ესპანელს ლიდერობა გასულ შემოდგომაზე დაუთმო, თუმცა, იქიდან მოყოლებული, მხოლოდ სამი მატჩი წააგო და მოიპოვა ტიტულები შანხაიში, პარიზში, წლის შემაჯამებელ ჩემპიონატში, მოიგო ინდიან უელსის, მაიამისა და რომის მასტერსები.


რაფაელ ნადალი

# ᲠᲝᲚᲐᲜ ᲒᲐᲠᲝᲡᲘ ᲕᲘᲙᲐᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ყოფილი პირველი ჩოგანი **ვიქტორია აზარენკა** ვერ შეძლებს „დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირზე - როლან გაროსზე გამოსვლას.

*„სამწუხაროდ, ვერ ვითამაშებ წელს საფრანგეთის ღია პირველობაზე. ვაგრძელებ აღდგენით პროცესს, რათა მაქსიმალურად მალე დავბრუნდე კორტზე", -* დაწერა საკუთარ „ტვიტერზე" ბელარუსმა ჩოგბურთელმა.

გასულ სეზონში აზარენკამ როლან გაროსზე ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც რუს **მარია შარაპოვასთან** დამარცხდა.

გუშინ გამოქვეყნებულ WTA-ის ახალ რეიტინგში ვიქტორია ერთი საფეხურით დაბლა დაეშვა - მან მეოთხე ადგილი დაუთმო რუმინელ **სიმონა ჰალეპს**.

# ᲯᲝᲙᲝᲕᲘᲩᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲡ ᲬᲐᲛᲝᲔᲬᲘᲐ

**ᲒᲐᲡᲣᲚ კვირას რომში დასრულებული სუპერტურნირები რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატისტიკური მომენტითაც იყო გამორჩეული. გთავაზობთ გასული კვირის ციფრულ მიმოხილვას.**

1 - **სარა ერანიმ** პირველად დაამარცხა **ნა ლი**. აქამდე ჩინელმა ექვსიდან ექვს შეხვედრაში მოუგო იტალიელს.

1 - **გრიგორ დიმიტროვი** პირველად გავიდა მასტერსის სერიის ტურნირის ნახევარფინალში. გარდა ამისა, ბულგარელმა **რაფაელ ნადალთან** მატჩში პირველად ვერ შეძლო სეტის აღება.

2 - **ანა ივანოვიჩი** მეორე ჩოგბურთელი გახდა **სერენა უილიამსის** შემდეგ, ვინც ბოლო პერიოდში გრუნტზე **მარია შარაპოვას** დამარცხება მოახერხა. სერბთან წაგებამდე შარაპოვას 2012 წლიდან მოყოლებული მხოლოდ უილიამსთან ჰქონდა წაგებული გრუნტის საფარზე.

2 - **ტომი ჰაასი** ისევ დაუმარცხებელია **სტანისლას ვავრინკასთვის**. შვეიცარიელმა მეორედ წააგო გერმანელთან პირადი შეხვედრა.

3 - სერენა უილიამსმა სეზონში მესამე ტიტული მოიგო. ის ქალთა ტურის ლიდერია. ორ-ორი ტიტული აქვთ აღებული ანა ივანოვიჩს, ნა ლისა და მარია შარაპოვას.

4 - ამ სეზონის დაწყებიდან დღემდე ივანოვიჩმა ოთხჯერ დაამარცხა ჩოგბურთელი ტოპ-ათეულიდან. შედარებისთვის, შარშან მას მხოლოდ ორი მოგება ჰქონდა TOP10-ის წევრებთან.

4 - ჯოკოვიჩმა მეოთხედ დაამარცხა ნადალი გრუნტის ტურნირების ფინალში.

5 - ჯოკოვიჩმა მასტერსის სერიის ხუთი ტურნირი მოიგო ბოლო ექვსიდან, რომელშიც ის მონაწილეობას იღებდა.

6 - დიმიტროვმა კარიერაში მეექვსედ დაამარცხა ტოპ-ათეულის მოთამაშე - მოუგო **ტომაშ ბერდიხს**. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ ბულგარელი მალე თავად შევა ათეულში - ის რეიტინგში მე-12 ადგილზეა.

7 - სერენა უილიამსს სარა ერანისთან შვიდიდან შვიდი მოგება აქვს. იტალიელი ამ შვიდ შეხვედრაში მხოლოდ ერთი სეტის მოგებით დაიკვეხნის.

10 - ზედიზედ 10 წელია რომის მასტერსზე მხოლოდ ნოვაკ ჯოკოვიჩი და რაფაელ ნადალი იმარჯვებენ. ბოლოს სხვა გამარჯვებული ამ ტურნირს 2004 წელს ჰყავდა, როცა **კარლოს მოიამ დავიდ ნალბანდიანი** დაამარცხა.

10 - რაფაელ ნადალმა ბოლოს სამი მატჩი გრუნტის სეზონში ათი წლის წინ - 2004 წელს წააგო.

12 - სერენა უილიამსმა რომში მესამე ტიტული მოიგო. პირველად აპენინური ტურნირი ამერიკელმა 2002 წელს დაიპყრო.

17 - **დანიელ ნესტორმა**, რომელმაც იტალიის დედაქალაქში წყვილების ტურნირი **ნენად ზიმონჯიჩთან** ერთად მოიგო, პირველად რომში 17 წლის წინ გაიმარჯვა! 1997 წელს კანადელი **მარკ ნოულზთან** ერთად გამოდიოდა.

19 - ჯოკოვიჩმა მასტერსის სერიის მე-19 ტურნირი მოიგო.

19 - ჯოკოვიჩმა კარიერაში მეცხრამეტედ დაამარცხა რაფაელ ნადალი. ესპანელს 22 მოგება აქვს.

29 - სარა ერანი პირველი იტალიელია ბოლო 29 წლის განმავლობაში, ვინც რომში ფინალამდე მიაღწია. ბოლოს იტალიის დედაქალაქში ადგილობრივი პუბლიკის წინაშე ტიტულისთვის იბრძოდა **რაფაელა რეჯი**. სხვათა შორის, 1985 წელს მან ტიტულის მოგება შეძლო.

40 - რაფაელ ნადალმა მასტერსის სერიის ტურნირებზე მე-40 ფინალი ითამაშა. ესპანელს 27 მოგება და 13 წაგება აქვს.

41 - ამდენი მატჩი აქვთ ერთმანეთში ნათამაშები ჯოკოვიჩსა და ნადალს. ჩოგბურთის ისტორიას არ ახსოვს ასეთი მდიდარი დაპირისპირება. სერბისა და ესპანელის უახლოესმა კონკურენტებმა - **ივან ლენდლმა** და **ჯონ მაკინროიმ** 36-ჯერ გაარკვიეს ურთიერთობა.

44 - ჯოკოვიჩი ტიტულების რაოდენობით დაეწია **ტომას მუსტერს**. ახლა სერბი ყველა დროის სიაში მე-13 ადგილს იყოფს ავსტრიელთან. საინტერესოა, რომ ნოვაკის შემდეგი სამიზნეა მისი ამჟამინდელი მწვრთნელი **ბორის ბეკერი** (49 ტიტული).

53 - 2012 წლიდან მოყოლებული, სერენა უილიამსმა 53 მატჩი მოიგო გრუნტზე. ამ დროის განმავლობაში ამერიკელმა მხოლოდ ორი მატჩი წააგო აღნიშნულ საფარზე - როლან გაროსზე ფრანგ **ვირჟინ რაზანოსთან** და ჩარლსტონში სლოვაკ **იანა ჩეპელოვასთან**.

60 - სერენა უილიამსმა კარიერაში მე-60 ტიტული მოიპოვა, უფრო მეტი ექვს ჩოგბურთელს აქვს. ყველა დროის სიაში ამერიკელის უახლოესი მეტოქეა - **ბილი ჯინ კინგი**. მის ანგარიშზე 67 ტიტული მოდის.

61 - გასულ წელს რუმინელი **სიმონა ჰალეპი** რომის ტურნირის დროს რეიტინგის მეშვიდე ათეულში იმყოფებოდა, წლევანდელი ტურნირის შემდეგ კი ის კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილამდე ავიდა.

500 - ავსტრალიელ **კეისი დელაკუასთან** მატჩში ნა ლიმ კარიერაში მე-500 გამარჯვებას მიაღწია.

576 - **დავიდ ფერერმა ერნესტ გულბისის** ძლევის შემდეგ 576-ე გამარჯვება იზეიმა პროფესიულ ტურში. მან გაუსწრო თანამემამულე **კარლოს მოიას**. ესპანელთაგან უფრო მეტი მოგება აქვთ ნადალსა და **მანუელ ორანტესს**.

650 - ჯოკოვიჩმა 650 ქულამდე შეამცირა სხვაობა ATP-ის რეიტინგის ლიდერთან ნადალთან.


ნოვაკ ჯოკოვიჩი და ბორის ბეკერი

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ

| | |
|---|---|
| **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ** | |
| **ᲔᲕᲠᲝ 2015** | |
| **UNDER 21** | |
| ᲣᲔᲚᲡᲘ-ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ | 1:3 |
| **ᲘᲢᲐᲚᲘᲐ** | |
| **ᲡᲔᲠᲘᲐ B** | |
| ᲑᲐᲠᲘ-ᲩᲘᲢᲐᲓᲔᲚᲐ | 1:0 |
| ᲚᲐᲢᲘᲜᲐ-ᲡᲘᲔᲜᲐ | 0:3 |
| **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ** | |
| **II ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ** | |
| ᲞᲚᲔᲘᲝᲤᲘ. II ᲛᲐᲢᲩᲘ | |
| ᲐᲠᲛᲘᲜᲘᲐ-ᲓᲐᲠᲛᲨᲢᲐᲓᲢᲘ | 2:4 (3:1) |
| **ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ** | |
| ᲕᲝᲚᲔᲠᲔᲜᲒᲐ-ᲚᲘᲚᲔᲡᲢᲠᲘᲝᲛᲘ | 2:2 |
| ᲡᲐᲠᲞᲡᲑᲝᲠᲒᲘ-ᲠᲣᲡᲔᲜᲑᲝᲠᲒᲘ | 1:1 |
| **II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ** | |
| ᲡᲢᲠᲝᲛᲔᲜᲘ-ᲢᲠᲝᲛᲡᲘᲝ | 0:3 |
| **ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ** | |
| ᲰᲐᲚᲛᲡᲢᲐᲓᲘ-ᲑᲠᲝᲛᲐᲞᲘᲝᲙᲐᲠᲜᲐ | 3:0 |
| ᲔᲠᲔᲑᲠᲝ-ᲒᲔᲤᲚᲔ | 2:2 |
| **II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ** | |
| ᲚᲘᲣᲜᲒᲡᲙᲘᲚᲔ-ᲐᲜᲒᲔᲚᲰᲝᲚᲛᲘ | 5:0 |
| ᲕᲐᲠᲑᲔᲠᲒᲡᲘ-ᲝᲡᲢᲔᲠᲡᲘ | 2:2 |
| **ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ** | |
| ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲣᲠᲘ-ᲤᲘᲚᲙᲘᲠᲘ | 1:2 |
| ᲕᲐᲚᲣᲠᲘ-ᲤᲠᲐᲛᲘ | 5:3 |
| **ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ** | |
| ᲠᲣᲮᲘ-ᲕᲘᲡᲚᲐ | 2:2 |
| **ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ** | |
| ᲕᲐᲡᲚᲣᲘ-ᲐᲡᲢᲠᲐ | 1:4 |
| **ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ** | |
| ᲜᲝᲛᲔ ᲙᲐᲚᲘᲣ-ᲢᲠᲐᲜᲡ ᲜᲐᲠᲕᲐ | 2:1 |
| **ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ** | |
| **ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ** | |
| ᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘᲝᲡᲘ-ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲙᲝᲡᲘ | 90:93 (Ო) |
| ᲞᲐᲝᲙ-ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘᲙᲝᲡᲘ | 65:72 |
| **ᲘᲢᲐᲚᲘᲐ** | |
| ᲛᲘᲚᲐᲜᲘ-ᲞᲘᲡᲢᲝᲘᲐ | 73:59 |
| ᲡᲐᲡᲐᲠᲘ-ᲑᲠᲘᲜᲓᲘᲖᲘ | 75:73 |

| | |
|---|---|
| **ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ** | |
| ᲔᲤᲔᲡᲘ-ᲞᲘᲜᲐᲠᲘ | 67:73 |
| **ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ** | |
| ᲚᲘᲛᲝᲟᲘ-ᲓᲘᲟᲝᲜᲘ | 70:71 |
| **ᲰᲝᲙᲔᲘ** | |
| **ᲛᲡ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ** | |
| ᲓᲐᲜᲘᲐ-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ | 2:6 |
| ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘ-ᲤᲘᲜᲔᲗᲘ | 3:4 |
| ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ | 1:5 |
| ᲚᲐᲢᲕᲘᲐ-ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ | 1:3 |
| **ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ** | |
| **ATP. ᲓᲘᲣᲡᲔᲚᲓᲝᲠᲤᲘ** | |
| **გაბაშვილი**-ლაიოვიჩი | 3:6, 6:3, 6:4 |
| **ვესელი**-სისლინგი | 7:6, 6:3 |
| **მელცერი**-კარენო ბუსტა | 6:4, 6:1 |
| ბასიჩი-**მილოევიჩი** | 2:6, 7:5, 4:6 |
| **ბრაუნი**-ლუ | 7:6, 6:2 |
| **ATP. ᲜᲘᲪᲐ** | |
| **ტურსუნოვი**-ნედოვესოვი | 6:1, 6:4 |
| **მონტანიესი**-ებდენი | 6:1, 6:3 |
| **მაუ**-ვაისი | 6:7, 6:3, 6:2 |
| **ლ. მაიერი**-ჩორიჩი | 4:6, 6:3, 6:4 |
| **მატიო**-პუიე | 2:6, 6:4, 6:0 |
| **WTA. ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘ** | |
| **სვიტოლინა**-მელცერი | 7:5, 6:4 |
| ლოტნერი-**ვან უიტვანკი** | 1:6, 2:6 |
| პეერი-**კნაპი** | 3:6, 2:6 |
| **გარსია**-გლუშკო | 6:4, 5:7, 7:5 |
| ზახვალოვა-**ბუშარი** | 0:6, 3:6 |
| **კარ. პლიშკოვა**-მოისბურგერი | 6:3, 6:4 |
| **გარსია ვიდიგანი**-ცანდერი | 6:2, 6:3 |
| ჩეპელოვა-**ბეკი** | 2:6, 3:6 |
| **ფიცენმაიერი**-გონსალესი | 6:2, 6:4 |
| მეირი-**შვედოვა** | 5:7, 3:6 |
| **WTA. ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲘ** | |
| **ვესნინა**-დელაკუა | 5:7, 6:3, 6:3 |
| **გოვორცოვა**-ს. ჟენგი | 6:2, 6:4 |
| ჟ. ჟენგი-**ლუჩიჩი** | 6:7, 6:4, 5:7 |
| დოი-**სოლერი** | 4:6, 2:6 |
| ტატიშვილი-**ბარტი** | 1:6 უარი |
| ორმაეჩეა-**კინგი** | 7:5, 2:6, 1:6 |
| ფიშმანი-**ფიორსტეინი** | 2:6, 4:6 |


ვოზნიაცკი და მაკილროი

# ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, დანიელმა ჩოგბურთელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** და ჩრდილოირლანდიელმა გოლფისტმა **რორი მაკილროიმ** დაქორწინება გადაწყვიტეს, თუმცა ისინი ბოლომდე საიდუმლოდ აპირებენ ქორწინების თარიღის შენახვას.

გასულ კვირას გამოცემა Independent-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ვოზნიაცკი და მაკილროი აგვისტოში იქორწინებენ. Daily Mirror-ის ცნობით კი, მიწვეულ სტუმრებს შორისაა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი **ბილ კლინტონი**, რომელთანაც შარშან შემოდგომაზე მაკილროიმ გოლფი ითამაშა. *„სტუმრების სრული სია უსაფრთხოების მოსაზრებებით არ ხმაურდება, რადგან აქ შედიან სუპერვარსკვლავები მთელი მსოფლიოდან",* - ამტკიცებს ბრიტანული ტაბლოიდი.

ამ ცნობებს გამოეხმაურა რორი მაკილროი. *„როგორც ვხედავ, Independent-მა კვლავ არასწორი ინფორმაცია მოიპოვა. თუ ისინი ასეთი ტემპით გააგრძელებენ პროგნოზირებას, ადრე თუ გვიან გაუმართლებთ",* - დაწერა გოლფისტმა საკუთარ „ტვიტერზე".

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
გია **ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

ფორმულა 1

# ფორმულამ ლეგენდა დაკარგა



ჯეკ ბრებემი

ფორმულა 1-ში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ჯეკ ბრებემი** 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ოჯახის განცხადებაში წერია, რომ ავსტრალიელი ქალაქ გოლდ კოუსტში საკუთარ სახლში გარდაიცვალა.

ჯეკ ბრებემი პირველი იყო ფორმულა 1-ის ისტორიაში, ვინც ტიტული საკუთარი წარმოების ავტომობილით მოიგო. ეს მოხდა 1966 წელს გუნდ Brabham-თან ერთად. მანამდე მან ორჯერ მოიგო ჩემპიონატი Cooper-ის შემადგენლობაში, სადაც პირველი ნაბიჯები გადადგა ჩემპიონატში.

მიუხედავად იმისა, რომ ბრებემს ფორმულა 1-ში დებიუტი 1955 წელს ჰქონდა, იმ პერიოდში ის უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა ამტანობაზე რბოლებსა და ფორმულა 2-ს, ამიტომაც ფორმულა 1-ში ცალკეულ ეტაპებში იღებდა მონაწილეობას. სრულფასოვანი საპრიზო პილოტი ის მხოლოდ 1958 წელს გახდა.

პირველი გამარჯვება მან მომავალ სეზონში მონაკოში მოიპოვა, რაც 1959 და 1960 წლებში ტრიუმფალური ჩემპიონატების საფუძველი აღმოჩნდა, სადაც მას ბადალი არ ჰყავდა.

1962 წელს ბრებემმა შექმნა გუნდი Brabham, რომელიც სადებიუტო სეზონში „ლოტუსის" შასის იყენებდა, მაგრამ შემდეგში საკუთარი წარმოების შასიზე გადავიდა, რაშიც ჯეკს ეხმარებოდა კონსტრუქტორი **რონ ტარანაკი**.

Brabham-ს პირველი გამარჯვება მოუტანა ამერიკელმა პილოტმა **დენ გერნიმ**, მაგრამ 1966 წლის სეზონის შუაში ზედიზედ ოთხმა გამარჯვებამ ბრებემს მესამე და უკანასკნელი ტიტული მოაგებინა. საკუთარი მანქანით ჩემპიონატის მოგება მართლაც უნიკალური შემთხვევა იყო.

გარდა ამისა, საჯინიბო Brabham-მა კონსტრუქტორთა თასი მოიგო 1966 და 1967 წლებში. 1970 წლის სეზონის სტარტზე ჯეკმა კარიერაში მე-14 გრანპრი მოიგო, შემდეგ კი წავიდა ფორმულა 1-დან და გუნდში საკუთარი წილი გაყიდა.

საჯინიბომ გააგრძელა ფორმულა 1-ში წარმატებული გამოსვლა. 1971 წელს Brabham-ის მეპატრონე გახდა ფორმულა 1-ის ამჟამინდელი მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი**. ის დაეხმარა **ნელსონ პიკეს** სახელოვანი გუნდის მანქანით ორჯერ გაჩემპიონებაში. ჯეკ ბრებემი კი შემდგომ წლებში აკვირდებოდა საკუთარი ვაჟების - **ჯეფის**, **ჰარისა** და **დევიდის** წარმატებულ კარიერას.

ბოლო დროს ფორმულას სერიებში პირველი ნაბიჯები გადადგეს სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის შვილიშვილებმა - **მეტიუმ** და **სემმა**.

*„ეს ძალიან ნაღვლიანი დღეა ყველა ჩვენგანისთვის, - განაცხადა დევიდ ბრებემმა. - მამაჩემი დღეს დილით, საკუთარ სახლში 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.*

*მას დაუჯერებელი ცხოვრება ჰქონდა და იმაზე მეტს მიაღწია, ვიდრე ოცნებაა შესაძლებელი. და ის ჩვენთან დარჩება იმის წყალობით, რაც ამ სამყაროში დატოვა".*

რეიტინგი

# სპონსორებისთვის ყველაზე მომხიბვლელნი

ბიზნეს-ჟურნალმა SportsPro-მ შეადგინა რეიტინგი, რომლის მიხედვითაც უახლოეს წლებში სპონსორებისთვის ყველაზე მომხიბვლელი პერსონა იქნება „მერსედესის" პილოტი ლუის ჰემილტონი. სულ კი გამოცემამ 50-კაციანი სია შეადგინა:

1. ლუის ჰემილტონი (ფორმულა 1, ბრიტანეთი)
2. ვირატ კოლი (კრიკეტი, ინდოეთი)
3. რობერტ გრიფინი III (ამერიკული ფეხბურთი, აშშ)
4. კრიშტიანო რონალდო (ფეხბურთი, პორტუგალია)
5. გრიგორ დიმიტროვი (ჩოგბურთი, ბულგარეთი)
6. უსეინ ბოლტი (მძლეოსნობა, იამაიკა)
7. ნეიმარი (ფეხბურთი, ბრაზილია)
8. მისი ფრანკლინი (ცურვა, აშშ)
9. ბლეიკ გრიფინი (კალათბურთი, აშშ)
10. სლოუნ სტივენსი (ჩოგბურთი, აშშ)
11. ლიონელ მესი (ფეხბურთი, არგენტინა)
12. ადამ სკოტი (გოლფი, ავსტრალია)
13. ეჟენი ბუშარი (ჩოგბურთი, კანადა)
14. ალექს მორგანი (ფეხბურთი, აშშ)
15. ნოვაკ ჯოკოვიჩი (ჩოგბურთი, სერბეთი)
16. მარკ მარკესი (მოტოგრანპრი, ესპანეთი)
17. მაიკ ტრაუტი (ბეისბოლი, აშშ)
18. რონდა როუზი (ორთაბრძოლები, აშშ)
19. ჯორდან სპიტი (გოლფი, აშშ)
20. ალან ოლივეირა (პარა-მძლეოსანი, ბრაზილია)
21. ენდი მარეი (ჩოგბურთი, ბრიტანეთი)
22. საულ ალვარესი (კრივი, მექსიკა)
23. მიკაელა შიფრინი (სამთო თხილამურები, აშშ)
24. რორი მაკილროი (გოლფი, ჩრ. ირლანდია)
25. ოსტინ დილონი (ავტოსპორტი, აშშ)
26. სტივენ კარი (კალათბურთი, აშშ)
27. სებასტიან ფეტელი (ფორმულა 1, გერმანია)
28. კატარინა ჯონსონ-ტომპსონი (მძლეოსნობა, აშშ)
29. ენტონი დევისი (კალათბურთი, აშშ)
30. ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი (ფეხბურთი, ინგლისი)
31. ვიქტორია აზარენკა (ჩოგბურთი, ბელარუსი)
32. სტივენ სტემკოსი (ჰოკეი, კანადა)
33. ჯონი მანზიელი (ამერიკული ფეხბურთი, აშშ)
34. მამი სატო (პარა-მძლეოსნობა, იაპონია)
35. კევინ პიტერსენი (კრიკეტი, ინგლისი)
36. ბრიტნი გრინერი (კალათბურთი, აშშ)
37. ჯეიმს ჰარდენი (კალათბურთი, აშშ)
38. ფაბიანა კლაუდინო (ფრენბურთი, ბრაზილია)
39. ტეილორ ფინი (ველოსპორტი, აშშ)
40. დანიილ კვიატი (ფორმულა 1, რუსეთი)
41. სონი ბილ უილიამსი (რაგბი, ზელანდია)
42. ბენ ეინსლი (აფროსნობა, ბრიტანეთი)
43. გაბრიელ მედინა (სერფინგი, ბრაზილია)
44. ჯულიან გრინი (ფეხბურთი, აშშ)
45. მასაჰირო ტანაკა (ბეისბოლი, იაპონია)
46. კარმელო ენტონი (კალათბურთი, აშშ)
47. იუსუე მო (მძლესნობა, ჩინეთი)
48. კაროლინ ვოზნიაცკი (ჩოგბურთი, დანია)
49. მარტენ ფურკადი (ბიატლონი, საფრანგეთი)
50. სიმონა დე სილვესტრო (ავტოსპორტი, შვეიცარია)



# დეიმონ ჰილი: ჰემილტონი დაუმარცხებელია

მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, ბრიტანელ **დეიმონ ჰილს** მიაჩნია, რომ მისი თანამემამულე, „მერსედესის" პილოტი **ლუის ჰემილტონი** მთავარი ფავორიტია წელს ტიტულისთვის ბრძოლაში.

*„წლევანდელ სეზონამდე ისე ჩანდა, რომ ლუისს შეეძლო ნებისმიერ მომენტში დაეკარგა კონცენტრაცია. ახლა კი ჰემილტონი ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინც საკუთარ ძალებშია დარწმუნებული. ვფიქრობ, მან შეძლო კარიერაში წინ მორიგი ნაბიჯის გადადგმა. ის მთლიანად კონცენტრირებულია სამუშაოზე და ახლა მგონია, რომ დღეს მისი დამარცხება თითქმის შეუძლებელია. ნიკო როსბერგს ორჯერ ჰქონდა მისი დამარცხების შანსი - ბაჰრეინსა და ესპანეთში, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება. შესაძლოა, მან ველარც მოახერხოს ამ ჩამორჩენის გაბათილება"*, - მოჰყავს BBC-ის ჰილის სიტყვები.

შეგახსენებთ, რომ სეზონის ხუთი რბოლის შემდეგ ჰემილტონი ლიდერობს პილოტთა პირად ჩათვლაში და თავის თანაგუნდელ **ნიკო როსბერგს** მხოლოდ სამი ქულით უსწრებს - 100 97-ის წინააღმდეგ.

მომდევნო რბოლა კვირას, 25 მაისს მონაკოში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედიის უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

week



მაღალპოლიგრაფიული, სპორტული ჟურნალი, ყოველ შაბათს
შექმნილია გაზეთ „ლელოს" ბაზაზე

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია **თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ბესიკ ჯანგავაძე

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608